

ძველი ქართული ენის ძეგლები. 9.

კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები

X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით

გ ა მ ო ს ც ა

ქეთევან ლორთქიფანიძე

აკაკი შანიძის

რედაქციით

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორისაგან	07
სინას შთის ხელნაწერების ტექსტი (C ¹)	09
ნაწევრები C რედაქციის ნუსხიდან.	1
ნაწევრები ჟ რედაქციის ნუსხიდან.	13
ჟ და თ რედაქციების ტექსტი	33
ქ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები და მათი ენა	105
I. ზოგადი ცნობები კათოლიკე ეპისტოლეთა და მისი ქარ- თულად თარგმნის შესახებ	105
II. ხელნაწერთა აღწერილობა	108
III. რედაქციები	112
IV. კათოლიკე ეპისტოლეთა წიგნების ენობრივი მოვლენები.	120
ტექსტისათვის	141
შემოკლებანი და დათქმული ნიშნები	143

რედაქტორისაზანი

კათოლიკე ეპისტოლეთი ვიგნი ქართული ნათარგმნი ლიტერატურის უძველეს ფენას განეკუთვნება. ქართულად იგი ადრეა წარმოშობილი (დაახლ. V საუკუნეში), მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ გვიანდელი (X და შემდგომი საუკუნეების) ხელნაწერებით, ისიც ალბათ არაერთხელ გადახედული და შესწორებული. ამიტომ არ გვეუცხოვება, რომ შიგ ხანმეტ-ჰემეტი ფორმები არ გვხვდება. დიდი ხანია ვგრძობდით, რომ საჭიროა მისი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, მაგრამ ეს მხოლოდ ეხლა-ლა მოხერხდა.

კათოლიკე ეპისტოლეთი ტექსტის დამუშავება და მის ენობრივ თავისებურებათა შესწავლა მივანდევ ქეთევან ლორთქიფანიძეს, ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, მისი ასპირანტობის დროს (1937—1942 წწ.). მან ხელ-მისაწვდომ ხელნაწერთაგან უკეთესები შეარჩია, შეისწავლა, გადმოწერა ტექსტები, შეუდარა ერთმანეთს და მოაზადა გამოსაცემად. ჩვენში დაცულ ტექსტთაგან სრულია მხოლოდ გ. ზაწმიდლის ნარედაქციევი და მისი შემდგომი გადაშუავება — ეფრემ მცირისეული, ადრინდელი რედაქციებისა კი მხოლოდ ნაწყვეტებია შემონახული. რადგანაც ტექნიკურად უხერხული იყო, ეს ნაწყვეტები, რომლებიც ძველი (C და P) რედაქციების ტექსტებს შეიცავენ, მთლიანი ტექსტის პარალელურად დაგვეყენებინა, ამიტომ ისინი ცალკე გამოვყავით და წინ დავბეჭდეთ (გვ. 1—31). გ. ზაწმიდლის რედაქციას კი (L ს.) პირისპირ დავუყენეთ ეფრემისეული ტექსტის (D-ის) ვარიანტები, რომლებიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მცირეა რაოდენობით.

ამ წიგნის გამოცემა რომ განვიზარახეთ, ვფიქრობდით, რომ გამოვიყენებდით მხოლოდ ჩვენში დაცულ ხელნაწერებს, რადგანაც ათონისა და სინას მთის ხელნაწერები ჩვენთვის ხელ-მიუწვდომელი იყო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ნაკლი რამდენადმე შეეავსეთ. წიგნი მთლიანად აწყობილი იყო და ნაწილობრივ დაბეჭდილიც, რომ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო ვაშინგტონიდან კონგრესის ბიბლიოთეკისაგან გამოწერილი იერუსალიმისა და სინას მთის ქართული ხელნაწერების მიკროფილმები, რომლებიც 1949—1950 წწ. გადაეღო საგანგებოდ მოწყობილ ექსპედიციას პროფ. K. W. Clark-ის ხელმძღვანელობით¹.

¹ ექსპედიციას დაეკუთვნება ჰქონდა, გადაეღო სინას მთისა და იერუსალიმის ხელნაწერები, სიველ-გუჯრები და სხვა ისტორიული დოკუმენტები, რომელ ენაზედაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი: ბერძნულ, სლავურ, არაბულ, ასურულ, კობურ, ქართულ, სომხურ, თუ სხვა ენებზე.

ამის შესახებ ნახეთ: Kenneth W. Clark, *Microfilming Manuscripts in Jerusalem and Mt. Sinai*; Bulletin of the American Schools of Oriental Research, No 123, October, 1951; აგრეთვე:

Checklist of Manuscripts in the Libraries of the Greek and Armenian Patriarchates in Jerusalem microfilmed for the Library of Congress, 1949—50. Prepared under the Direction of Kenneth W. Clark, Director and general Editor of the Jerusalem Expedition, 1949—50. Washington, 1953 და

სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში გვევლუბოდა ორი X საუკუნის ხელნაწერი, რომლებიც, ა. ცაგარისა და ი. ჯავახიშვილის აღწერილობათა მიხედვით¹, შეიცავდნენ კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტს: ც 17/ჯ 39 და ც 16/ჯ 31. არ ივარგებდა, ხელიდან გაგვეშვა ეს კარგი შემთხვევა და არ გამოგვეცა სინური ტექსტიც, რომელმაც ძლიეს მოგვისწრო. ამიტომ მიკროფილმების მიღებისთანავე გადავალბინეთ აღნიშნული ნომრები (უკვე გადაღებული სახით) და ქ. ლორთქიფანიძემ გადმოწერა ისინი სასტამბოდ. სინური ხელნაწერები აღვნიშნეთ M და N ასოებით:

M (ც 17/ჯ 39) გადაწერილია 974 წელს. კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტი სრულია და მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 87v — 128v.

N (ც 16/ჯ 31) გადაწერილია 977 წელს. კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტისა ნაწყვეტია შემორჩენილი (იაკ. 1, 1 — 2, 14 ვიდრე: „უკუეთუ ვინმე თქუას სარწმუნობაჲ...“) და უქირავს შემდეგი გვერდები: 118v — 121v.

სინური ხელნაწერები აღვინდელია, ამიტომ გასაგებია, რომ დანართი („უწყებანი“ და „თავნი“) შიგ არ მოიპოვება. რაც შეეხება თავებად დაყოფას, იგი აქ სულ სხვაგვარია, ვიდრე ახალი (L და D) რედაქციის ხელნაწერებში: აქ თავების ნუმერაცია ცალკეული ეპისტოლეების მიხედვით კი არ არის გაკეთებული (როგორც ეს ახალი რედაქციის ხელნაწერებშია), არამედ საერთო თავიდან ბოლომდე². ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ტექსტის ერთ ნაწილში (I პეტრე 1, 1 — 3, 17) თავების საერთო დანომრვას კერძოობითიც ახლავს: 11/1, 12/2, 13/3 და ასე შემდგომ 19/9-მდის; შემდეგ კვლავ საერთო ნუმერაცია მიდის (20-დან 41-მდე), ოღონდ გამორჩენილია 32-ე³.

სინური ხელნაწერების ტექსტი დაბეჭდილია M-ის მიხედვით, რომელშიც საკმაოდ მოიპოვება ლათსუსები და ორთოგრაფიული შეცდომები, N-ის ვარიანტები სქოლიოშია ჩატანილი, გარდა ორიოდ შემთხვევისა, როდესაც M-ში მცდარი ფორმაა, N-ში კი — სწორი და ეს სწორი ფორმა ტექსტში ამოვიტანეთ.

რედაქციულად სინური ხელნაწერების ტექსტი უფრო C-ს მისდევს, ვიდრე L-ს, ამიტომ იგი C¹-ით აღვნიშნეთ და სულ თავში მოვაქციეთ.

ა. შანიძე

15.VII.1956.

თბილისი

Checklist of Manuscripts in St. Catherine's Monastery, Mount Sinai micro-filmed for the Library of Congress, 1950. Prepared under the Direction of Kenneth W. Clark, general Editor of the Mount Sinai Expedition, 1949—50. Washington, 1952.

¹ А. Шагарели, Каталог грузинских рукописей Синайского монастыря (Православный Палестинский сборник, т. IV, Выпуск первый, СПб. 1888, Приложение II, стр. 191 и след. = Сведения о памятниках грузинской письменности. Выпуск второй. СПб. 1889, стр. 51 и след.).

ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947.

² თავებად დაყოფა N-ში, შემონახული ნაწყვეტის ფარგლებში, საესებით ეთანხმება M-ისას, ოღონდ, M-ისაგან განსხვავებით, ყოველ თავს აქვს სათაური: იაკობის კათოლიკე.

³ მეორე ნუმერაცია (კერძოობითი) თითქო მერმინდელი ხელითაა მიწერილი.

ԳՐԵ ԻՅՍՔՓՅ
 Զ ԴՊՆԱԳԻՔԻ ԾԵ
 ԵՄԵ ԴՊՆԱԳԻՔԻ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Զ ԵՄԵ ԶԵՄԵ

Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ

Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ

Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ
 Ի ԵՄԵ ԶԵՄԵ

სინანო მთის ხელნაწიების

ტექსტი

(ს)

(1)

1. იაკობ, ღმრთისაჲ და უფლისა იესუ ქრისტის² მონაჲ, ათორმეტთა ნათესავთა მიმოდატესულთა, — გიხაროდენ!

2. ყოველივე სიხარულად შეჰპარცხეთ, [აჲ] იმანო³ ჩენო, რაჲმან განსაცდელსა შესცვვეთ პირად-პირადსა;

3. უწყოდეთ, რამეთუ გამოცდილვებჲ ეგე თქუენი სარწმუნოებისაჲ შეიქმს მოთმინებასა,

4. ხოლო მოთმინებასა მას საქმესრული აქუნდინ და რაჲთა იყუნეთ⁴ სრულ და ყოვლად ცოცხალ და არა-რაჲთ ნაკლულევან.

5. უკუეთუ ვინმე თქუენგანი ნაკლულევან არს სიბრძნითა, ითხოვენ მისგან, რომელმან მოსციის ყოველთა, ღმერთმან, უსასყიდლოდ და აყუედრის არავის, და მოსცეს მას.

6. ითხოვდინ ხოლო სარწმუნოებით და ნუ ორგულეებით, ხოლო რომელი-იგი ორგულობდეს⁵, მსგავს არს იგი ღელვასა ზღუსასა, ქართთა აღძრულსა და მიმოტაცებულსა.

7. ნუუკუე ჰგონებნ კაცი იგი, ვითარმედ მო- რაჲმე-ილოს უფლისაგან.

8. კაცი ორგული დაუდგრომელ არს. [უ] ყოველთა გზათა მისთა.

9. იქალოდენ იმად იგი მდაბალი ამაღლებასა თვისსა,

10. ხოლო მდიდარი იგი — დანდაბლებასა თვისსა, რამეთუ ვითარცა ყუაილიველისაჲ, ეგრე წარვდეს.

11. გამობრწყინდა მზმ სიციხითა თუსითა და განაქმო თივად იგი და ყუაილი იგი დაკვა⁶ და შეუნიერებად პირისა მისისაჲ წარწყმდა. ესრეთცა⁷ მდიდარი იგი სლვასა შინა თვისსა დაქნეს.

12. ნეტარ არს კაცისაჲ მის, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნის და მოილოს⁸. გვრგვნი იგი ცხოვრებისაჲ, რომელ-იგი აღუთქუა მოყუარეთა მისთა.

(2)

13. ნუენ რომელი-იგი განიცადებოდის, იტყუნ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განიცადები⁹, რამეთუ ღმერთი გამოუცდ[ა]ელ არს ბოროტითა¹⁰ და არავის განცდის¹¹ იგი.

14. არამედ კაცად-კაცადი განიცადების თვისისაგან გულის თქუმისა¹². მიიზიდვის და იძულების¹³.

¹ ამ სიტყვის ბოლო ასო და მომდევნო სიტყვის პირველი ასო (ე. ი. 7 და 8) M-ში ერთმანეთზეა გადაბმული (ლიგატურას ქმნიან); იაკობის N.

² ქრისტეს N. ³ ამონო M. ⁴ იყუნეთ N. ⁵ ორგულეობდეს N. ⁶ დასკვა N. ⁷ ესრეთცა N.

⁸ მოილოს N. ⁹ განიცადების N. ¹⁰ ბოროტისათვის N. ¹¹ განსცდის N. ¹² თუსითა გულის თქუმითა N. ¹³ იძულების MN.

ს¹

15. და მერმე გულის თქუმაჲ იგი მიუღდის და შვის ცოდვაჲ და ცოდვაჲ იგისრულიქმნის და გამოშვის სიკუდილი.

16. ნუ სკუთებით, ძმანო ჩემნო საყუარელნო!

17. ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველი¹ ნიკი სრული ზეგარდამოსრული არს მამისაგან ნათლისაჲსა, რომლისა² თანა არა არს ცვალება, გინა თუ ქცევისა აჩრდილის შეცოდება.

18. ნებითა გუშენა³ ჩუენ სიტყუთა ქუშნარიტებისაჲთა, რაჲთა ვიყუნეთ⁴ ჩუენ დასაბამ რაჲმე მისთა დაბადებულთა.

19. უწყოდეთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო⁵,

(3)

აწ უკუე: იყავნ ყოველი [უ] კაცი მოსწრაფჲ სმენად, მძიმე სიტყუად, მძიმე გულის წყრომად.

20. რამეთუ გულის წყრომამან კაცი-სამან სიმართლ⁶ ღმრთიაჲდ არა ქნის.

21. ამისთჲ⁷ განიშორეთ ყოველივე⁸ მწინკულევენებაჲ და მეტი იგი სიბოროტისაჲ, სიმშვიდით შეიწყნარეთ ნერგი იგი სიტყუსაჲ მის, რომელი შემძლებელ არს ცხოვრებად სულთა თქუენთა.

(4)

1. ძმანო ჩემნო, ნუ თუალ-ლებით¹³ გაქუნ სარწმუნოებაჲ იგი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი დიდებისაჲ¹⁴.

2. უკუეთუ შე-ვინმე-ვიდეს შესაკრებელსა თქუენსა კაცი, რომელსა ეცუას ბეკედი ოქროსაჲ¹⁵ სამოსლითა [უ] ბრწყინვალითა და შევიდეს გლახაკიცა სამოსლითა მწინკულევანითა

ს¹

22. და⁹ იყვენით მყოფელ სიტყუსაჲ მის და ნუ მსმენელ და შეურაცხის მყოფელ თავთა თჲსთა.

23. უკუეთუ ვინმე მსმენელ¹⁰ ხოლო იყოს სიტყუსა მის და არა მყოფელ, ესეეთიარო მსგავს არს კაცისა მის, რომელმან განიცადის პირი ქმნულებისა თჲსისაჲ სარკითა.

24. რამეთუ განიცადა თავი თჲსი და წარვიდა და მყესეულად დააეიწყდის, რაბამ რაჲ არს.

25. [ვი] ხოლო რომელმან მიხედა მჯულსა მას სრულსა აზნაურებისაჲსა და დაადგრა მას, არა დამეიწყებელ იქმნა, არამედ მყოფელ საქმისა მის¹¹, ესე ნეტარ არს ყოფასა მას მისსა.

26. რომელსა ეგონოს თავი თჲსი ღმრთის მსახურ და არა აღკრ-ასხნეს ენასა თჲსსა, არამედ აცთუნებდეს გულსა თჲსსა, ამისი ამაო არს მსახურებაჲ.

27. მსახურებაჲ წმიდაჲ, შეუგინებელი ღმრთისა მიერ და მამისა ესე არს: მიხედვად ობოლთაჲ და ქურციეთაჲ ჭირსა შინა მათსა და შეუგინებელად დაცვაჲ თავისა თჲსისაჲ სოფლისაგან¹².

2

3. და მიხედვით მას, რომელსა ემოსოს სამოსელი მბრწყინვალ¹⁶, და ჰრქუათ: შენ დაჯედ აქა კეთილად, და გლახაკსა მას ჰრქუათ: შენ დედ მანდა, ანუ დაჯედ ქუეშე ფერჯთა ჩემთა¹⁷,

4. შეიორგულდით¹⁸ გულითა თქუენითა და იქმნენით მსაჯულ გულის სიტყუათა ბოროტთა.

¹ ყოველივე N. ² რი¹ლისა M. ³ გუშენა M. ⁴ ვიყუნეთ M. ⁵ N-ში ამის შემდეგ იწყება ახალი თავი ასეთი სათაურით: იაკობის კათოლიკე. ⁶ სიმართლ M. ⁷ ამითჲს M. ⁸ ყოველი N. ⁹ და — N. ¹⁰ მსმელ M. ¹¹ ამის M. ¹² N-ში ამის შემდეგ იწყება ახალი თავი ასეთი სათაურით: იაკობის კათოლიკე. ¹³ თუალ-ლებით N. ¹⁴ დიდებულისა N. ¹⁵ ოქროს N. ¹⁶ ბრწყინვალ N. ¹⁷ ჩუენთა N. ¹⁸ შეიორგულდით M.

C¹

5. ისმინეთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო: ანუ არა გლახაკნი სოფლისანი¹ გამოირჩინა² ლმერთმან, ხოლო მდიდარნი სარწმუნოებითა და მკვდრნი სასუფეველისანი, რომელ აღუთქუა ლმერთმან მოყუარეთა მისთა³?

6. ხოლო თქუენ შეურაცხ-ჰყავთ გლახაკი იგი. ანუ არა მდიდარნი იგი გმძლავრობენ თქუენ, და იგინი მიგითრევენ წინაშე მსაჯულისა?

7. [91] ანუ არა იგინი გმობენ კეთილსა მას სახელსა, რომელ წოდებულ არს თქუენ ზედა?

8. უკუეთუ შჯულსა აღასრულებთ სამეუფოსა, მსგავსად წერილისა მის, ვითარმედ შეიყუარო მოყუანი შენი, ვითარცა თავი თავი, კეთილად⁴ ჰყოფთ⁵.

9. უკუეთუ თუალთ-აღებთ, ცოდვასა იქმთ და გემხილების შჩულისაგან⁶, ვითარცა შჩულისა⁷ გარდამავალთა.

10. რომელმან ყოველი შჩული⁸ აღასრულოს და სცთეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისა თანა-მდებ.

11. რომელმან-იგი თქუა: ნუ იმრუშებ, მანვე თქუა: ნუ კაც-ჰკლავ⁹; უკუეთუ¹⁰ იმრუშო არა და კაც-ჰკლა, იქმენვე გარდამავალ შჯულისა.

12. ესრეთ¹¹ იტყოდეთ და ესრეთ ჰყოფდით, ვითარცა შჯულისა მიერ აზნაურებისა განშჯად ხართ.

13. რამეთუ საშჯელი უწყალო არს მისთჳს, რომელმან [9] არა ყოს წყალობაჲ, არამედ იქადოდეთ წყალობასა საშჯელისასა¹².

(5)

14. რაჲ¹³ სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ¹⁴

C¹

მაქუს, და საქმე თუ არარაჲ აქუნდენ? ვერ შეძლებელ არს სარწმუნოებაჲ ხოლო იგი ცხობებად მისა.

15. უკუეთუ ძმაჲ გინა თუ დაჲ შიშულ იყუნენ და ნაკლუღევენ მდღევისაგან საზრდელისა

16. და ჰრქუას ვინმე მათ თქუენგან-მან: წარვედ მშჯდობით, განძელით და განტეფით, და არარაჲ სცეთ სავმარი იგი ჳორცთაჲ, რაჲ-მე სარგებელ არს?

17. ეგრეცა სარწმუნოებაჲ: უკუეთუ საქმენი არა ჰქონან, მკუდარ არს იგი ხოლო.

18. არამედ თქუას თუ ვინმე: შენ სარწმუნოებაჲ გჳქუეს და მე საქმენი მქონან, მიჩუენე მე [92] სარწმუნოებაჲ შენი თვნიერ საქმეთა შენთა, და მე გიჩუენო¹⁵ შენ საქმეთა ჩემთაგან სარწმუნოებაჲ.

19. შენ გრწამს, რამეთუ ერთ არს ლმერთი, კეთილად ზამ, იგი ეშმაკთაცა-ჰრწამს და ძრწიან მისთჳს.

20. გნებაჲს ცნობად, ჳ კაცო ვინმე ცუდო, რამეთუ სარწმუნოებაჲ თვნიერ-საქმეთა ცუდ არს?

21. აბრაჰამ, მამაჲ ჩუენი საქმეთა-გან განმართლდა, რამეთუ შეწირა ისაკი, ცმ თხი საკურთხეველსა ზედა.

22. ხედავა, რამეთუ სარწმუნოებაჲ შეეწევის საქმეთა მისთა და საქმეთაგან სარწმუნოებაჲ იგი სრულ იქმნა?

23. და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყუს: ჰრწმენა აბრაჰამსა ლმერთი, და შეერაცხა მას სიმართლედ და მეგობარ ლმრთისა იწოდა.

¹ სოფლისან M. ² გამოირჩინა M. ³ თხსთა N. ⁴ კეთილად N. ⁵ ჰყოფთ N. ⁶ შჯულისაგან N. ⁷ შჯულისა N. ⁸ შჯული N. ⁹ ნუ კაც-კლავ M. ¹⁰ უკუეთუ M. ¹¹ ესრეთ N. ¹² N-ში ამის შემდგომ იწყება ახალი თავი ახალი სათაურით: იაკობის კეთილიცმ. ¹³ რაჲ-მე N. ¹⁴ აქედან მოყოლებული ბლოზედ N-ს აკლია. ¹⁵ გიჩუენო M.

ს¹

24. აწ ხედავთა, რამეთუ საქმეთაგან [უ] განმართლდების კაცი და (არა) ხოლო სარწმუნოებითა?¹

25. ეგრევე რაბ, მეძავი, საქმეთაგან განმართლდა, რამეთუ შეიწყნარნა

(6)

1. ნუ მრავალნი ჰმოდღურებთ, ძმანო ჩემნო! უწყოდეთ, ვითარმედ უდიდესი საშჯელი მოიღოთ.

2. რამეთუ ფრიად ვსცთებით ყოველნი. რომელი სიტყვითა არა სცთებოდის, იგი სრული კაცი არს, შემძლებელ არს იგი აღზრ-სხმად ყოველსავე გუამსა მისსა.

3. უკუთუ ცხენსა აღზრნი აღვა-სხნით დამორჩილებად ჩუენდა, ყოველი გუამი მისი მოვაქციით.

4. აჰა ესერა ნაენიცა ესოდენნი დიდ-დიდნი და ფიცხელთაგან ქართა [გ] მიმოდატაცებულთა მოიქცივიან მცირისაგან საქიაა, ვიდრეცა-იგი მისლვად განმმართებელსა² მას უნებნ.

5. ეგრევე ენა მცირს ასოჲ არს და დიდად მალოვის. აჰა ესერა კუალად მცირემან ცეცბლზან რავდენი ტყს აღაგზნის!

6. და ენა ეგრევე ცეცხლ არს, სამკაული სიტრუვისაჲ. ენაჲ დადგრომილ არს ასოთა შინა ჩუენთა, რომელი შეა-გინებს ყოველსა გუამსა და აღაგზებს ურმის თუალსა მან შესაქმისასა და აღაგზებულ არა გეჰენიდასაგან.

7. რამეთუ ყოველი ბუნებაჲ მწყეტაჲ და მფრანველთაჲ და ქუეწარმავლთაჲ და მსტურვალთაჲ დაიმწყსების და და-მწყსილ არს ბუნებასა ქუეშე კაცთასა.

8. [უ] ხოლო ენაჲ ვერვის დამწყსად ტელ-ეწიფების კაცთაჲ, დაუპყრობელი³ ბოროტი, საესე გესლითა მაკუდინებე-ლითა.

¹ სარწმუნებითა M. ² განმართებელსა M. ³ დაუპრობელი M.

ს¹

მსტურანი იგი და სხვთ გზით წარ-გზავნნა იგინი.

26. ვითარცა ჯორცნი თვნიერ სუ-ლისა მკუდარ არიან, ეგრეცა სარწმუ-ნოებაჲ თვნიერ საქმეთა მკუდარ არს.

3

9. რამეთუ მით ვაკურთხევთ ღმერთსა და მამასა. და მითვე ვსწყევთ⁴ კაცთა, რომელნი მსგავსად ღმრთისა შექმნულ არიან.

10. მიერვე პირით გამოვალს კურთხე-ვაჲ და წყევაჲ. არა ჯერ-არს, ძმანო ჩემნო, ესე ყოფად.

11. ნუუკუე წყაროდასაგან მისვე თუა-ლისაგან გამოდინ ტებილი და მწარს?

12. ეგების-მე რაჲა, ძმანო ჩემნო, ვი-თარმცა ლელუნან ზეთის ხილი გამოი-ლო, გინა ვენაჰმან ლელუ? ეგრევე ვერ-ცა მარინოვანი წყალი ტებილ ყოფად.

(7)

13. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ⁵ შორის, აჩუენენ კეთილთაგან სლვათა. საქმს თვისი სიმშვიდითა სი-ბრძნისათა.

14. უკუეთუ შური მწარს [გ] გაქუნ-დეს და ჯლომაჲ გულთა თქუენთა, ნუ იქადით და იტყუთ ქეშჰარიტებისათჲს.

15. არა არს ესე სიბრძნს ზეგარდა-მოსრული. არამედ ქუეყანისაჲ მშუმიწვი-ერი სუენმაყო.

16. სადა შური და ჯლომაჲ, მუნ არს შფოთი და ყოველი ჯერკუალი საქმს.

17. ხოლო ზეგარდამოჲ იგი სიბრძნს პირველად სწმინდს არს, მერმე მშუ-ლომაჲ, სახიერებაჲ, მორჩილებაჲ, საესს წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კე-თილთაჲთა, განუკითხველ, შეუორგუ-ლებელ⁶.

18. ნაყოფი სიმართლისაჲ, მშუდო-ბისაჲ მშედლობით დაეთესვის, რომელნი ჰყოფენ მშედობასა.

⁴ დაუპრობელი M. ⁵ ვსწყევთ M. ⁶ თქვენ M.

•• შეურავლებელ M.

C¹C¹

4

(8)

1. ვინაჲ არიან ბრძოლანი თქუენ შორის, ანუ ლაღვანი? ანუ არა მიერევე გულის თქუმათაგან თქუენთა, რომელნი განწყობილ არიან ასოთა შინა თქუენთა?

2. გული ვითქუამს [ჟ] და არა გაქუს, კაც-ჰლაუთ და ეშურობთ და ვერ ძალ-გიც მიმოხუეეად, ილაღვთ და იბრძავთ და არა გაქუს, რამეთუ არა ითხოვთ.

3. თქუენ ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ, რაჲთა გულის თქუმითა თქუენითა განილინეთ.

4. ვემრუშენო, ანუ არა უწყით, რამეთუ სიყუარული ამის სოფლისაჲ მტერობა არს ღმერთისა? რომელსა უჩნდეს მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგებრს.

5. ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ცუდად იტყვს წიგნი: საშურელად სურის სულსა, რომელი დამკვრებულ არს ჩუენ თანა?

6. უფროჲს მოცემად მადლისა; ამის-თჳს იტყვს: ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი.

7. დამოორჩილენით ღმერთსა და წინა-აღუდე[ი] გით ეშმაქსა და ივლტოდის თქუენგან.

8. მიეხლენით ღმერთსა და მოგეახლოს თქუენ. განიწმიდენით ჳელნი, ცოდვილნი, და განმართენით გულნი ორგულნი.

9. დამდაბლდით და ტიროდეთ. სიცილი თქუენი გლოვად გარდაიქციენ და სიხარული თქუენი მწუხარებად.

10. არამედ დამდაბლდით წინაშე უფლისა და მან აგამაღლნეს¹ თქუენ. (9)

11. ნუ ძვრსა იტყუთ, ძმანო ჩემნო, ურთიერთას. რომელი ძვრსა იტყოდის ძმისათჳს, გინა განიკითხვიდეს ძმასა თჳსსა, განიკითხავს² შჯულსა და დაშჯის შჯულსა; უკუეთუ შჯულსა შჯი, არა ხარ მყოფელი შჯულისაჲ, არამედ განმკითხველი.

12. ერთი არს შჯულისა მდებელი და გამკითხველი, რომელი შემძლებელ არს ცხორებად და წარწყმედად. [ჟ] შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ³ მოყუასსა?

13. აწ თქუენცა, რომელნი-ეგე იტყუთ: დღეს გინა ხელე წარვიდეთ რომელსაჲმ ქალაქსა და დავეით მუნ წელიწადი და ვივაჰროთ და შევიძინოთ.

14. რომელთა არა იცით ხეალისაჲ, რაჲდენ-მე უკუე არს ცხორებაჲ თქუენი? ვითარცა კუამლნი ხართ, რომელი მცირედ ჟამ ჩან და მერმე განჰქარდის.

15. ამის წილ რომელი-იგი გიღირს⁴ თქუმად: უკუეთუ უფალსა უნდეს და ვცხონდეთ და ვყოთ ესე ანუ იგი.

16. ხოლო აწ იქადით სილაღითა თქუენითა, ყოველივე სიქადული ესე-ვითარი ბოროტ არს.

17. რომელმან იცოდის კეთილისა საქმედ და არა ჰმნეს, ცოდვა არს მისა.

5

1. აწ თქუენცა მდიდარნი ტიროდეთ და გოდებდეთ⁵ უბადრუებათა⁶ მათ-თჳს თქუენ [ი] ზედა მომავალთა.

2. სიმდიდრს თქუენი დალბა და სა-მოსელი თქუენი მლილთა შეჰამეს.

3. ოქროჲ თქუენი და ვეცხლი

¹ აგამაღლნეს M. ² განიკითხეს M. ³ განიხთხავ M. ⁴ რომელი-იგი გიღირს [რწი-იგი ღირს M. ⁵ ასეა M (მთასალოდნელი იყო: გოდებდით). ⁶ უბადრუებათა M (პირველი ა მერმე ამოუშლიათ).

C 1

თქუენი დაგესლებულ არს და გესლი იგი მათი საწამებელად თქუენდა იყოს და შეშკამდეს ჯორცთა თქუენთა ვითარცა ცეცხლი. დაიუნჯეთ დღეთა მათ უკუანასკნელთა.

4. აჰა ესერა სასყიდელი მოქმედთა მათ, რომელთა განღეწეს ყანად თქუენი, დაკლებული იგი თქუენგან დაღებებს და ლაღებება იგი მომკალთაჲ ყურთა უფლისა ყოვლისა მპყრობელითა მთა მიიწია.

5. იშუებდით ქუეყანასა ზედა და იხარებდით. განზარდენით ჯორცნი თქუენნი ვითარცა დღედ კლვასა.

6. დასაჯეთ და მოკალთ მართალი იგი და არა წინა-აღვიდგა თქუენ.

(10)

7. სულ-გრძელ იქმნენით, ძმანო, ვიდრე მოსლვადმდე უფლისა. აჰა ესერა, მუშაი მოელის [x] პატროსანსა ნაყოფსა ქუეყანისასა და სულ-გრძელ არნ მის ზედა, ვიდრემდე მიიღოს (წვამად) მსთუაჲ¹ და მცხუელი².

8. სულ-გრძელ იქმნენით თქუენცა, განიმტკიცენით გულნი თქუენნი, რამეთუ მოსლვად მოახლებულ არს.

9. ნუ სულთ-ითქუამთ, ძმანო ჩემნო, ურთიერთას, რაჲთა არა განიკითხნეთ. აჰა ესერა, განმკითხველი კართა დგას.

10. სახედ ძვრის ხილვისა და სულ-გრძელებისა³ გეკსენედ, ძმანო ჩემნო, წინაწარმეტყუენნი, რომელნი-იგი იტყოდეს სახელითა უფლისაჲთა.

11. აჰა ესერა ვჰნატრით მოთმინეთა მათ. მოთმინებდა იობისი მასმიეს⁴ და აღსასრული უფლისაჲ იხილეთ, რამეთუ ფრიად [17] მოწყალე არს უფალი და ტკბილ.

C 1

(11)

12. ყოვლისა წინა, ძმანო ჩემნო, ნუ ჰფუცავთ ნუცა ცასა, ნუცა ქუეყანასა, ნუცა სხუასა ფიცსა; იყავნ თქუენი. 30 ჰე⁵ და არაჲ არა, რაჲთა არა ორ-გულეზასა შესცვვეთ.

13. შკირდეს თუ ვინმე თქუენგანსა, ილოცვედინ; მოლხინე თუ არს, გალობდინ.

14. უძლურ თუ ვინმე არს, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიაჲსათა და ილოცოს მისთვის და სცოს მას ზეთი სახელითა უფლისაჲთა.

15. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვროს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან. დაღათუ ცოდვად რაჲმე ექმნეს, მი-ვე-ეტივენენ მას.

16. აღუვარებდით ურთიერთას ცოდვათა და ულოცვედით ერთი-ერთსა, რაჲთა განიკურნეთ. [y] ფრიად შემძლებულ არს ვედრებდა წართლისაჲ და შემწე.

17. ელია კაცი იყო მსგავსი ჩუენი და ლოცვად ილოცა, რაჲთა არა წვმოს, და არა წვნა ქუეყანასა ზედა სამ წელ და ექუს თთუე⁶.

18. და მერმე ილოცა და ცამან წვმად მოსცა და ქუეყანამან აღმოაქცნა ნაცოფი თვისი.

19. ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუენ შორის სცოთეს გზისაგან ჰეშმარიტისა და თუ⁷ ვინმე მოაქციოს იგი,

20. უწყოდენ, რამეთუ რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცთურისა⁸ მისისა, იჰსნეს სული სიკუდილისაგან და დაფაროს სიმრავლეს ცოდვათაჲ.

† 7 ყ 7 რ ნი

¹ მთუაჲ M. ² მცხუელი M. ³ სულ-გრძელებისა M. ⁴ ასეა M (მოსალოდნელი იყო: გასმიეს). ⁵ 30 M. ⁶ თთუე M. ⁷ და თუ და ნუ M (=და ანუ?). ⁸ საცთურისაგან M.

საქართველოს უშიშროება

თემატიკა

ტ 1

ტ 1

1

(11/1)

1. პეტრე, მოციქული იესუ ქრისტისი, რჩეულთა მწირთა, განთესულთა პონტოხსა და გალატიასათა, კაბადუკიასათა და ბუთინიასათა,

2. წიხაჲს[ი] წარ ცნობითა ღმრთისა მამისაჲთა, სიწმიდითა სულისაჲთა დასამორჩილებელად და საბჭურებელად სისხლისა იესუ ქრისტისისა¹. მადლი თქუენ თანა და მშჯღობაჲ განმრავლდინ!

3. კურთხეულ არს ღმერთი და მამა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისი, რომელმან-იგი მრავლითა მით წყალობითა თვისითა კულად გუშვნა² ჩუენ სასოებად³ ცხოველად აღდგომითა იესუ ქრისტისითა მეუდრეთით,

4. სამკვდრებელად უხრწნელად და შეგინებელად და დაუქნობელად დამარხული ცათა შინა თქუენდა მიმართ,

5. რომელნი-ეგე ძალითა ღმრთისაჲთა მოკვეულ ხართ⁴ სარწმუნოებითა ცხოვრებასა მას გამზადებულსა გამოჩინებად ეამსა მას მარჯუესა.

6. რომლითა გიხარის მცირედ აწ, უკეთუ ჯერ-არს, რომელნი-ეგე შეწუხებულ იყვენით მრავალ-ფერთა ზედა [ჲ] განსაცდელთა,

7. რაჲთა გამოცდილებაჲ ეგე სარწმუნოებისა თქუენისაჲ უპატიოსნეს ოქროსა მის წარწყმედლისა და ცეცხლი-

საგან გამოცდილისა იპოოს საქებელად⁵ დიდებად და პატივად⁶ გამოჩინებასა იესუ ქრისტისსა,

8. რომელი-იგი არა იცოდნეთ და გიუყუარს, რომელსა-იგი აწ არა ხედავთ და გრწამს.

(12/2)

იხარებდით სიხარულითა გამოუთქუმელითა დიდებულთა.

9. და მოილოთ⁶ აღსასრულსა მას სარწმუნოებისა თქუენისასა ცხოვრებად სულთაჲ,

10. რომლისა ცხოვრებისათჳს გამოიძიეს და გამოიკულიეს წინაწარმეტყუელთა, რომელნი თქუენდა მადლსა მას წინაწარმეტყუელებდეს,

11. გამოეძიებდეს, ოდეს ანუ რომელსა [99] ეამსა ეუწყებოდა მათ შორის სული ქრისტისი, წინაჲსწარ წამებად ქრისტისთა მათ ვნებათა და მისა შემდგომად დიდებათა.

12. რომელთა-იგი გამოეცხადა, რამეთუ არა თავთა თჳსთა, არამედ თქუენ გამსახურებდეს მას, რომელ-ესე აწ მიგეტხრა თქუენ მახარებელთა მათ თქუენთა მიერ სულითა წმიდითა მოვლინებული ზეცით, რომლისათჳს გული უთქუამს ანგელოზთა ხილვად.

(13/3)

13. ამისთჳს მოირტყენით წელნი გონებათა თქუენთანი, ფრთხილ იყვენით და სრულიად ესევდით მოწეენულსა მას

¹ ქრსტსა M (ს და ა ასოებს შორის ორი ასოს მანძილია, ასოები გადაშლილია და რა ეწერა აქ, ფოტოში აღარ იკითხება). ² გუშვნა M. ³ სასაებად M. ⁴ მოკვეულ ხართ მოცემულ ხართ M. ⁵ პატივად და M. ⁶ მოილოთ M.

ტ¹

მათსა¹ მადლსა გამოცხადებასა იესუ ქრისტესსა.

14. ვითარცა შეიღნი მორჩილებისანი და ნუ თანა-ხატ-უქმნებით პირველთავე მათ უმეტერებისა თქუენისა გულის თქ[ა]უმასა,

15. არამედ მწოდებელისაებრ თქუენისა წმიდისა და თქუენცა წმიდა იყვენით ყოველსავე შინა სლვასა თქუენსა.

16. რამეთუ წერილ არს: წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ.

17. და უკუეთუ მამით ხადით მას, რომელ-იგი თულ-უხუავად მსაჯული არს თითოეულისა საქმესა, შიშით მწირობისა მაგის თქუენისა ჟამნი აღასრულენით.

18. უწყოდეთ, რამეთუ არა განხრწნადითა ვეცხლითა გინა ოქროთა იქსნენით² თქუენ ამოღსა მისგან მამათა მოცემულისა სლვისა,

19. არამედ პატიოსნითა სისხლითა³, ვითარცა ტარიგისა უმნაკოსსა და უბიწოვსა ქრისტესითა,

20. რომელი წინადასწარ უწყებულ იყო უწინარს სოფლის დაბადებისა და

ტ¹

გამოჩნდა უკუნადას[100]კნელთა ჟამთა თქუენთვის;

21. რომელ-ევე მის მიერ მორწმუნენი ხართ ღმრთისანი, რომელმან-იგი აღადგინა მკუდრეთით⁴ და მისცა მას ღიდებად, რათა თქუენი იგი სარწმუნოებად და სასოებად იყოს ღმრთისა მიმართ.

22. სულნი თქუენნი განიწმიდენით მორჩილებითა ქეშმარიტებისაჲთა, მამათ მოყუარებისათჳს შეუორგულებელ⁵ იყვენით გულითად, ურთიერთას იყუარობდით განმარტებულად.

23. რამეთუ მეორედ შობილ ხართ არა თესლისაგან განხრწნადისა, არამედ უხრწნელისა სიტყუათა ღმრთისაჲთა და საუკუნოჲთა.

24. რამეთუ ყოველი ჯორციელი თივაჲ არს და ყოველი ღიდებაჲ მისი, ვითარცა ყუაილი თივისაჲ: განკმა თივაჲ და ყუაილი მისი დასცვა.

25. ხოლო სიტყუად უფლისაჲ ჰგიეს უკუნისამდე.

(14/4)

ესე იგი არს სიტყუად, რომელი გეხარა თქუენ.

2

1. [უ] განიშორეთ ყოველი უკეთურებაჲ და ყოველი ზაკუვაჲ და ორგულებაჲ და შური და ყოველივე ძრის სიტყუად.

2. ვითარცა აწინდელ შობილთა ყრმათა უზაკუველი იგი სძლ გსუროდენ, რათა მას შინა აღორანდეთ ცხორებად.

3. უკუეთუ გემოდ გიხილავს, რამეთუ ტკილ არს უფალი,

4. რომელსა-ევე მოუტედილთ ლოდსა ცხოველსა, რომელი-იგი კაცთაგან შეურაცხ-იქმნა, ხოლო ღმრთისაგან რჩეულ და პატიოსან.

5. და თქუენცა, ვითარცა ლოდნი ცხოველნი აღიშენებით⁶ სახლად სულიერად, სამღდელოდ წმიდად, შესაწირავად⁷ სულიერთა⁸ მსხუერპლთა სათნოდ ღმრთისა იესუ ქრისტეს მიერ.

6. რამეთუ წერილ არს წიგნსა: აჰა დაესტე სიონს შინა ლოდსა საკიდურსა, რჩეულსა, პატიოსანსა და რომელსა ჰრწმენ[101]ნეს იგი, არა რცხუნენს.

7. თქუენდა არს პატივი მორწმუნეთა მგაათ, ხოლო ურწმუნოთა — ლოდნი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა,

¹ ეს სიტყვა ორჯერაა გამოვრებული M-ში. ² იქსნენით M. ³ პატიოსნისა სისხლისა M.

⁴ აღადგინა მკუდრეთით M. ⁵ შეურგულებელ M. ⁶ ასეა M. ⁷ შესაწირავად M. ⁸ სულირთა M.

C¹

იგი იქმნა თავ კიდეთა და ლოდი შეზრკოლებისა და კლდს საცთურისაჲ,

8. რომელნი შეზრკოლებიან სიტყუასა მას ურჩებით, რომელსაცა ზედა დაესხნეს.

9. ხოლო თქვენ, ნათესავი რჩეული, სამეფუჲო სამღდელოჲ, თესლა წმიდაჲ, ერი მოგებული, რაჲთა სათნოებასა მიუთბრობდეთ, რომელმან¹ ბნელისაჲ განვიწოდა თქვენ საკვრელსა მას ნათელსა მისსა,

10. რომელნი-ეგე ოდესმე არა ერღმრთის, ხოლო აწ ერნი ღმრთისანი ხართ, რომელნი-ეგე არა შეწყნარებულ, აწ შეწყნალენით.

(15/5)

11. საყუარელნო, გლოცავ თქვენ, ვითარცა მწირთა და წარმავალთა, [z] განეშორენით ჳორციელთაგან² გულის თქუმათა, რომელნი ეწყვებიან სულსა.

12. სლვაჲ თქუენი წჳრმართთა შორის გაქუნდინ კეთილი, რაჲთა რომლისათჳს-იგი ძკრსა იტყუან თქუენთჳს, ვითარცა ძკრის მოქმედთასა, კეთილთაგან საქმეთა შეიქუდენ და აღიდებდენ ღმერთსა დღესა მას მოხედვისასა.

13. დაემორჩილენით ყოველსა კაცობრიგსა დაბადებულსა უფლისათჳს, გინა თუ მეფესა, რამეთუ ყოველთა ზედა არს,

14. გინა თუ მთავართა, ვითარცა მის მიერ მოვლინებულთა³ შურის მძიებელად ბოროტის მოქმედთათჳს და მატებელად კეთილის მოქმედთათჳს,

15. დაყოფად პირთა კაცთა უგუნურთა უმეტრებასა.

16. ვითარცა აზნაურნი და ნუ ვი-

C¹

თარცა საფარველად გაქუნ უკეთურები[102]სა აზნაურებაჲ ეგე, არამედ ვითარცა მონანი ღმრთისანი

17. ყოველთა პატივ-სცემდით, ძმათა ჳუარობდით, ღმრთისა გეშინოდენ, მეფესა პატივ-სცემდით.

(16/6)

18. მონანი დაემორჩილენით ყოველთა მოშიშებითა უფალთა თჳსთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტყბილთა, არამედ უსახურთაცა.

19. რამეთუ ესე არს მაღლი ღმრთისაგან: უკუეთუ გონებისათჳს კეთილისა დაეითმინით მწუხარებაჲ, ევენებინ თუ სიცრუევით.

20. რომელი უმჯობსს არს, უკუეთუ ვკოდვიდეთ და ვიქვჩნებოდით და მოვითმენდეთ? არამედ უკუეთუ კეთილსა იქმოდით და გვენებოდის და მოითმენდეთ, ესე მაღლი ღმრთისაგან არს.

21. იჩინებითვე ამისთჳა, რამეთუ ქრისტემანცა ივნო თქუენთჳს და თქუენ დაგიტევა ჳელით წერილი, რაჲთა შეუდგეთ კულთა მისთა,

22. რომელმან-იგი ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა [z] ჳაკუვაჲ პირსა ნისსა;

23. რომელი ივინებოდა და იგი არავის ავინებდა, ევენებოდა და არავის უთქუმიდა, მიეცა მსაჯულსა სიცრუევით;

24. რომელმან ცოდვანი ჩუენნი თავისხნა ჳორცითა თჳსითა ძელსა ზედა, რაჲთა ცოდვასა განეშორნეთ და სიმართლით ეცხონდებოდით, რომლისა-იგი წყულულებითა განეკურნენით⁴.

25. იყვენით⁵, ვითარცა ცხოვარნი შეცთომილნი, არამედ მოკცეულ ხართ აწ მწყემსისა მის და მოლუაწისა სულთა თქუენთაჲსა.

¹ რომელნი M. ² ჳორციელთაგან M. ³ მოვლინებულთა M. ⁴ განეკურნენით M. ⁵ იყვენით M (ჳიყვენით) ჳომ არ იყო დედანში, საიდანაც ვადმოიწერა M, ან მისი წინამორბედი?..

C¹C¹

3

(17/7)

1. ეგრევე ცოლნი დაემორჩილენით თჳსთა ქმართა, დაღათუ ვიეთინმე ურჩ არიან სიტყუსა მის, დედათა სლვისაგან თჳნიერად სიტყუსა შეეძინნენ,

2. ხედვიდენ რად იგინი შიშით წმიდასა მას [103] სლვასა თქუენსა,

3. რომელ-ესე არს არა გარეშთა¹ შით განთხზვითა თმისაგათა და ოქროსსა შესხმითა, გინა შემოსითა სამოსლისა შემკობითა,

4. არამედ დაფარულითა შით² გულისა კაცისა უხრწნელითა შით სიმშუდისაგათა და ყუღარობისა სულითა, რომელ არს წინაშე ღმრთისა პატრიოსან.

(18/8)

5. ესრევე ოდესმე წმიდანისა იგი დედანი, რომელნი ესვიდეს ღმერთსა, შვიმკობდეს თავსა თჳსსა და დამორჩილებულ იყვნეს თჳსთა ქმართა,

6. ვითარცა-იგი სარა ერჩდა აბრაჰამსა და უფლით ხადოდა მას, რომლისა-იგი იქმნენით მშვილ კეთილის მოქმედ და არა გეშინოდის არცა ერთისა შიშისა.

7. ქვარნი ეგრევე მსგავსად თანა-ეყვენით შენდობით, ვითარცა უუძლურესსა³ ქურსა და დედათასა [x] მისცემდით პატივსა, ვითარცა თანა-მკვდრთა მადლისა მის ცხორებისათა, რაგათა არა დააცადოთ ლოცვასა თქუენსა.

8. ხოლო დასასრულად ყოველნი ერთ-ზრახვა იყვენით, მოწყალე⁴, ძმათ მოყუარე, მოწყალე, მდაბალ.

9. ნუენ ბოროტსა ბოროტისა წილ

მიაგებთ, ნუცა გინებასა საგინებელისა წილ; წინააღმდეგმას მას აკურთხევდით, (19/9)

რამეთუ ამისთჳს იჩინენით, რაგათა კურთხევა დაიმკვდროთ.

10. რამეთუ რომელსა უნდეს სიყუარული ცხორებისა და ხილვად დღენი. ცხორებისანი, დააცხრვენ ენად თჳსი ბოროტისაგან და ბაგითა ნუ იტყუიედ ზაკვასა,⁵

11. მოაქციენ ბოროტისაგან და ქმენინ კეთილი, მოიძიენ მშუდობად და მისდევდენ მას.

12. რამეთუ თუალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყურნი ლო[104]ცვასა მათსა ზედა, პირი უფლისად მოქმედთა ზედა ბოროტისათა.

13. და ვინ-მე არს ბოროტის მყოფელ თქუენდა, უკეთუ თქუენ კეთილის მობაძვე იქმნენთ?

14. დაღათუ გეგნებოდის სიმარტოლისათჳს, ნეტარ ხართ, შიშისა მათისაგან ნუ გეშინინ, ნუცა შესძრწუნდებით.

15. უფალი იესუ ქრისტე წმიდა ყავთ გულთა შინა თქუენთა, განმზადებულ იყვენით მარადის სიტყუს მიგებად ყოვლისა, რომელი ეძიებდეს სიტყუასა თქუენ შორის სასოებისა მისთჳს, არამედ სიმშუდით და შიშით.

16. გონებაჲ გაქუნდინ კეთილი, რაგათა, რომლითა-იგი ძვრსა გეტყოდიან. ჰრცხუნოდის მათ, რომელნი-იგი გამძლავრობენ თქუენ კეთილითა შით⁶ ქრისტეს მიერ სლვითა.

¹ გარეშთა M. ² შით* სტრიქონს ზემოთაა ჩამატებული წერილი ასოებით. ³ უუძლურეს M.

⁴ ეს სიტყვა წერილი ასოებითაა ჩამატებული, ნაწილი სტრიქონებს შორისაა მოქცეული.

⁵ იტყუიედ M. ⁶ ასეუ M (მოსალოდნელი იყო: ზაკუვასა). ⁷ თინან M. ⁸ შით* ჩამატებულია წერილი ასოებით სტრიქონს ზემოთ.

ტ¹
(—/10)

17. უმჯობეს არს¹, კეთილსა თუ იქმოდით და ეგრე ჯერ-უჩნდეს ნებასა ღმრთისასა [x] ვნებად თქუენი, ვიდრე-ლაბოროტსა თუ იქმოდით.

18. ხოლო ქრისტემანცა ერთ გზის ცოდვათა ჩუენთათჳს ივნო, მართალმან ცრუთათჳს, რაჲთა ჩუენ წარგვდგინეს ღმერთსა, მოკუდა ჯორცითა და ცხონდა სულითა.

19. რომლისაგან საპყრობილესა მას შინა სულთა მივიდა და ქადაგა,

20. რომელნი-იგი ურჩ ოდესმე იყუნეს,

ტ¹
(20)

რაჲამს-იგი თავს-ედვა სულ-გრძელე-ბასა ღმრთისასა დღეთა მათნოესთა, შემზადებასა კიღობნისასა², რომელსა შინა იყუნეს მცირედნი, [105] ესე იგი არს რვანი სულნი განერნეს წყლისაგან.

21. რომლისა სახედ აწ თქუენცა გაცხოვნებს ნათლის-ღებად, არა ჯორცთაგან განშორებად მწინეკულისად, არამედ გონებისა სათნო-ყოფად ღმრთისად აღდგომითა იესუ ქრისტესითა,

22. რომელი არს მარჯუენით ღმრთისა, რომელი ამაღლდა ზეცად. დაემორჩილნეს მას ანგელოზნი და ჭელმწიფებანი და ძალნი.

4

(—/11)

1. ქრისტემან რაჲ ივნო ჯორცითა და თქუენცა იგივე გონებად შეიჭურეთ, რომელმან ივნო ჯორცითა, დაცხრომილ არს ცოდვისაგან,

2. რაჲთა არღარა იყოს კაცთა გულის თქუმასა, არამედ ნებითა ღმრთისადთა ნემტნი იგი ჯორციელებისა ჟამნი ცხორებად.

3. კმა არიან წარსრულნი იგი ჟამნი ნებისაებრ წარმართთაჲსა [x] საქმედ, რომელნი-იგი ვლენან არაწმიდებითა და გულის თქუმითა, მთრვალობითა, სიმღერითა, შუებითა და უჯეროთა ეკრპთ-მსახურებითა.

4. რომლისაგან უჯვრს არა თანა-სრებად თქუენი მასვე არაწმიდებისა აღრევასა და ჰგომობენ.

5, რომელთა სიტყუად მიუგონ მას, რომელ-იგი განმზადებულ არს გან-შუად ცხოველთა და მკუდართა.

6. რამეთუ ამისთჳს ესმა მკუდართა, რაჲთა ისაჯნენ კაცობრივ ჯორცითა და ცხონდენ ღმრთისა მიერ სულითა.

7. ყოველთა დასასრული მოიწია; განიწმიდენით, განიფრთხვეთ ლოცვად.

8. ყოვლისა წინა ურთიერთას სიყუარული განმმართველი გაქუნდინ, რამეთუ სიყუარულმან [106] დაფარის სიმრაველ ცოდვათაჲ.

9. სტუმართ მოყუარე იყვენით ურთიერთას თჳნიერ დრტკვნისა.

10. კაცად-კაცადმან, ვითარცა მიიღო ღმრთისაგან მაღლი, მას ეგრევე ურთიერთას ამსახურებდით, ვითარცა კეთილნი მნენი მრავალ-ფერისა მის ნიქისა ღმრთისანი.

11. რომელ-იგი ვინმე იტყოდის სიტყუთა ღმრთისაჲთა; რომელი მსახურებდეს, ვითარცა ძალისაგან, რომელსა მოსცემს ღმერთი, რაჲთა ყოველსა შინა იდიდებოდის ღმერთი ქრისტე იესუსჲს მიერ, რომლისად არს დიდებად და ძალი უკუნისამდე, აწ.

12. საყუარელნო, ნუ გიკვრნ თქუენ თანა განჭურვებად ეგე, რომელი განსაც-

¹ „არს“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ წერილი ასოებით. ² კიღობნისა M.

C1

დელად იქმნის თქვენ თანა, რეცათუ უცხოა (რამე) შეგემთხვოს თქვენ.

13. არამედ რავდენ-ეგე ეზიარებით ვნებათა ქრისტესთა, გიხაროდენ, რაათა გამოჩინებასა [ჟ]ცა დიდებისა მისისასა გიხაროდის და მხიარულ იყუნეთ.

14. უკუეთუ იყუდრებით სახელისათს უფლისა, ნეტარ ხართ, რამეთუ დიდებისა სული ღმრთისაა თქვენ ზედა განსუენებულ არს.

15. ნუმცა ვის თქუენგანსა ევნების, ვითარცა კაცის-მკლველსა, გინა მპარავსა, გინა ძკრის მოქმედსა, გინა ვითარცა უცხოა¹ მოლუაწესა;

C1

16. უკუეთუ ვითარცა ქრისტიანესა, ნუ ჰრცხუენინ, არამედ აღიდებდინ ღმერთსა სახელითა მისითა.

17. რამეთუ ეამი პირველად საზღვლისაა სახლისაგან ღმრთისა იწყოს; უკუეთუ პირველად ჩუენგან, რამე იყოს აღსასრული ურჩთა მათ სახარებისა ღმრთისათაა?²

18. და უკუეთუ მართალი ძნიაღ [107] განერეს, უღმრთოა იგი და ცოდვილი სადა-ლა ჩნდეს?

19. ამიერითგან რომელთა ევნებოდის ნებითა ღმრთისაათა სარწმუნოებისა და მბადებელსა შეჭვედრენდ³ სულნი თჳნი საქმითა კეთილითა.

5

(21)

1. ხუცესთა მათ თქუენ შორის ულოცავ, ვითარცა თანა-ხუცესი და მოწამელ ვნებათა⁴ მათ ქრისტესთაა, და მერმისა გამოჩინებისა⁵ დიდებისა ზიარი; მწყსილით თქუენ შორის სამწყსოსა მას ღმრთისასა,

2. ილუწილით⁶ ნუ იძულებით, არამედ ნებითა ღმრთისა მიერ, ნუცა სადაგელებისა შეძინებითა, არამედ გულს-მოდგინედ.

3. ნუცა ვითარცა ეუფლებით მდღელთა მათ ზედა, არამედ სახე ექმნენით⁷ სამწყსოსა მას.

4. და გამოჩინებასა მას მწყემსთ მთავრისასა [ჟ] მოილოთ და უქნომელი იგი დიდებისა გვრგვნი.

5. ეგრევე კაბუქნი დაემორჩილენით მოხუცებულთა; და ყოველთავე ურთიერთის სიმდაბლმ შეიმოსეთ, რამეთუ ღმერთს ამპარტავანთა შემუსრაეს, ხოლო მდაბალთა მოსცის მაღლი.

6. და- უკუე -მდაბლდით წინაზე მტკიცესა⁸ ჳელსა ღმრთისასა, რაათა აღგამალნეს⁹ თქუენ ეამსა მას მოხედვისასა.

7. ყოველი ზრუნეა თქუენი მიუტევეთ მას. რომელ-იგი ილუწის თქუენთჳს.

(22)

8. განიფრთხევით, მღკაძრე იყვენით, რამეთუ მოსაჯული იგი თქუენი ეშმაკი, ვითარცა ლომი მყურიალ¹⁰ მიმოვალს და ეძიებს, ვინცა შთანთქა¹¹.

9. რომელსა წინა-აღუდევით მტკიცედ სარწმუნოებითა, [108] უწყოდეთ იგივე ვნებათა მათ და ამას სოფელსა ძმობასა მას თქუენსა აღასრულებდით.

10. ხოლო ღმერთმან ყოველისა მაღლისამან, რომელმან გიჩინა თქუენ საუკუნესა მას დიდებასა ქრისტემ იესუმს მიერ, მცირედ-ლა თუ გვენო, მან განგამტკიცენინ და დაგაფუნენინ,

11. რამეთუ მისი არს სიმტკიცემ უკუნითი უკუნისამდე, ან.

¹ უცხოა M. ² ღმრთისათა M. ³ შეჭვედრენდ M. ⁴ ევნებათა M. ⁵ გამოჩინებისა M. ⁶ ილუწ-
დით M. ⁷ სახე ექმნენით M. ⁸ მტკიცესა M. ⁹ აღგამალნეს M. ¹⁰ მყურიალ M. ¹¹ შთანთქა M.

ს¹

12. სილოვანეს მიერ, ძმისა თქუენისა სარწმუნოდასა, ვითარ-იგი მცირედ მიეწერე და გლოცვედ და გიწამებდ, ეგრე შემირაცხიეს, ვითარმედ ესე არს კემმარტი მადლი, რომელსაცა ზედასდგათ.

ს¹

13. გიკითხავს თქუენ რომელ არს ბაბილონს შინა რჩეულისა მის თანა და მარკოს, ძმ ჩემი,

14. მოიკითხევდით ურთიერთას ამბორის-ყოფითა¹ სიყუარულისადათა. მშჯლობაჲ თქუენ თანა, ყოველნი რომელნი ხართ ქრისტე იესუმს მიერ.

ქ¹ ყ¹ რ¹ი
ოღ¹ყოთ

¹ ამბორის-ყოფითა M.

I

(23)

1. სემერ-პეტრე, მონა და მოცი-
ქული იესუ ქრისტესი, რომელთა-ეგე
სწორი პატივი ხუედრებულ არს თქუენ-
და სარწმუნობაჲ სიმართლითა ღმრთი-
საჲთა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესითა.

2. მაღლი თქუენ თანა და მშუდო-
ბაჲ განმრავლდინ მეცნიერებითა უფლი-
სა ჩუენისა იესუ ქრისტესითა.

3. რომელმან-იგი ყოველი თვისთა
ღმრთეებისა ძალი საცხოვრებელად და
ღმრთისა სამსახურებელად მოგუანიჭა
ჩუენ მეცნიერებითა მისითა, რომელ-
მან-იგი მიჩინა ჩუენ თვისა მას ღიდე-
ბასა და სათნობასა.

4. რომლისაგან ჩიდ-ღიდნი და პა-
ტიოსანნი აღთქუენი ჩუენ მოგუანიჭნა,
რათა ამის გამო იყუნეთ საღმრთოჲსა
მის ზიარ² ბუნებისა, ევლტოდეთ [109]
სოფლისა ამის გულის თქუმისა ხრწნი-
ლებასა.

5. და თქუენცა ესრევე ყოველი მო-
სწრაფებაჲ მოიპოვეთ და ყავთ სარწმუ-
ნობასა შინა თქუენსა სათნობაჲ, სათ-
ნოებაჲ შინა—მეცნიერებაჲ,

6. მეცნიერებასა შინა—მარხვაჲ, მარ-
ხვასა შინა—მოთმინებაჲ, მოთმინებასა
შინა—ღმრთის მსახურებაჲ,

7. ღმრთის მსახურებასა შინა—ძმათ
მოყუარებაჲ, ძმათ მოყუარებასა შინა—
სიყუარული.

8. ესე რაჲმს იყოს თქუენ შორის და
გარდაგმატოს არა უქმად, არცა უნა-
ყოფოდ იპოვნეთ თქუენ უფლისა ჩუე-
ნისა იესუ ქრისტესსა მას გამოცნო-
ბასა.

9. რომელსა კაცსა თანა ესე არა არს,
იგი ბრმა არს, მწერსა ანრღილად ხე-
დავს, რამეთუ დაავიწყდეს¹ განწმედანი
იგი პირველთა მათ ცოდვათა მისთანი.

10. ამისთჳს, ძმანო, უფროჲს-ლა
ისწრაფეთ, რათა კეთილთაგან საქმეთა
მტკიცე² [უ] ჰყოთ ჩინებაჲ ეგე და რჩეუ-
ლებაჲ თქუენი; ამას რაჲ იქმოლით,
არასადა სცთეთ.

11. არამედ ესრეთ მდიდრად წარმო-
გემართოს თქუენ შესავალი იგი საუ-
კუნესა მას სასუფეველსა ღმრთისა ჩუე-
ნისასა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესა.

(24)

12. ამის გამო ვიზრუნოთ თქუენდა
მოკსენებად მარადის, დაღათუ იცით
და მტკიცე² ხართ მოწვეწულსა მას ზედა
ქეშმარტებასა.

13. სამართლად შემირაცხიეს, ვიდ-
რე-ესე ვარ მე ამას სოფელსა, განლ-
ძებად თქუენდა მოკსენებითა.

14. უწყი, რამეთუ აღრე ყოფად არს
დატევებაჲ საყოფლისა ამის ჩემისაჲ,
ვითარცა-იგი უფალმან ჩუენმან იესუ
ქრისტემან მალუწყა მე.

¹ დავიწყდეს M (ან ასე: დავიწყდეს? შდრ. დავიწყდა 2 პეტ. 3, 5). ² მტკიცე M.

C¹

15. და ვისწრაფო, რადთა კაცად-კაცადსა თქუნესა აქუნდეს შემდგომად განსლვისა ჩემისა ამათი მოქსენებისა ყოფად.

16. [110] რამეთუ არა მეცნიერებისა ზღაპართ შეუდევით და გაუწყებ თქვენ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ძალი და მოსლვად, არამედ თვთ ვხედვედით მისსა მათ სიმდიდრესა.

17. რამეთუ მოილო ღმრთისაგან მამისა პატრიუ და დიდებად, ჳმად, რომელი მოიწია ამისა ესევითარისაგან დიდად შეუნიერისა დიდებისა: ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი შესათნო-ვიყავ.

18. და ესე ჳმად ჩუენ გუესმა ზეცით მოსრული, მის თანა რად ვიყვენით მათსა მას წმიდასა.

C¹

19. და მაქუს ჩუენ უმტკიცისი საწინაწარმეტყუელოდ სიტყუად; რომელ კეთილად ჳყოთ, ეკრძალენით თუ ვითარცა სანთელსა აღნთებულსა წყუდი-აღსა ადგილსა, ვიდრე დღე განათლდეს და მთიები გამობრწყინდეს¹ გულთა თქუნთა.

(25)

20. ესემცა პირველად უწყით, რამეთუ ყოველი წინაწარმეტყუელებად წიგნისად თვისსა თავისა სათარგმანებელ არა არს.

21. რამეთუ არა ნებითა [z] კაცი-სადთა მო-სადამე -იწია² წინაწარმეტყუელებად, არამედ სულისა მიერ წმიდისა წუევეითა იტყოდეს წმიდანთ ღმრთისა კაცნი.

2

1. იყუნეს ცრუ-წინაწარმეტყუელნიცა ერსა შორის, ვითარცა-ეგე თქუნეს შორის ყოფად არიან ცრუ-მომღუარნი, რომელთა-იგი შემოილონ წვალებად წარწყმედისად და განმათავისუფლებელსა უფალსა მათსა უფარ-ჰყოფდენ და მოიზიდიდენ თავისა თჳსისათჳს მსთუად წარწყმედასა.

2. და მრავალნი შეუდგენ მათსა მას არაწმიდებასა, რომელთაგან გზად იგი კეშმარტებისად იგებოდის.

3. და ანგაპრებითა და³ ტუყუელისა სიტყუთა თქუნეს გეტყეოდინან, რომელთა-იგი საშუკელი პირველითგან არა დაცხების და წარსაწყმედელსა მათსა არა პრულის.

4. [111] უკუეთუ ღმერთმან ანგე-ლოზთა მათ შეცოდებულთა არა პრი-

და, არამედ ჯაქუებითა მით წყუდი-აღსადთა შეაყენნა და მისცნა იგინი სატანჯველად⁴ ტანჯვითა დამარხვად.

5. და პირველსა მას სოფელსა არავე პრიდა, არამედ მერვლ ნოვე, სიმართლისა ქადაგი, დაჰმარხა და წყლით რლუნად იგი უღმრთოთა მათ⁵ საფელსა მოაწია.

6. და ქალაქები იგი სოდომელთად (და) გამორელთად დაწუა⁶ და დააქცია და დასაჯა და სახედ მერჳეთა მათ უღმრთოთათჳს დადვა.

7. და მართალი ლოთ, დაწუნებულნი შორის უწყსოთა მათ სიბილწით მავალთაჲს იქნას.

8. რამეთუ ხედვითა⁷ და სმენითა მართალი იგი დამკვდრებულ რად იყო მათ შორის, დლითი-დღედ სული იგი

¹ გამობრწყინდეს M. ² მოსადამოიწია M. ³ და³ ორჯერად გამოვრებული M-ში. ⁴ სატანჯველად (ორი ასო: „ტა“ სიტყვის ზემოთა წვრილი ასოებით ჩამატებული) M. ⁵ მას M. ⁶ სოდომელთად დაწუა M] „გამორელთად“ მერგვა მიწერილი სხვა ხელით. ⁷ ხედვიდა M.

C 1

მისი მართალი უფროებსა მის საქმე-
თავან იტანჯებოდა.

(26)

9. იცის უფალმან ღმრთის მსახურ-
თაჲ მათ [v] განსაცდელისაგან ჳსნაჲ,
ხოლო ცრუნი იგი დღესა ზას საშჯე-
ლისასა ტანჯვასა შინა დაიძარხნეს.

10. უფროეს-ლა კადნიერნი და თავ-
ჯდონი დიდებთათჳს არა ძწიან, არა-
წედ ჰგნობენ.

11. სადა-ლა ანგელოზნი ძლიერნი
ძალითა, რომელნი უფროეს არიან, ვერ
მოაწიიან¹ მათ ზედა უფლისა მიერ გმო-
ბისა საწჯელი.

12. ხოლო ესენი. ვითარცა პირუტყუ-
ნი საცხოვარნი, შობილნი ბუნებით
მოსასრველად და განსარყუნელად, რო-
მელ-იგი არა იციან და ჰგმობენ და
ჭრწნილებითა მათითა განირყუნენ.

13. და მოიღონ სასყიდელი სიცრუ-
ვისა მათისაჲ. გულის თქუმაჲ იგი შეუ-
რაცხიეს, ვითარცა დღს შეუბისაჲ².
შეგინებულნი და მიწიერნი იშუებენ
სიყუარულსა შინა მათსა და თქუენ
შეგ[112]ცხრებიან.

14. თუალნი ასხენ საესენი მრუშე-
ბითა, დაუცხრომელითა ცოდვითა, შე-
იტყუვიან სულთა დაუმტკიცებულთა³.
გულნი ჰჭონან წურთილნი ანგაპრე-
ბითა, წყევისა შეილნი.

15. დაუტევეს წრფელი გზაჲ და შე-
სცთეს, შეუდგან ივინი გზასა მას ბა-
ლამის ბოსორელისასა, რომელნან-იგი
სასყიდელი სიცრუვისაჲ შეიყუარა.

1. ესე, საყუარელნი, მეორედ მიე-
წერ თქუენდა წიგნსა, რომლითა განგა-
ლჳძებ თქუენ მოჳსენებითა ამით უმჯო-
ბსსისა გონებასა,

C 1

16. მამხილებელად აქუნდა თჳსისა.
უშრელოებისა კარაული უტყვ, რომელი-
კაცობრივითა კმითა იტყოდა და და-
აყენა წინაწარმეტყუელისაჲ მის უგუ-
ნურებაჲ.

17. ესე არიან წყარონი ურწყულნი
და არმურნი ქართა მიმოტაცებულნი,
რომელთათჳს წყუდიადი იგი ბნელისაჲ
დამარბულ არს.

18. რამეთუ გარდარეულსა მას ამა-
ოებისასა იტყვან და აიძულებენ გულის
[v] თქუმასა ჳორცთა ბილწებასა მათ,
რომელნი-იგი მციერედ განრინებულ
არიან⁴ საცთურისაგან სლვისა.

19. აზნაურებასა რასმე აღუთქუმენ
და ივინი მონანი არიან ხრწნილებისა-
ნი. რომლისაგან-იგი ვინ მოუიღლურ-
დეს⁵. მოსაცა მონა არნ.

20. უკუეთუ რომელნი-იგი განრინე-
ბულ იყუნეს შეგინებისაგან ამის სოფ-
ლისა მეცნიერებითა უფლისა ჩუენისა
და მაცხოვრისა იესუ ქრისტსსითა და
მასევე კუალად აღერიენეს და მოუძლურ-
დეს, ექმნა მათ უკუანაჲსკნელი იგი უძ-
რეს პირველისა.

21. უმჯობეს იყო მათა, ეცნავე თუმცა
არა გზაჲ იგი ჳეშმარიტებისაჲ, ვიდრე
ცნობასა და მართუკუნ ქცევასა მოცე-
მულისა მისგან მათა წმიდისა მცნებისა.

22. შეემთხვა მათ [113] ჳეშმარიტისა
მისებრ იგავისა: ძალი მიექცა თჳსსა
ნათხეევარსა და ლორი იმწუება საგო-
რელსა მწკრისასა.

3

2. რამათა მოგეჳსენნენ პირველ თქუმულ-
ნი⁶ იგი სიტყუანი წმიდათა წინაწარმე-
ტყუელთანი და მოციქულთა მათ თქუენთა
მცნებანი უფლისა და მაცხოვრისანი.

¹ მოაწიან M. ² შობისა M. ³ ასეა M (მოსალოდნელი იყო: შეიტყუვიან სულნი დაუმტკი-
ებულნი). ⁴ ამ სიტყვის წინ კიდევ იკითხება: არი M. ⁵ მოუძლურდეს M. ⁶ თქმულნი M.

C 1

(27)

3. ესემცა პირველად უწყით, რამეთუ მოიწივნენ უკუანასკნელთა¹ დღეთა სიკიცხვეით ნეკიცხველნი, გულის თქუ-მისაებრ თვისისა შავალნი,

4. და იტყოდინან. სადა არს აღთქუ-მა იგი მოსლვისა მისისაჲ? ვინაჲთგან მამათა დაისუენეს, ყოველივე ესრტთ ჰგეის დასაბამითგან დაბადებისაჲთ.

5. რამეთუ დააიწყდა მათ ესე ნეფ-სით, [ჲ] ვითარმედ ცანი იყუნეს მაშინ და ქუეყანაჲ წყალთაგან და წყალთა მიერ შეიქმნა სიტყუთა ღმრთისაჲთა.

6. რომლისაგან მაშინდელი იგი სოფელი წყლით რღუნეთა წარწყმედათ.

7. ხოლო აწ ცანი და ქუეყანაჲ მითვე სიტყუთა დაუნჯებულ არიან და დამარ-ხულ დღედ საშჯელისა და წარწყმე-ლისა² უღმრთოთა კაცთაჲსა.

(28)

8. ერთიმცა ესე ნუ დაგავიწყდების, საყუარელნო, რამეთუ ერთი დღს უფ-ლისა მიერ ვითარცა ათასი წელი და ათასი წელი ვითარცა ერთი დღს.

9. არა ყოვნოს უფალმან აღთქუმად იგი, არამედ სულ-გრძელ არს თქუენდა, არავისი ჰნებავს წარწყმედაჲ, არამედ ყოველთა სინანულად მოსლვაჲ.

10. ხოლო მოიწიოს დღს იგი უფ-ლისაჲ, ვითარცა მპარავი, რომელსა შინა ცანი მძაფრიად წარტლენ და წესნი იგი დაიწუნენ და დაზულენ და [114] ქუეყანაჲ და წას შინა საქმენი დაი-წყუნენ.

11. რაჲამს ესრეთ ესე ყოველნი და-ზულეობდინან, რაბამ გიღირს თქუენ

C 1

ყოფად წმიდითა სლვითა და კეთილითა მსახურებითა.

12. მოელოდეთ და ისწრაფდით მოსლვასა მის დღისა ღმრთისასა, რომელსა შინა ცანი მჭურვალენი დაირ-ღუნენ³ და წესნი დაიწუნენ და დადნენ.

13. ახალთა ცათა და ახალსა ქუეყა-ნასა მსგავსად აღთქუმისა⁴ მისისა მო-ველით, რომელსა შინა სიმართლს დამ-კვდრებულ არს.

14. ამისთჳს, საყუარელნო, ამას მოე-ლოდეთ, და ისწრაფეთ შეუგინებულად და უბიწოდ მისა, რაჲთა იპოვნეთ მშჯღობითა.

15. და უფლისა იგი სულ-გრძელებად ცხორებდად შეჰრაცხეთ, ვითარცა-იგი საყუარელმან ძმაჲნ [ჲ] ჩუენმან პავლე, მსგავსად მოცემულისა მის მისისა სი-ბრძნისა მიწერა თქუენდა.

16. ვითარცა-იგი ყოველთა შინა წიგნთა მისთა იტყუს ამისთჳს, რომელ-იგი არიან ძნიად საცნაურ რაჲმე, რომელსა-იგი უსწავლენნი და დაუმტკიცე-ბელნი⁵ გარდააქცევენ, ვითარცა სხუათა წიგნთა მსგავსად მათისავე მის წარ-წყმედისა.

17. ხოლო თქუენ, ძმანო, ესე წინაჲს-წარ უწყით, ეკრძალენით, რაჲთა არა უჯეროსა მას საცთურსა ერჩდეთ და განსცუვეთ სიმტკიცისაგან თვისისა.

18. აღორძნდებოდეთ მაღლითა და მეცნიერებითა უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესითა. მისა დიდებაჲ აწ და მარადის და დღეთა მათ საუკუნეთა. ან.

ქრ. ყრ. რჩ

¹ უკუანასკნელთა M. ² წარწყმედესა M. ³ დაირღუნენ M. ⁴ აღთქუმისისა M. ⁵ დაუმტკიცებულნი M.

1

(29)

1. [115] რომელი¹ იყო პირველი თვან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ზუენითა, რომელი-იგი ვიხილეთ და ჭელნი ჩუენნი მსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა.

2. და ცხორებამ იგი გამოცხადნა და რომელი-იგი ვიხილეთ, ეწამებთ და გითხრობთ² თქუენ ცხორებასა მას საუკუნესა, რომელი იყო მამისა თანა და გამოგზნდა ჩუენ;

3. რომელი ვიხილეთ, ეწამებთ და გითხრობთ² თქუენ, რაჲთა თქუენცა ზიარებამ გაქუენდეს ჩუენ თანა და ზიარებამ იგი ჩუენი მამისა თანა და ძისა მისისა თანა იესუ ქრისტესა.

4. და ამას მიეწერ თქუენდა, რაჲთა სიხარული იგი ჩემი იყოს სავეს.

5. და ესე არს აღთქუმამ, რომელი გუესმა მისგან და გითხრობთ² თქუენ, რამეთუ ღმერთი ნათელ არს და ბნელი მის თანა არა არს არცა ერთ.

6. [ჲ] უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ

ზიარებამ მაქუს მის თანა და ჩუენ ბნელსა შინა ვილოდით, ვტყუევით და არა ვყოფთ ჭეშმარიტებასა.

7. უკუეთუ ნათელსა შინა ვილოდით, ვითარცა-იგი ნათელსა შინა არს, ზიარებამ მაქუს ურთიერთას. და სისხლი იგი იესუესი, ძისა მისისაჲ განმწმედს ჩუენ ყოვლისაგან ცოდვისა.

(30)

8. უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ცოდვამ არა გვქნენის, თაჲთა თჲსთა ვაცთუნებთ და ჭეშმარიტებამ ჩუენ თანა არა არს.

9. უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს და მართალ, რაჲთა მოგვტევენეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და განმწმიდნეს³ ჩუენ ყოვლისაგან სიკრუვისა.

10. უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ არა-რაჲ ვცოდეთ, უტყუევით მას [116] და სიტყუამ მისი არა არს ჩუენ შორის.

2

1. შვილნო ჩემნო, ამას მივსწერ თქუენდა, რაჲთა არა სცოდოთ. და უკუეთუ ვინმე ცოდოს, ნუგეშინის-მცემელი გუვის მამისა მიწართ იესუ ქრისტე მართლ.

2. და იგი არს მომტევებელ ცოდვათა ჩუენთა, არა ხოლო ცოდვათა ჩუენთა, არამედ ყოვლისა სოფლისა.

3. და ამით ვცნათ, რამეთუ ვიცით იგი, უკუეთუ მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ.

4. რომელმან თქუას, ვითარმედ ვიცან იგი და მცნებათა მისთა არა იმარხვიდეს, იგი მტყუარი არს და ჭეშმარიტებამ არა არს მის თანა.

¹ რი¹ლი (?) M. ² გითხრობ M. ³ განმწმდიდნეს M.

C 1

5. ხოლო რომელმან დაიმარხნეს სიტყუანი მისნი, კემზარითად მის თანა სიყუარული ღმრთისაჲ აღსრულებულ არს, ამით უწყოდით, რამეთუ მის თანა ვართ.

6. რომელმან თქუას მის თანა ყოფაჲ, ჯერ-არს მისა, ვითარცა-იგი თავადი ვიდოდა, ეგრესა მისა სლვაჲ.

(31)

7. საყუარელნო, არა მცნებასა ახალსა [უ] მივსწერ¹ თქუენდა, არამედ მცნებასა პირველსა, რომელ გაქუნდა დასაბამითგან. მცნებაჲ იგი პირველი არს სიტყუაჲ იგი, რომელი გასმიეს.

8. და კულად მცნებასა ახალსა მივსწერ¹ თქუენდა, რომელი არს კემზარით მის წინაშე და თქუენ შორის, რამეთუ ბნელი წარვალს და ნათელი იგი კემზარითი აწვევ ჩანს.

9. რომელმან თქუას ნათელსა შინა ყოფაჲ და იმჲა თუხი სძულდეს, ბნელსა შინა არს ვიდრე აქამომდე.

10. რომელსა უყუარდეს ძმად თუხი, ნათელსა შინა არს და საცთური მის თანა არა არს.

11. ხოლო რომელსა სძულდეს ძმად თუხი, ბნელსა შინა არს და ბნელსა ვალს და არა იყის, ვიდრე ვალს, რამეთუ ბნელმან დაღვრმნა მას თულანი.

12. მივსწერ¹ თქუენდა, შვილნო, მიგეტევებიან თქუენ ცოდვანი თქუენნი [117] სახელითა მისითა.

13. მივსწერ¹ თქუენდა, მამანო, რამეთუ იცანთ პირველი იგი.

14. მივსწერ¹ თქუენდა, კაბუენო, რამეთუ ძლიერ ხართ და სიტყუად ღმრთისაჲ თქუენ თანა დაღვრომილ არს და გიძლევებს² ბოროტსა.

15. ნუ გიყუარს სოფელი ესე და ნუცა-ლა რაჲ არს სოფლისაჲ მის. უკუე-

C 1

თუ ვის უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული ღმრთისაჲ მის თანა.

16. რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულის თქუმაჲ ჯოცთაჲ და გულის თქუმაჲ თულთაჲ და სილალმ ამის ცხოვრებისაჲ; არა არს ესე მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს.

17. და სოფელი ესე წარჯდეს და ყოველი გულის თქუმაჲ მისი, ხოლო რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ, იგი ეგოს უკუნისამდე.

18. ყრმანო, უკუნანასკნელი ჟამი არს და ვითარცა-იგი გასმია, ვითარმედ ანტექრისტე მოწავალ არს და აწცა-ანტექრისტენი მრავალნი არიან, რომლითა უწყით, ვითარმედ უკუნანასკნელი [უ] ჟამი არს.

19. ჩუენგან განვიდეს, არამედ არა იყუნეს ჩუენგანნი; უკუეთუმცა იყუნეს ჩუენგანნი, და-მცა-დგრომილ იყუნეს ჩუენ თანა, არამედ რათა ცხად იყუნენ, რამეთუ არა არიან ყოველნი ჩუენგანნი.

20. და თქუენ ცხებულებაჲ გაქუს წმიდისაგან და იცით ყოველი.

21. არა ეგრე მივწერ² თქუენდა, ვითარმედ იცით კემზარითებაჲ, არამედ იცით იგი და რამეთუ ყოველი ტყუელი კემზარითებისაგან არა არს.

22. ვინ-მე არს მტყუარი³ იგი? ანუ არა იგი, რომელმან უვარ-ყოს, ვითარმედ იესუ არა არს ქრისტე? ესე არს ანტექრისტე; რომელმან უვარ-ყოს მამად, მან მცა უვარ-ყოს.

23. ყოველმან რომელმან უვარ-ყოს ძმ, მის თანა არცა მამად არს; რომელმან აღიაროს მც, მამად არცა მის თანა არს.

24. თქუენ. რომელ იგი გესმაჲ პირველითგან, თქუენ თანა ეგენ. უკუეთუ

¹ ასეა M (ზოგან „მივსწერ“, ზოგან „მივწერ“). ² გილვეის M. ³ მტუარი M

ტ¹

...თქუენ თანა ეგოს, რომელი-იგი პირ-
ველითგან გესმა, თქუენცა მამისა თანა
და ძისა თანა [118] ეგნეთ.

25. და ესე არს აღთქუმაჲ, რომელ-იგი
მან აღმოთქუა ჩუენ ცხორებაჲ საუკუნს.

26. ესე მიეწერე¹ თქუენდა მაცთუნე-
ბელთა მათ თქუენთათჳს.

27. და თქუენ ცხორებაჲ იგი რო-
მელი მიიღეთ მისგან, ჰგეის თქუენ თანა
და არა გიგზს, ვითარმცა ვინ გასწავა
თქუენ, არამედ მანვე ცხორებამან გა-

ტ¹

სწაოს თქუენ ყოველისათჳს. ქეშპარიტ
არს და არა არს ტყუელი და ვითარცა-
იგი გასწავა თქუენ, ეგენით მას ზედა.

28. აწ, შეილნო, ეგენით მას ზედა,
რამთა, რაჲმს გამოჩნდეს, მაქუნდეს
განცხადებულებაჲ და არა მრცხუენეს
მისგან ზოსლვასა მას მისსა.

29. უკეთეთ იხილეთ, ვითარმედ მარ-
თალ არს, უწყოდეთ, რამეთუ ყოველ-
მანვე რომელმან ყოს სიმართლს, მის-
გან შობილ არს.

3

1. იხილეთ, რავედენი სიყუარული [უ]
მომცა ჩუენ მამაჲან, რამთა შეილ
ღმრთისა გუერქუჳს და ვართცა. ამის-
თჳს სოფელმან არა მიცინს ჩუენ,
რამეთუ არცა იგი იცნა.

(33)¹

2. საყუარელნო, აწ შეილნი ღმრთი-
სანი ვართ და არღა გამოჩინებულ არს,
რამ ყოფად ვართ. ესე ვიცით, რამეთუ
რაჲმს გამოცხადნეს, მსგავს მისა ვიყუ-
ნეთ, რამეთუ ვიხილოთ იგი, ვითარ-
ცა-იგი არს.

3. და ყოველსა რომელსა აქუნდეს
სასოებაჲ ესე მისა მიმართ, განიწმი-
დოს თავი თჳსი, ვითარცა-იგი წმიდა
არს.

4. ყოველმან რომელმან ქნეს ცოდ-
ვაჲ, მან უშჯულოებაჲცა ქნეს და ცოდ-
ვაჲ იგი არს უშჯულოება.

5. და იცით, რომელი-იგი გამოჩნდა,
რამთა ცოდვანი ჩუენნი ავოცნეს [119]
და ცოდვაჲ მის თანა (არა) არს.

6. ყოველი რომელი მის თანა ეგოს,
მან არა ცოდოს; ყოველი რომელი
ცოდვიდეს, მას არა უხილავს იგი, არცა
იცის იგი.

7. ყრმანო, ნუმცა ვინ გაცთუნებს
თქუენ. რომელმან ქნეს სიმართლს,
იგი მართალ არს.

8. რომელმან ქნეს ცოდვაჲ, იგი ეშ-
მაკისავანი არს, რამეთუ დასაბამითგან
ემშაკი ცოდავს.

(34)

ამისთჳს გამოცხადნა ძმ ღმრთისაჲ,
რამთა დაარღუნეს საქმენი ეშმაკისანი.

9. ყოველი რომელი შობილ არს
ღმრთისაგან, მან ცოდვაჲ არა ქნეს,
რამეთუ თესლი მისი მის თანა დადგრო-
მილ არს და ვერ ჰელ-წიფიფების ცოდ-
ვად, რამეთუ ღმრთისა მიერ შობილ არს.

10. ამით ცხად არიან შეილნი ღმრთი-
სანი და შეილნი ეშმაკისანი. ყოველმან
რომელმან არა ქნეს სიმართლს, იგი
არა არს ღმრთისაგან და რომელსა არა
უყუარდეს ძმაჲ თჳსი.

11. რამეთუ ესე არს აღთქუმაჲ, რო-
მელი გესმა დასაბა[უ]ნითგან, რამთა
იყუარებოდით ურთიერთას.

12. ანუ არა კან უკეთურისაგან²
იყო და მოკლა ძმაჲ თჳსი? და რამსათჳს
მოკლა იგი? რამეთუ საქმენი მისნი ბო-
როტ იყუნეს, ხოლო მშისანი—მართალ.

¹ წინა თავი (32-ე) M-ში არსადა აღნიშნული. ² უკეთურისაგან M.

C 1

13. ნუ გიკვრნ, ძმანო, რამეთუ გეძლობს თქუენ სოფელი.

14. ჩუენ ვიცით, რამეთუ მივიცვალენით სიკუდილისაგან ცხორებად, რამეთუ გვყუარან ძმანი. რომელსა არა უყუარდეს, დადგრომილ არს სიკუდილისა თანა.

15. ყოველსა რომელსა სძულდეს ძმად თვისი, კაცის-მკლველი არს და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის-მკლველსა არა აქუს ცხორებად საუქუნოჲ მის თანა დადგრომილ.

16. ამით ვცნათ სიყუარული, რამეთუ მან ჩუენთვის სული თვისი დადვა და ჩუენცა გვიირს ძმათათჳს თავისა დიდებაჲ.

17. უკუეთუ ვისმე აქუნდეს საცხორებელი ამის სოფლისაჲ და იხილოს ძმად თვისი, რომელსა უქმდეს [120] რაჲმე და დაჰსნეს¹ ნაწლევნი თჳსნი მისგან, ვითარ-ნე სიყუარული ღმრთისაჲ ჰვიეს მის თანა?

18. შეილნო, ნუმცა იყუარობთ სიტყუათა, ნუცა ენითა ხოლო, არამედ საქმიითა და ქეშმარიტებითა.

†

1. საყუარელნო, ნუ ყოველი სული გრწამნ, არამედ გამოიცადენით სულნი, უკუეთუ ღმრთისაგან იყუნენ, რამეთუ მრავალნი ცრუ-წინაწარმეტყუელნი გამოსრულ არიან სოფლად.

2. ამით საცნაურ არს სული ღმრთისაჲ: ყოველმან სულმან რომელმან აღიაროს იესუ ქრისტეჲ კორციელად⁴ მოსრული, იგი ღმრთისაგანი არს;

3. და ყოველმან სულმან რომელმან არა აღიაროს იესუ კორციელად მოსრული, იგი არა ღმრთისაგანი არს. და ესე იგი არს ანტექრისტსთვის⁵ რო-

C 1

19. ამით საცნაურ ვიყუნეთ², რამეთუ ქეშმარიტებისაგან ვართ და წინაშე მისსა გულნი ჩუენნი გვრწმუნებთან.

20. უკუეთუ გუგმობდეს³ გული ჩუენი, უფროჲს არს ღმერთი გულისა ჩუენისა და იცის ყოველი.

21. საყუარელნო, უკუეთუ გული ჩუენი არა გუგმობდეს³ ჩუენ, განცხადებულებაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ.

22. და რად-იგი ვითხოვოთ, მოვილოთ მისგან, რამეთუ მცნებათა მისთა ვიმარხავთ და სათნოებასა წინაშე მისსა ვჰყოფთ.

23. და ესე არს მცნებაჲ მისი, რად-თა გურწმუნეს სახელი ძისა მისისა იესუ ქრისტესი, და ვჰყუარობდეთ ურთიერთას, ვითარცა-იგი მან მომცა ჩუენ მცნებაჲ.

24. და რომელი იმარხვიდეს მცნებათა მისთა, [ჲ] მის თანა ჰვიეს და იგი თავადი მის თანა და ამით უწყით, რამეთუ ჩუენ თანა არს სულისა მისისაგან, რომელი მომცა ჩუენ.

მელ გასმიეს; ვითარნედ მოსულად არს და აწუცა სოფელსა შინა არს.

4. ხოლო თქუენ ღმრთისაგანნი ხართ, შეილნო, და გიძლევით მათ(და); რამეთუ უფროჲს არს, რომელი თქუენ შორის არს, ვიდრე-და [121] რომელი-იგი სოფელსა შორის არს.

5. იგინი სოფლისაგანნი⁶ არიან, ამისთვისცა სოფლისაჲ იტყუან და სოფელი ისმენს მათსა.

6. ხოლო ჩუენ ღმრთისაგანნი ვართ; რომელმან იკოდის ღმერთი, ისმინოს ჩუენი; რომელი არა იყოს ღმრთისაგანი, მან არა ისმინოს ჩუენი. ამის

¹ დაჰსნეს M = დაჰსნეს = დაჰწმენს. ² იყუნეთ M. ³ გუგმობდეს M. ⁴ კორციელად M. ⁵ ანტექრისტსთვის M. ⁶ სოფლისაგანნი M.

ს¹

გამო უკუე ვცნათ სული ჭეშმარიტებისაჲ და სული მაცოთრებისაჲ.

7. საყუარელნო ჩემნო, ვიყუაროდეთ ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველი რომელი ჰყუაროდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი.

8. რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი,

(35)

რამეთუ ღმერთი სიყუარული არს.

9. ამით გამოცხადანა სიყუარული ღმრთისაჲ ჩუენ შორის, რამეთუ ძმ¹ თვისი მხოლოდ შობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, რაჲთა ვცხონდეთ მის მიერ.

10. [უ] ამით ჩანს სიყუარული, არა თუ ჩუენ შევიყუარეთ¹ ღმერთი, არამედ მან პირველად შემეყუარანა ჩუენ და მოავლინა ძმ¹ თვისი მლხინებულად ცოდვათა ჩუენთა.

11. საყუარელნო, უკუეთუ ღმერთმან ესრეთ შემეყუარანა ჩუენ და ჩუენცა თანა-გუაც ურთიერთას სიყუარული.

12. ღმერთი არასადა (ვის) უხილავს. უკუეთუ იყუაროდეთ ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის არს და სიყუარული² მისი ჩუენ შორის აღსრულებულ არს.

13. ამით უწყოდით, რამეთუ მის თანა ვჰვით და იგი ჩუენ შორის, სულისა მისისაგან მომცა ჩუენ.

14. და ჩუენ ვიხილეთ და ვწამებთ,

(36)

1. ყოველსა რომელსა ჰრწმენეს, რამეთუ იესუ არს ჰრისტე, იგი ღმრთისაგან შობილ არს და ყოველსა რომელსა უყუარდეს მშობელი იგი, უყუარდეს შობილი იგიცა მისგან.

2. ამით უწყოდით, რამეთუ გკუარან

ს¹

რამეთუ მაიმან მოავლინა (ძმ) მაცხოვრად სოფლისა.

15. რომელმან აღიაროს, რამეთუ იესუ არს ძმ¹ ღმრთისაჲ, ღმერთი მის თანა არს და იგი ღმრთისა თანა.

16. და ჩუენ ვიცანთ და გურწამს სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ. [122] ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულია ზედა, იგი ღმრთისა თანა ჰგვის და ღმერთი მის თანა.

17. ამით აღსრულებულ³ არს სიყუარული ჩუენ თანა, რაჲთა განცხადებულებაჲ გუაქუნდეს დღესა მას საშჯელისასა, რამეთუ ვითარცა-იგი თავადი არს, ეგრეცა ჩუენ ვართ სოფელსა მას.

18. შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულსა გარედანდევნის შიში, რამეთუ შიშისა ტანჯვაჲ აქუს, ხოლო მოშიში იგი არა სრული არს სიყუარულსა ზედა.

19. ჩუენ ვიყუაროდეთ, რამეთუ ღმერთმან პირველად შემეყუარანა ჩუენ.

20. უკუეთუ ვინმე თქუას: მიყუარს ღმერთი და ძმად თვისი სიულდეს, იგი მტყუარი არს; რომელსა არა უყუარდეს ძმად თვისი რომელი იხილა, ღმერთი რომელი არა იხილა, ვერ ჰელ-წიფების შეყუარებად.

21. და ესე მცნებაჲ მოვიღეთ მისგან, [უ] რაჲთა რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარდეს ძმადცა თვისი.

5

შვილი ღმრთისანი, რაჲმს ღმერთი გკუარდეს და მცნებათა მისთა ეყოფდეთ.

3. რამეთუ ესე არს სიყუარული ღმრთისაჲ, რაჲთა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ და მცნებანი მისნი მინიმე, არა არიან.

¹ შევიყუარეთ M. ² სიყუარული M. ³ აღსრულებუ M.

C¹

4. რამეთუ ყოველი რომელი შობილ იყოს ღმრთისაგან, სძლეეს¹ სოფელსა და ესე არს ძლევაჲ, რომელი სძლეეს სოფელსა სარწმუნოებაჲ ჩუენი.

5. ...

რამეთუ იესუ არს ძმ ღმრთისაჲ.

6. რამეთუ ესე არს, რომელი ზოვიდა წყლითა და სისხლითა; და სული არს მოწამე, რამეთუ სული არს ჰეშმარიტებაჲ.

7.

8. რამეთუ სანნი არიან, რომელნი წამებენ: სული, სისხლი და წყალი და სანნივე ესე ერთისა შინართ არიან.

9. [123] უკუეთუ კაცთაჲ წამებდაჲ მოვილით, წამებდა ღმრთისაჲ უფროჲს არს, რამეთუ ესე არს წამებაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ წამა ძისა მისისათჳს.

10. რომელსა ჰრწმენეს ძმ ღმრთისაჲ, აქუნდეს წამებაჲ იგი ღმრთისაჲ თავისა თჳსისა თანა; რომელსა არა ჰრწმენეს ძმ, მტყუერად გამოაჩინა იგი, რამეთუ არა ჰრწმენა წამებაჲ იგი, რომელ წამა ღმერთმან ძისა თჳსისათჳს.

11. და ესე არს წამებაჲ, რამეთუ ცხორებაჲ საუკუნოჲ მომცა ჩუენ ღმერთმან და ესე არს ცხორებაჲ ძისა მისისა თანა².

12. რომელსა აქუნდეს ძმ, აქუნდეს მას ცხორებაჲცა. რომელსა არა აქუნდეს ძმ ღმრთისაჲ, მას ცხორებაჲ არა აქუს.

C¹

(37)

13. ესე მივწერე თქუენდა, რაჲთა უწყოდით³, რამეთუ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოჲ, რომელთა ჰრწამს სახელა ძისა მისისაჲ.

14. და ესე არს განცხადებულებაჲ, რომელ მაქუს მისა მიმართ, რამეთუ რომელი-იგი ვითხოოთ ნებისა მისისაებრ, ისმინოს ჩუენი.

15. და უკუეთუ ვიცით, რამეთუ ისმინოს ჩუენი. [უ] რომელ-იგი ვითხოოთ, ვიცით, ვითარმედ მაქუს თხოვაჲ იგი, რომელ ვითხოვეთ მისგან.

16. უკუეთუ ვინმე იხილოს ძმად თჳსი, რომელი ცოდვიდეს ცოდვასა არა სასიკუდინესა, ითხოოს და მოსცეს მას ცხორებაჲ; რომელნი-იგი ცოდვენ, არა სასიკუდინედ, არს ცოდვაჲ სასიკუდინოჲ, არა მისთჳს ვიტყჳ, რაჲთა ითხოოს.

17. ყოველივე სიკრუვე ცოდვა არს და არს ცოდვაჲ სასიკუდინს.

18. ვიცით, რამეთუ ყოველი რომელი შობილ იყოს ღმრთისაგან. დაიმარხის თავი თჳსი და ბოროტი არა შეეხოს მას.

19. ვიცით, რამეთუ ღმრთისაგან ვართ და ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას.

20. და ვიცით, რამეთუ ძმ ღმრთისაჲ ნონავალ არს და მომცა ჩუენ გონებაჲ, რაჲთა ვიცოდით ჩუენ ჰეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩუენ ჰეშმარიტისა თანა ძისა მისისა. ესე არს ჰეშმარიტი ღმერთი და ცხორებაჲ საუკუნოჲ.

21. შეილწო, დაიცენით თავნი თჳს- [124]ნი კერპთაგან.

¹ სძლეეს] სძულს M. ² ამ სიტყვის შემდეგ კვლავ იკითხება ზედმეტი „არს“. ³ უწყოდით M.

(38)

1. მოხუცებული რჩეულსა დედუფალსა და შვილთა მისთა, რომელნი მე მიყუარან კეშმარიტებით. არა ხოლო მე, არამედ ყოველთა უცნობიეს კეშმარიტებაჲ

2. კეშმარიტებითა მით, რომელი დამკვდრებულ არს ჩუენ შორის და ჩუენ თანა იყოს უყუნისამდე¹.

3. იყოს ჩუენ თანა მადლი, მშუდობაჲ, წყალობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ქრისტე იესუჲს მიერ ძისა მამისაჲსა კეშმარიტებითა და სიყუარულით.

4. განვიხარე ფრიად, რამეთუ ეპოვე შეილთაგან შენთა, რომელნი ვლენან კეშმარიტებით, ვითარცა-იგი მცნებაჲ მოვიღეთ მამისაგან.

5. და აწ გიკითხავ შენ, დედუფალო, არა ვითარცა მცნებასა ახალსა მიესწერ შენდა, არამედ რომელი მაქუნდა დასაბამითგან, რაჲთა იყუარობდეთ ურთიერთას.

6. და ესე არს სიყუარული. რაჲთა ვიდოდით მცნებათაებრ მისთა და ესე არს მცნებაჲ, რაჲთა, ვითარცა-იგი გესმა დასაბ[ე]პანითგან, მას შინა ხუილოდით².

7. რამეთუ მრავალნი მაცთურნი შენოვიდეს სოფლად. რომელნი არა აღი-

არებენ იესუ ქრისტესა ჯორცითა მოსრულსა³, ესე არს მაცთური და ანტე-ქრისტე⁴.

8. ეკრძალებით თავთა თქუენთა, რაჲთა არა წარიწყმიდოთ, რაჲ-იგი ჰქმენით, არამედ სასყიდელი სავეებით მოილოთ.

9. ყოველივე წინამძღუარი, რომელი არა ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ღმერთი არა არს, ხოლო რომელი ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ძმცა და მამაჲცა არს.

(39)

10. რომელი მოვიდოდის თქუენდა, ესე მოძღურებაჲ არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახილ და ნუცა მოიკითხავთ⁵ მას.

11. რომელმან მოიკითხოს, იგი ეზიარა საქმეთა მისთა ბოროტთა.

12. მრავალი მეგულება მიწერად თქუენდა, არამედ არა ვინებე ქარტითა და მელნითა⁶, ხოლო ვესაჲ მოსლვად თქუენდა და პირისპირ სიტყუად, რაჲთა სიხარული იგი ჩუენი იყოს სავეებით.

13. [12ჯ] გიკითხვენ შეილნი ღისა შენისა რჩეულისანი.

ქ-ი ყ-ი რ-ი

¹ ასეა მ. ² იოკე მ. ³ ხუდოდით მ. ⁴ მესრულსა მ. ⁵ ანტექრისტე მ. ⁶ მოიკითხავთ მ.
⁷ კეშმარიტებით (მელანითა).

ႠႠႠႠႠႠ ႠႠႠႠ Ⴀ

ႠႠႠႠ

ႠႠ

ႠႠ

1

(40)

(41)

1. მოხუცებული ვაიოსს საყუარელსა, რომელი მიუყარს ჭეშმარიტებით.

2. საყუარელო, ყოვლისათს გლოცავ შენ წარმართებად, ვითარცა-ეგე წარმოუმართებია სულსა შენსა.

3. რამეთუ განვიხარე ფრიად მომავალთაგან ძმათა, რომელნი წაშებდეს ჭეშმარიტებისა შენისათს, ვითარ-იგი შენ ჭეშმარიტებით ხუალ.

4. სხუა სიხარულ უფროდს ამისსა არა მაქუს, რადთა მესმოდის შვილთა ჩემთა ჭეშმარიტებით სლვაჲ.

5. საყუარელო, სარწმუნოდ ზამ, რომელ-ეგე იქმ ძმათა მიმართ და ესე უცხოთა.

6. რომელთა წამეს სიყუარულისა შენისათს წინაშე ეკლესიასა, რომელთა კეთილსა უყოფ და წარმოჰზავნი ღირსად ღმრთისა.

7. რამეთუ ქრისტეს სახელისათს გამოვიდეს და არაჲ გამოილეს წარმართთა[ს]გან.

8. რამეთუ ჩუენდა ჯერ-არს შეწყნარებაჲ ეგევითართაჲ¹ მათ. რადთა შემწევეყვნეთ ჭეშმარიტებასა².

9. მიეწერე ეკლესიასა, მთავრობის მოყუაო³ იგი მათი დიოტრეფე არა შემიწყნარებს ჩუენ.

10. ამისთს უკუეთუ მოვიდე, მოვანსენნე მას საქმენი მისნი, რომელთა იქმს სიტყუთა ბოროტითა, გუგმობს⁴ ჩუენ და ვერ კმა-ეყოფის ესე, არამედ არცა იგი შეიწყნარებს ძმათა, რომელთა ჰნებავს შეწყნარების, მათ აყენებს და კრებულისაგან განასხამს.

11. საყუარელო. ნუ ჰბაძვე ბოროტსა მას, არამედ კეთილსა, რამეთუ კეთილის მოქმედი იგი ღმრთისაგან არს, ხოლო ბოროტის მოქმედსა მას არა უხილავს ღმერთი.

12. დემეტრი⁴ წაგებულ არს ყოველთაგან და თუთ მის ჭეშმარიტებისაგან და ჩუენცა ვწამებთ და იცით, რამეთუ წაწებაჲ ჩუენი ჭეშმარიტი არს.

13. მრავალი მინდა მიწერად შენდა, [126] არამედ არა მნებავს მელანითა და ლერწმითა მიწერად შენდა.

14. ვესაჲ აღრე ხილვისა შენსა და პირისპირ ვიტყოდით.

15. გშუდობაჲ შენდა! გიკითხვენ შენ მეგობარნი⁵. კითხვაჲ არქუ მეგობართა ჩუენთა სახელით.

¹ ა აღარ იკითხება მ-ში. ² ჭეშმარიტებისა მ. ³ გუგმობს მ. ⁴ დემეტრი მ. ⁵ მეგობარნი მ.

(42)

1. იუდა, იესუ ქრისტესი მონაჲ, ძმაჲ იაკობისი, თქუენ, ღმრთისა მიერ მამისა შეუყარებულთა და ქრისტე იესუს¹ მიერ დამარხულთა,

2. წყალობაჲ თქუენ თანა და მშუღობაჲ და სიყუარული განმრავლდინ!

3. საყუარელნო, ყოველივე სწრაფაჲ ვეჲ მიწერად თქუენდა ზოგადისა მის ცხოვრებისა ჩუენისათჳს. ჯერ-მიჩნდა მიწერად თქუენდა. გლოცაჲ, ილუწილითა² მას ზედა, რომელი-იგი ერთვე მიეცა წმიდათა სარწმუნოებაჲ.

4. რამეთუ შემო-ვინზე-ვიდეჲ კაცნი, რომელნი მაშინვე პირველ წერილ იყუნეს ამას საშჯელსა, უღმრთონი³, რომელნი მადლსა ღმრთისა ჩუენისასა გარდააქცევენ არაწმიდებად და მხოლოსა ნფლობელსა [ვ] და უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა უყარ-ჰყოფენ.

5. მოკსენებაჲ თქუენი მნებაჲს, დაღთუ იკით ყოველი, რამეთუ ღმერთნან ერთ გზის ეგჳბტით ერი იგი ივსნა, ხოლო მეორედ ურჩინი იგი წარწყმიდნა.

6. ანგელოზნი, რომელთა არა დაი-მარხეს თჳსი იგი სამთავროჲ, არამედ დაუტევეს⁴ სამკვდრებელი ნათი, სანჯელად დიდისა დღისა. საკრველე-ბითა მით სანარადისოდათა წყუღიადსა ქუეშე დაჰმარხნა,

7. ვითარცა სოდომჲ და გომორაჲ: და გარემოჲს მათსა ქალაქები იგი; ეგრევე სახედ მათსა ისიძვიდეს და მიღვენებულ იყუნეს შედგომად⁵ კორცსა-უცხოსა, წინა სხენან სახედ ცეცხლისა-საუყუნისა, საშჯელი მიუღებდეს.

8. ეგრევე მსგავსად ესენი საჩუენებელსა იხილვენ, კორცთა შეაბილწებენ, უფლებასა შეურაცხ-ჰ[127]ყოფენ და დიდებასა ჰგმობენ.

9. ოდეს-იგი⁶ მიქაელ მთავარანგელოზი ეშაქსა მას ეშჯოდა⁷, ეტყოდა მოსეს კორცთათჳს, ვერ იკადრა საშჯელი გმობისაჲ მოწვევად მის⁸ ზედა. არამედ ჰრქუა: შეგრისხენ შენი უფალმან.

10. ხოლო ესენი, რომელ-იგი არა იციან გონებით⁹, ვითარცა პირუტყუთა საცხოვართა, მათ შინა განიხრწნებიან.

11. ვაჲ ჰათა, რამეთუ გზასა მას კაენისსა ვლენან და საცთურსა მას ბალაჲის სასყიდელსა აერიენეს და ცილობითა მით კორცსითა წარწყმდეს.

12. ესენი არიან, რომელნი სიყუარულთა მათ თქუენთა შებილწებულნი თანა-შეგცხრებიან და უშიშად თავთათჳსთა მწყსიან. ღრუბელნი ურწყულნი ქარისაგან მიმოტაცებულნი, ხენი ზამთრისანი უნაყოფონი ორ გზის მომწყდარნი, ძირით მოფხურდინი,

¹ იეს M. ² ილუწილით M. ³ უღმრთონი M. ⁴ დაუტევს M. ⁵ შემდგომად M. ⁶ ოდეს-იგი M. ⁷ ეშჯოდა M. ⁸ მის M. ⁹ გონებით M.

ტ 1

13. ლელვანი [ა] განძნებულისა ზღ-
სანი, რომელნი პერად აღმოაფქურევენ
თავისა თვისისა სირცხვლსა, ვარსკუ-
ლავნი ცთომილნი, რომელთათჳს წყუ-
ლიადი იგი ბნელი საუკუნოდ დამარ-
ხულ არს.

14. წინაწარმეტყუელა მათთჳს მეშ-
დემან ადამისითგან ენუქ და თქუა:
აჰა ესერა, მოვიდა უფალი ბევრეულითა
წმიდითა ანგელოზითა მისითა

15. ყოფად საშჯელისა ყოველათჳს
და მხილებად ¹ ყოველთა უღმრთოთა ²
ყოველთათჳს საქმეთა უღმრთოებისა
მათისათა, რომლითა შესკოდეს. ყოველ-
თათჳს ფიტყბელთა სიტყუათა, რომელთა
იტყოდეს მისთჳს ცოდვილნი უღმრ-
თონი.

16. ესენი არიან ³ მდრტკველნი,
მაბრალობელნი ⁴, გულის თქუმასა თავისა
მათისა მავალნი და პირი მათი იტყჳს
გარდარეულსა და თუალნი აღებენ წი-
ნაშე პირთა სარგებელისა მიზეზითა.

17. ხოლო თქუენ, საყუა[რ]ელნო,
მოივსენენით სიტყუანი იგი წინადაწარ
თქუმულნი ⁵ მოციქულთა მიერ უფლისა
ჩუენისა იესუ ქრისტესათა.

18. რამეთუ გეტყოდეს თქუენ, ვი-
თარმედ უკუანადასკნელთა ჟამთა მო-
ვინბე ვიდენ მეციცხველნი ესგავსად

ტ 1

გულის თქუმისა თვისისა მავალნი
ულმრთოებისასა.

19. ესენი არიან, რომელნი გამოი-
შორებენ თავთა თჳათა, მშუმინჯიერნი,
რომელთა სულ არა აქუს.

20. ხოლო თქუენ, საყუარელნო, აღა-
შსნებდით თავთა თქუენთა წმიდითა
მაგით სარწმუნოებითა თქუენითა და
სულითა წმიდითა ილოცევდით.

21. თავნი თჳსნი საყუარულითა
ღმრთისადათა დამარხენით და მოელო-
დეთ წყალობასა უფლისა ჩუენისა იესუ
ქრისტესსა ცხობად საუკუნოდ.

22. და რომელთამე სწყალობდით ⁶
[ა] შეორგულეებულთა ⁷.

23. რომელთამე ივსნიდით და ვითარ-
ცა ცეცხლისაგან გამოიტაკებდით, რო-
მელნიმე გეწყალოდენ შიშით. გძულ-
დინ ჯორცთაგან შეგინებულიცა იგი
სამოსელი.

24. ხოლო რომელი-იგი შემძლებელ
არს დამარხვად თქუენდა შეუტოდებე-
ლად და დადგინებდა წინაშე დიდებიაა
მისისა უბიწონი სიხარულით.

25. მხოლოსა ღმერთსა მაცხოვარაა
ჩუენსა ქრისტე იესუსს მიერ უფლისა
ჩუენისა, დიდებაჲ და სიმაღლირს, სიმ-
ტიციჲ და ჯელმწიფებაჲ უწინარეს ყო-
ველთა საუკუნეთა და აწ და ყოველთა
მიმართ ჟამთა უკუნიითი უკუნისანდე. ან.

ქე, შეე მქლ ამის წიგნისა მომგებელი და იწენ მწრალი და
ბერი ჩემი მსკლი და ყნი ძმნი და მოქლრნი ჩემნი: იეფე, გი,
ქე, გბლ.

მდ ყთ

¹ მხილება M. ² M-ში ამ მუხლის ნაწილი: „თჳს და მხილებად ყოველთა უღმრთოთა“ წერი-
ლი ასოებითაა მიწერილი წაშლილი სტრიქონის შემდეგ, ხოლო მეორე სვეტის დასაწყისში
კვლავ მეორდება ბოლო მარცვლი „თა“. ³ არია M. ⁴ მამბრალობელნი. ⁵ წინადაწარ თქმულნი M.
⁶ სწყალოვდით M (ბანს ფეხი აკლია და ჯ-ს დაემსგავსა). ⁷ შეურგულეებულთა M.

ნაწყვეტიანი

ს რედაქციის შესანიშნავად

C

C

1

(1)¹

1. იაკობ, ღმრთისად და უფლისა ზესუ ქრისტის მონად, ათორმეტთა ნათესაეთა მიმოგანთესულთა, — გიხაროდენ!

2. ყოველივე სიხარულად შეჰრაცხეთ, ძმანო ჩემნო, რაემს განსაცდელსა შესცვეთ პირად-პირადსა;

3. უწყოდეთ, რამეთუ გამოცდილებად ეგე თქუენი სარწმუნოებისად შეიქმს მოთმინებასა,

4. ხოლო მოთმინებასა მას საქმეს სრული აქუნდინ და რადთა იყენთ სრულ და ყოვლად ცოცხალ და არარადთა ნაკლულევან.

5. უკუეთუ ვინმე თქუენგანი ნაკლულევან არს სიბრძნითა, ითხოვენ მისგან, რომელმან-იგი მოსცის ყოველთა, ღმერთმან, უსასყიდლოდ და არაიეს აყუედრის, და მოსცეს მას.

6. ითხოვდინ ხოლო სარწმუნოებით და ნუ ორგულებით, ხოლო რომელი-იგი ორგულებდეს, მსგავს არს იგი ღელვასა ზღვასა, ქართთა აღძრულსა და მიმოტაცებულსა.

7. ნუუკუე ჰგონებნ კაცი იგი, ვითარმედ მო- რამმე -ილოს უფლისაგან.

8. კაცი ორგული დაუდგრომელ არს ყოველთა გზათა მისთა.

9. იქადოდენ ძმად იგი მდაბალი აღმალეებასა თვისა,

10. და მდიდარი იგი — დამდაბლებასა თვისა, [257] რამეთუ ვითარცა ყუავილი თივისად, ეგრე წარცდეს.

11. გამობრწყინდა მზმ სიციხითა თვისითა და განაწმო თივად და ყუავილი იგი დასცვა და შუენიერებად პირისა მისისად წარწყმდა. ეგრეცა მდიდარი იგი სლვათა შინა თვსთა დაქნეს.

12. ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნის და მოიღის გზგვნი იგი ცხოვრებისად, რომელ აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა.

(2)

13. ხოლო რომელ-იგი განიცადებოდის, ნუ იტყუნ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განეცადები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტითა და არავის განსცდის იგი.

14. არამედ კაცად-კაცადი განიცადების თვისისაგან გულის თქუმისა, მიიზიდვის და იიძულების.

15. და მერმე გულის თქუმა იგი მიუდგის და შვის ცოდვად და ცოდვად იგი სრულ იქმნის და გამოშვის სიკუდილი.

16. ნუ სტოებით, ძმანო ჩემნო საყუარელნო!

17. ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრული ზეგარდამოსრულ

¹ აქ სათვალავის ნიშანი არ უხის.

ს

არს მამისაგან ნათლისაჲსა, რომლისა თანა არა არს ცვალება, გინა თუ [უ] ქცევისა აჩრდილის შეცოდება.

18. მას უნდა და გუშენა ჩუენ სიტყუთა ქენმარტებისაჲთა, რაჲთა ვიყვნეთ ჩუენ დასაბამ რაჲმე მის თანა დაბადებულ.

19. უწყოდეთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, აწ უკუე: იყავნ ყოველი კაცი მოწრაფე სმენად, მძიმე სიტყუად, მძიმე გულის წყრომად.

20. რანეთუ გულის წყრომამან კაცი-სამან სიმართლჲ ღმრთისაჲ არა ქმნის.

21. ამისთჳს განიშოვრეთ ყოველივე მწინკულეეანებაჲ და მცტი იგი სიბოროტისაჲ, სიმშვდით შეიწყნარეთ ნერგი

ს

იგი სიტყუსაჲ მის, რომელი შემძლებელ არს ცხორებად სულთა თქუენთა.

22. და იყვენით მყოფელ სიტყუსა მის და ნუ ხოლო მსმენელ და შეურაცხის-მყოფელ თავთა თჳსთა.

23. უკუეთუ ეინმე მსმენელ ხოლო იყოს სიტყუსა მის და მყოფელ არა, ესეეთთარი მსგავს არს კაცისა მის, რომელმან განიცადის პირი ქმნულებისა თჳსისაჲ სარკითა.

24. რამეთუ განიცადის თავი თჳსი და წარვიდის და მეყსეულად დაავიწყდის, რაბამ არს.

25. ხოლო რომელმან მიჰხედა შჯულსა მას სრულსა აზნაურებასაჲსა და დაადგრა მას...

[აკლია]

[258] 10. ... ერნი ღმრთისანი ხართ, რომელნი-ეგე არა შეწყალებულ, აწ შეიწყალებენით.

(14)

11. საყუარელნო, გლოცავ თქუენ, ვითარცა მწირთა და წარმავლთა, განეშოვრენით კორციელთაგან გულის თქუმათა, რომელნი ეწყვებიან სულსა.

12. სლავა თქუენი წარმართთა შორის გაქუნდინ კეთილი, რაჟთა, რომლისათუს-იგი ძვრსა იტყვან თქუენთუს, ვითარცა ძვრის მოქმედთასა, კეთილთაგან საქმეთა შეეკუდენ და აღიღებდენ ღმერთსა დღესა მას მოხედვისასა.

13. დაემორჩილებით ყოველსა კაცობრივსა დაბადებულსა უფლისათუს: გინა თუ მეფესა, რამეთუ ყოველსა ზედა არს;

14. გინა თუ მთავართა, ვითარცა მის შიერ მოვლინებულთა შურის მეძიებელად ბოროტის მოქმედთათუს და მაქუშელად კეთილის მოქმედთათუს.

15. რამეთუ ესრჳთ არს ნებაჲ ღმრთისაჲ კეთილის მოქმედთათუს დაყოფად პირთა კაცთა უგუნურთა უმეცარებისაგან,

16. ვითარცა აზნაურნი და ნუ ვითარცა საფარველად გაქუნ უკეთურებისა აზნაურებაჲ ეგე, არამედ ვითარცა მონანი ღმრთისანი

17. ყოველთა პატივ-სცემდით, ძმათა

ჰყუარობდით, ღმრთისა გემინოდენ, ეფე[ა]სა დაემორჩილებით.

(15)

18. მონანი დაემორჩილებით ყოველთა მოშიშებითა უფალთა თუსთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა.

19. რამეთუ ესე არს მაღლი ღმრთისაგან: უკუეთუ გონებისათუს კეთილისა დავითმინით მწუხარებაჲ, გუევენებინ თუ სიცრუით.

20. რომელი უმჯობეს არს, უკუეთუ ვცოდვიდეთ და დავიქნჯნებოდით და მოვითმენდეთ? არამედ უკუეთუ კეთილსა იქმოდით და გვენებოდის და მოითმენდეთ, ესე მაღლი ღმრთისაგან არს.

(16)

21. იჩინებითვე ამისთუს, რამეთუ ქრისტემანცა ივნო თქუენთუს და თქუენ დაგიტევა კელით წერილი, რაჟთა შეუდგეთ კულასა მისსა;

22. რომელმანი-იგი ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუეჲ პირსა მისსა;

23. რომელი იგინებოდა და არავის აგინებდა, ევენებოდა და არავის უთქუმიდა, მიეცა მსაჯულსა სიცრუით;

24. რომელმანი ცოდვანი ჩუენნი თავს-ისხნა ჳორციითა თუსითა, ძელსა ზედა დამოკვიდა, რაჟთა ჩუენ ცოდვისაგან განვეშოვრნეთ და სიმართლით ვცხოვნდებოდით, რომლისა-იგი წყლულებითა გან [259] ვიკურნებით.

C

25. რამეთუ იყვენით ვითარცა ცხოვარი შეცთომილინი, არამედ მოქცეულ

C

ხართ აწ მწყემსისა მის და მოლუაწისა-სულთა თქუენთაჲსა.

3

(17)

1. ეგრეცა ცოლნი დაემორჩილენით თჳსთა ქმართა. დაღათუ გიეთნიმე ურჩ არიან სიტყჳსა, დედათა სლვისაგან თჳნიერად სიტყჳსა შეეძინენ,

2. ჰედვიდენ რაჲ იგინი შიშით წმიდასა მას სლვასა თქუენსა,

3. რომელ-ესე არს არა გარეშეთა მით განთხზევთა¹ თმისათა² და ოქროსა წესხმითა, გინა შემოსითა სამოსლისა შემკეთა,

4. არამედ დაფარულითა მით გულისა კაცისაჲთა უხრწნელითა მით სინჯდისაჲთა და ყუდროებისა სულითა, რომელ არს წინაშე ღმრთისა პატივისან.

(18)

5. ესრევე ოდესმე წმიდანისა იგი დედანი, რომელნი ესეიდეს ღმერთსა, შეიქცობდეს თავთა თჳსთა და დამორჩილებულ იყვნენ თჳსთა ქმართა,

6. ვითარცა-იგი სარრა ერჩდა აბრაჰამს და უფლით ჰხადინ მას, რომლისა-იგი იქმნენით შვილ კეთილის მოქმედ და არა გეშინოდის არცა ერთისა შიშისა.

7. ქმარნი ეგრევე მსგავსად თანა-
[უ]-იყვნენდ შენდობით, ვითარცა უძლურმსთა ქურპერთა, დედათა, ცოლთა თქუენთა მისცემლდო პატრისა, ვითარცა თანა-მკვდრთა მადლისა მის ცხოვრებისათა, რაჲთა არა დააქადოთ ლოცვასა თქუენსა.

8. ხოლო დასასრულად ყოველნი ერთ-ზარხვა იყვენით, მოწყალე, ერთსა

ერთისა ვნებაჲ გიძნდინ, ძმათ მოყუარე, შემწყურებელ, მდაბალ.

9. ნუვინ ბოროტსა ბოროტისა წილ მიავებთ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, წინააღმდეგობასა მას აკურთხედით, რამეთუ ამისთჳს ირინენით, რაჲთა კურთხევაჲ დაიმკვდროთ:

(19)

10. რომელსა უყუარდეს სიყუარული ცხოვრებისაჲ და ხილვად დღენი კეთილისანი, დააცბრევენ ენაჲ თჳსი ბოროტისაგან და ბავითა ნუ იტყუნ ზაკუევასა.

11. მოაქციენ ბოროტისაგან და ქმენინ კეთილი, მოიძიენ მშუდობაჲ და მისდევდინ მას,

12. რამეთუ თუალნი უფლისანი მართალთა ზნდა და ყურნი მისნი ლოცვასა მათსა ზედა, პირი უჟულისაჲ მოქმედთა ზედა ბოროტისათა.

13. და ვინ-მე არს ბოროტის მყოფელ თქუენდა, [260] უკლებთ თქუენ კეთილია მობაჲჲ იქმნენთ?

14. დაღათუ გევენებოდის სიმართლისათჳს, ნეტარ ხართ; შიშისა მათისაგან ნუ გეშინინ, ნუცა შესძრწუნდებით.

15. უფალი იესუ ქრისტე წმიდა ყავთ გულთა შინა თქუენთა; განმზადებულ იყვენით მართლის სიტყჳს მიგებად ყოვლისა, რომელი ეძიებდეს სიტყჳსათქუენ შორის სასოებისა მისთჳს, არამედ სიმშუდით და შიშით.

16. გონებაჲ გაქუნდინ კეთილი, რაჲთა, რომლითა-იგი ძჳრსა გეტყოდიან, ჰრცხუნოდის მათ, რომელნი-იგი-

¹ განთხზენითა A.

² ეს სიტყვა ჩამატებულია სტრიქონებს შორის მკრთალი მელნითა და შესაძლოა სხვა ხელთაჲ.

C

გმძლავრობენ თქუენ კეთილითა მით ქრისტეს მიერ სლვითა.

(20)

17. უმჯობეს არს, კეთილსა თუ იქმოდით და ეგრე ჯერ-უჩნდეს ნებასა ღმრთისასა ჭნებად თქუენი, ვიდრე-ღა ბოროტსა თუ იქმოდით.

18. რამეთუ ქრისტემანცა ერთ გზის ცოდვითა ჩუენათუს იენო, მართალმან ცრუთათუს, რაჟთა ჩუენ წარგვდგინეს ღმრთისა, მოკუდა ჯორციითა და ცხოვნდა სულითა,

19. რომლისაგან საპყრობილესა მას შინა სულთა მივიდა და ქადაგა.

20. რომელნი-იგი ურჩ ოდესმე იყე-

C

ნეს, რაჟამს-იგი თავს-ელდა სულ-გრძელებასა ღმრთისასა, დღეთა მათ ნოესთა, [x] შემზადებასა კიღობნისასა, რომელსა-იგი შინა იყვენეს მცირედნი, ესე იგი არს რეანი სულნი განერნეს წყლისაგან.

21. რომლისა სახედ აწ თქუენცა გაცხოვენებს ნათლის-ლებად, არა ჯორცითაგან განშოვრებად მწინკულისად, არამედ გონებისა სათნო-ყოუად ღმრთისად აღდგომითა იესუ ქრისტესითა,

22. რომელი არს მარჯუენით ღმრთისა, რომელი აღმაღლდა ზეცად და დაემორჩილნეს მას ანგელოზნი და ჯელმწიფებანი და ძალნი.

4

1. ქრისტემან რაჟ იენო ჯორციითა, და თქუენცა იგივე გონებად შეიქურეთ-რომელმან იენო ჯორციითა, დაცხრობილ არს ცოდვისაგან,

2. რაჟთა არღარა იყოს კაცთა გულის თქუნასა, არამედ ნებითა ღმრთისაჟთა ნეშტნი იგი ჯორციელებისა ეანნი ცხოვრებად.

3. კმა არიან წარსრულნი იგი ეამნი ნებისაებრ წარმართთაჟსა საქნედ, რომელნი-იგი ვლენან არაწმიდებითა გულის თქუშითა და მთრვალობითა, სიმღერითა და შუეზითა და უჯგროჟთა კერპთ მსახურებითა.

4. რომლისაგან უჯვარს არა თანასრებად თქუენი მასვე არაწმიდებისა [261] აღძრვასა, გგმობენ.

5. რომელთა სიტყუად მიუგონ მას, რომელი-იგი განმზადებულ არს განშჯად ცხოველთა და მკუდართა.

6. რამეთუ ამისთუს ეხარა მკუდართა, რაჟთა ისაჯუნე კაცობრივ ჯორციითა

და ცხოვნდენ ღმრთისა მიერ სულითა.

7. რამეთუ ყოველთაჟ დასასრული მოიწია,

(21)

განიწმიდენით და განიფრთხვეთ ლოცვად.

8. ყოვლის წინა ურთიერთას სიყუარული განმარტებული გაქუნდინ, რამეთუ სიყუარულმან დაფარის სიმრაველს ცოდვითაჟ.

9. სტუმრის მოყუარე იყვენით ურთიერთას თჯნიერ დრტჯნისა.

10. კაცად-კაცადმან ვითარცა მიილა ღმრთისაგან მადლი, მას ეგრევე ურთიერთას ამსახურებდინ, ვითარცა კეთილნი მენნი მრავალ-ფერისა მის ნიჭისა ღმრთისანი.

11. რომელ-იგი ვინ იტყოდის, ვითარცა სიტყუათა ღმრთისათა, რომელი ჰმსახურებდეს, ვითარცა ძალისაგან, რომელსა მოსცემს ღმერთი, რაჟთა ყოველსა შინა იდიდებოდის ღმერთთ

ს

ქრისტე იესუმს მიერ¹, რომლისადაც არს დიდებამ და ძალი უკუნიითი უკუნი-სამდე, აწ.

(22)

12. საყუარელნო, ნუ გიკვრნ თქუენ თანა განჭურვებამ ეგე, რომელი განსაცდელად იქმნის თქუენ თანა, [ჟ] რეცა თუ უცხოად რამე შეგემთხვის თქუენ.

13. არამედ რაოდენ-ეგე ეზიარებით ენებათა მათ ქრისტესთა, გიხაროდენ, რადთა გამოჩინებასაცა დიდებისა მისისასა გიხაროდის და მხიარულ იყვენთ.

14. უკუეთუ იყუედრებოდით სახელისათჳს უფლისაჲსა, ნეტარ ხართ, რამეთუ დიდებისა სული ღმრთისაჲ თქუენ ზედა განსუენებულ არს.

15. ნუმცა ვის თქუენთაგანსა ევენ-

ს

ბის, ვითარცა კაცის-მკლველსა, გინა მპარავსა, გინა ძვრის მოქმედსა, გინა ვითარცა უცხოასა² მოლუაწსა.

16. უკუეთუ ვითარცა ქრისტეანესა, ნუ ჰრცხუნენინ, არამედ აღიდებდინ ღმერთსა სახელითა მით.

17. რამეთუ ეამი პირველად საშჯელისა სახლისაგან ღმრთისა იწყოს; უკუეთუ პირველად ჩუენგან, რამ-მე ეყოს ურჩთა მათ სახარებისა ღმრთისათა?

18. და უკუეთუ მართალი ძნიად განერეს, უღმრთოდ და ცოდვილი სადალა-მე იპოვოს?

19. ამიერთგან რომელთა ევენბოდის ნებითა ღმრთისაჲთა, სარწმუნოებისა და მბადლებელსა შეჰვედრენით სულნი თჳსნი საქმიითა კეთლითა.

5

(23)

1. ხუცესთა მათ თქუენ შორის ვპლოცავ, ვითარცა თანა-[262]-ხუცესი და მოწამშ ვნებათა მათ ქრისტესთაჲ და მერმისა მის გამოჩინებისა დიდებისა ზიარი; მწყსილით თქუენ შორის სამწყსოსა მას ღმრთისასა.

2. ილუწილით ნუ იძულებით, არამედ ნებითა ღმრთისაჲთა, ნუცა საძაგელეებისა შეძინებითა, არამედ გულს-მოღვინედ.

3. ნუცა ვითარმცა³ ეუფლებით მღვლელთა მათ ზედა, არამედ სახე ექმნენით სამწყსოსა მას.

4. და გამოჩინებასა მას მწყემსთ მთავრისასა მოილოთ დაუქნობელი იგი დიდებისა გვრგვნი.

5. ეგრევე ჰპაუენი დაემორჩილენით მოხუცებულთა; და ყოველთავე ურთიერთას სიმდაბლშ შეიმოსეთ, რამეთუ

ღმერთი ამპარტავანთა შეჰმუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი.

6. და- უკუე -მდაბლდით წინაშე მტკიცესა ჯელსა ღმრთისასა, რადთა აღგამაღლნეს თქუენ ეამსა მოხედვისასა.

7. ყოველივე ზრუნვად თქუენი მიუტევეთ მას, რამეთუ იგი ილუწის თქუენთჳს.

(24)

8. განიფრთხვეთ და მღუძარე იყვენით, რამეთუ მოსაჯული თქუენი ეშმაკო ვითარცა ლომი მყვრალშ მიმოვალს და ეძიებს, [ჟ] ვითარმცა შთა- ვინმე -ნთქა.

9. რომელსა წინა-აღუდღეგით მტკიცედ სარწმუნოებითა, უწყოდეთ, იგივე ვნებათაჲ მათ და ამას სოფელსა ძმობასა მას თქუენსა აღასრულებდით.

10. ხოლო ღმერთმან ყოვლისა მადლისამან, რომელმან გიჩინა თქუენ საუკუნესა მას დიდებასა ქრისტე იესუმს

¹ ქრისტე იესუ მიერ A. ² უცხოას A. ³ გ'ა A.

ს

შიერ მცირედ-ლა თუ გევნო, მან გან-
გამტკიცენინ და დაგამყარენინ, განგა-
ძლიერენინ და დაგაფუძნენინ.

11. რამეთუ მისი არს სიმტკიცე
უკუნითი უკუნისამდე, აწ.

12. სილოვანეს მიერ, ძმისა თქუე-
ნისა, სარწმუნოვსა, ვითარ-იგი მცირედ
მიუწერე და გლოცვედ და გიწამებდ,
ეგრე შემირაცხიეს, ვითარმედ ესე არს

ს

ქეშმარიტი მადლი, რომელსაცა ზედა
სდგათ.

13. გიკითხავს თქუენ, რომელ არს
ბაბილონს შინა რჩეულისა მის თანა და
მარკოს, ძმ ჩემი.

14. მოიკითხვედით ურთიერთას ამ-
ბორის-ყოფითა სიყუარულისაჲთა. მშ-
დობაჲ თქუენ თანა, ყოველნი რო-
მელნი ხართ ქრისტე იესუს მხრე, აწ.

C

1

C

(25)

1. სუმონ-პეტრე, მონა და მოციქული იესო ქრისტესი, რომელთა-ეგე სწორი პატივი ხუდერებულ არს თქუენდა სარწმუნოებად სინაროლითა ღმრთისადა-თა და ნაცხოვრისა იესო ქრისტეათა.

2. ნადლი თქუენდა და ნმჯდობად განწაგლდინნეცნიერებითა ღმრთისადა-თა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა!

3. რომელნი იგი ყოველი ღმრთეებისა თჳსია აალი საცხოვრებელად და ღმრთის სამაჲსურებელად მოგუანიბა ჩუნნეცნიერებითა მისითა, რომელნი ინიონა ჩუნნ თჳსსა მას დიდებესა და სათნოებასა;

4. რომლისაგან დიდ-დიდნი და პატრიოსანნი აღთქმანი ჩუნნ მოგუანიბნა, რაჲთა ამის განო იყენეთ¹ საღმრთოდა მის ზიარ ბუნებისა, ევლოდეთ სოფლისა ამის გულის თქემისა ხრწნილენასა.

5. და თქუნდა ესევე ყოველი მოწრათებად მოიპოვეთ და ყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნოებად, სათნოებასა შინა—მეცნიერებად,

6. მეცნიერებასა შინა—მარხვად, მარხვასა შინა—მოთმინებად, მოთმინებასა შინა—ღმრთის მსახურებად,

7. ღმრთის მსახურებასა შინა—ძმათ მოყუარებად, ძმათ [ს] მოყუარებასა, შინა—სიყუარული.

¹ იყენეთ A.

8. ესე რაჲმს იყოს თქუენ თანა და გარდაგებატოს არა უქმად, არცა უნაყოფოდ იპოვნეთ თქუენ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა მას გამოცნობასა.

9. ხოლო რომლისა თანა ესე არა არს, იგი ბრმა არს, მწერსა აჩრდილად ჰხედავს, რაზეთუ დაავიწყდეს განწმედანი იგი პირველთა ცოდვათა მისთანი.

10. ამისთჳს, მმანო, უფროდს-ლა იწრათეთ, რაჲთა კეთილთაგან საქმეთა მტკიცე ჰყოთ ჩინებად ეგე და რჩეულებად თქუენი. ამას რაჲ იქმოდით, არასადა სცეთო,

11. არამედ ესრეთ მდიდრად წარმოგებართოს თქუენ შესავალი იგი საუკუნესა მას სასუფეველსა ღმრთისა ჩუენისასა და მაცხოვრისა იესო ქრისტესსა.

(26)

12. ამის გამო ვილუაწო თქუენდა მოკსენებად მარადის, დალათუ იცით და მტკიცე ხართ მოწევეულსა მას ზელა ქეშმარიტებასა.

13. სამართლად შემიბრაცხიეს, ვიდრე-ესე ვარ მე ამას შინა საყოფელსა განლუქებად თქუენდა მოკსენებითა.

14. უწყვი, რაზეთუ აღრე ყოფად არს დატევებად [26,4] საყოფლისა ამის ჩემისაჲ, ვითარცა-იგი უფალმან ჩუენმან: იესო ქრისტემან მაუწყა მე.

ს

15. და ვიწრადო, რაფთა კაცად-კაცადსა თქუენსა აქუნდეს შემდგომად განსლებისა ჩემისა ამათი მოქსენებისა ყოფად.

16. რამეთუ არა მეცნიერებისა ზღაპართა შეუდევით და გაუწყეთ თქუენ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისი ძალი და მოსლვად, არამედ თვთ ვხედვედით მისსა მას სიმდიდრესა.

17. რამეთუ მოილო ღმრთისაგან მამისა პატივი და დიდებად, ჳმად, რომელი მოიწია მისა ესევითარისაგან დიდად შუენიერებისა დიდებისა: ესე არს იმ ჩემი საყუარელი, რომელი წე სათნო-ვიყავ.

18. და ესე ჳმად ჩუენ გუესმა ზეცით მოსრული მის თანა, რად ვიყვნით მათსა მას წმიდასა.

ს

19. და მაქუს ჩუენ უმტკიცესი საწინაწარმეტყულოდ სიტყუად, რაფთა კეთილად ჰყოთ, ეკრძალნეთ თუ ვითარცა სანთელსა აღნთებულსა წყუდიადსა ადგილსა, ვიდრემდე დღმ განათლდეს და მთიები გამოზრწყინდეს გულთა თქუენთა.

(27)

20. ესემცა პირველად უწყით, რამეთუ ყოველი წინაწარმეტყუელებად წიგნისად თვისსა თავისა სათარგმანებელ არა [ს] არს.

21. რამეთუ არა ნებითა კაცისაჲთა მოსამე-იწია წინაწარმეტყუელებად, არამედ სულისა მიერ წმიდისა, წუეეთი სულისა წმიდისაჲთა იტყუდეს წმიდანო ღმრთისა კაცნი.

2

1. იყენეს ცრუ-წინაწარმეტყუელნიცა ერსა შორის, ვითარცა-ეგე თქუენ შორის ყოფად არიან ცრუ-მოძღუარნი, რომელთა-იგი შემოიღონ წვალებად წარწყმედისაჲ და განმათავისუფლებელსა უფალსა მათსა უარ-ჰყოფდენ და მოიზიდიდენ თავისა თვისსათუს მსთუად წარწყმედისა.

2. და მრავალნი შეუდგენ მათსა მას არაწმიდებისა, რომელთაგან გზად იგი ქეშმარტებისაჲ იგებოდის¹.

3. და ანგაპრებითა და ტყუილისა სიტყუთა თქუენ გექცეოდინ, რომელთაჲ-იგი საშჯელი პირველითგან არა დაცხრების და წარსაწყმედელსა მათსა არა ჰრულის.

4. უკუეთუ ღმერთმან ანგელოზთა მათ შეცოდებულთა არა ჰრიდა, არა-

მედ ჯაჲუებითა მით წყუდიადისაჲთა შეაყენნა და მისცნა იგინი საწჯელად ტანჯუითა დამარხვად.

5. და პირველსა მას სოფელსა არავე ჰრიდა, არამედ ნერვჲ იგი ნოე, [26] სიმართლისა ქადაგი, დაჰმარჩა დაწყლით რლუნად იგი უღმრთოთა სოფელსა მოაწია.

6. და ქალაქები იგი სოდომელთა და გომორელთაჲ დაწუა და დაჰქცია და დასაჯა და სახედ მერმეთა მათ უღმრთოთათუს დადვა.

7. და მართალი იგი ლოთ, დაწუნებული შორის უწყსოთა მათ სიბილწით მივლთაჲსა, იჳსნა.

8. რამეთუ ხედვითა და სმენითა მართალი იგი დამკვდრებულ იყო რად მათ შორის, დღითი-დღე სული იგი მისდ

C

შართალი უჯეროდა მის საქმისაგან იტანჯებოდა.

(28)

9. რამეთუ იცის უფალმან ღმრთის მსახურთა მათ განსაცდელისაგან ჭნაჲ, ხოლო ცრუნი იგი დღესა მას საშჯელისასა ტანჯვასა შინა დაჰმარხნეს.

10. უფროჲს-ლა, რომელნი-იგი კუალსა მას ჯორცთა გულის თქუმიასა სიბილწით შეუდგან და უფლებასა შეუჩაცხ-ყოფენ, კაღნიერნი და თავჳედნი, დიდებათათჳს არა ძრწიან, არამედ ჰგმობენ.

11. სადა-ლა ანგელოზნი ძლიერნი ძალითა, რომელნი უფროჲს არიან, ვერ მოაწიან მათ ზედა უფლისა მიერ გმობისა საშ[უ]ჯელი².

12. ხოლო ესენი, ვითარცა პირუტყუნნი საცხოვარნი, შობილნი ბუნებით მოსასრველად და განსარყუნელად, რომელ-იგი არა იციან და ჰგმობენ და ძრწინილებითა მათითა განირყუნენ.

[აკლია]

C

13. და მოიღონ სასყიდელი სიცრუისა მათისაჲ. გულის თქუმაჲ იგი შეურაცხიეს, ვითარცა³ დღ⁴ შეუებისაჲ. შეგინებულნი და ბილწნი იშუებედ სიყუარულსა შინა მათსა და თქუნენ შეცხრებიან.

14. თუალნი ასხენ საესენი მრუშები-თა და დაუცხრომელითა ცოდვითა, შეიტყუიან სულთა დაუმტკიცებელთა, გულნი ჰჭონან წურთილნი ანგაჰრები-თა, წყევლისა შეილნი.

15. დაუტევეს წრფელი გზაჲ და შესცთეს და შეუდგან იგინი გზასა მას ბალაამ ბოსორელისასა, რომელმან-იგი სასყიდელი (ს)იცრუისაჲ შეიყუარა.

16. მამხილებელად აქუნდა თჳსისა უშჯულოებისა კარაული პირუტყჳ, რომელი კაცობრივითა ჳმითა იტყოდა და დააყენა წინაწარმეტყუელისა მის უგუნურებაჲ.

17. ესენი არიან წყარონი...

¹ ამ გვერდზე ასოები აქა-იქ წაშლილია და მკრთალად ჩანს.

² შ წაშლილია და ოდნავლა ჩანს. ³ ე⁴ დ⁵ A.

ნაწყვეთები

1. კელაქციის ნუსხიდან.

4

4

1

1. იაკობ, ღმრთისაჲ და უფლისა იესუ ქრისტისი მონაჲ, ათორმეტთა მათ ნათესაეთა მიმოდატესულთა, — გიხაროდენ!

2. ყოველივე სიხარულად შეპრაცხეთ, ძმანო ჩემნო, რაჲმს განსაცდელსა შესციუიეთ პირად-პირადსა;

3. უწყოდეთ, რამეთუ გამოცდილებად ეგე თქუენი სარწმუნოებისაჲ შეიქმს მოთმინებასა,

4. ხოლო მოთმინებასა მას [ს]აქმს სრული აქუნდინ, რაჲთა იყვნენ სრულ და ყოველად ცოცხალ და არაარაჲთ ნაკლულევან.

5. უკუეთუ ვინმე თქუენგანი ნაკლულევან არს სიბრძნითა, ითხოვენ მისგან, რომელმან-იგი მოსცის ყოველთა, ღმერთმან, უსასყიდლოდ და არავის აყუედრის, და მოსცეს მას.

6. ითხოვდინ ხოლო სარწმუნოებით და ნუ ორგულეებით, ხოლო რომელი-იგი ორგულეებდეს, მსგავს არს იგი ღელვათა ზღვსათა, ქართია აღძრულთა და მიმოტაცებულთა.

7. ნუ ჰგონებნ კაცი იგი მოღებად რაჲსმე უფლისაგან.

8. კაცი ორგული დაუდგრომელ არს ყოველთა გზათა მისთა.

9. [225 ბ¹] იქალოდენ ძმად იგი მდაბალი ამალეზასა თჳსსა,

10. ხოლო მდიდარი იგი — დამდაბლესა თჳსსა, რამეთუ ვითარცა [ყუა]ვილი თივისაჲ, ეგრე [წარქ]დეს.

11. განობრწყინდა მზ¹ სიციხითა თჳსითა [და განაქ]მო თივად იგი და ყუ[ავი]ლი მისი დასცუივა და შეენიერებაჲ პირისა მისისაჲ წარწყმდა. ეგრეცა მ[დიდ]არი იგი სლვასა შინა თ[ჳს]სა დაქნეს.

12. ნეტარ არს კაცისა მის, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნის და მოიღის გვრგ[ვნი იგი ცხორებისაჲ], რომელი აღუ[თქუა] ღმერთმან მოყუარეთა [მისთა].

13. [228 ბ²] რომელი-იგი განიცადებოდის, ნუ იტყვნ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტითა და არავის გამოსცდის იგი.

14. არამედ კაცად-კაცადი განიცადების თჳსისაგან გულის თქუმისა, მიიზიდვის და იიძულების¹.

15. მერმე გულის თქუმაჲ იგი [229 ა¹] მიუდგის და შვის ცოდვაჲ და ცოდვაჲ იგი სრულ იქმნის და უშვის მას სიკუდილი.

9

16. ნუ სცთებით, ძმანო ჩემნო, საყუარელნო!

17. ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრული ზეგარდამოსრულ არს მანისაგან ნათლისადასა, რომლისა თანა არა არს ცვალება, გინა თუ ქცევისა აჩრდილის შეცოდება.

18. ნებითა თუსითა მშენა ჩუენ სიტყუთა ქეშმარიტებისადათა, რადათა ვიყენეთ ჩუენ დასაბამ რაჲმე მისთა დაბადებულთა.

19. უწყოდეთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, აწ უკუე: იყავენ ყოველი [კაცის] მოსწრაფე სნენად და მძიმე სიტყუად და მძიმე გულის წყრომად.

20. რამეთუ გულის წყრომამან კაცი-სამან სიმართლმ ღმრთისაჲ! არა¹ ქმნის.

21. ამისთჳს მოისპენ თქუენგან ყოველი მწინკულევაანებაჲ და შეტი იგი სიბოროტისაჲ, სიმშუილით შეიწყნარეთ ნერგი იგი სიტყუსაჲ მის, შემძლებელი ცხორებად სულთა თქუენათათჳს².

22. [230 მ¹] და იყვენით მყოფელ

9

სიტყუსა ამის და ნუ მსმენელ ხოლო და შეურაცხის-ყოფელ თავთა თჳსთა.

23. უკუეთუ ვინმე მსმენელ ხოლო იყოს სიტყუსა ამის და მყოფელ არა, ესევეთარი მსგავს არს კაცისა მის, რომელმან განიცადის ქმნულეგაჲ თჳსი სარკითა.

24. და ვითარცა წარვიდის, მეცსეულად დაავიწყდის, ვითარ-რაჲ არს.

25. ხოლო რომელმან მიჰხელა შჯულ-სა მას სრულსა აზნაურებისასა და დადაღრა და დამვიწყებელ იქმნა, არამედ მყოფელ საქმისა მის; ესე ნეტარ იყოს ყოფითა მით.

26. უკუეთუ [...] ენებოს ღმრთის მსახურ[ებდა] და არა აღზრ-ასხნეს [ენასა] თჳსსა, იგი უტყუევის თავსა თჳსსა და ამო არს მსახურებაჲ მისი.

27. არამედ მსახურებაჲ წმიდაჲ და უბიწოჲ ღმრთისა მიმართ და მამისა ესე არს: მიხედვაჲ ობოლთაჲ და ქურივთაჲ პირსა შინა მათსა და შეუგინებელად დამარხებაჲ თავისა თჳსისაჲ ამის სოფლისაგან.

2

1. [232 ბ¹¹] ძმანო ჩემნო, ნუ თუალთ-ლებით გაქენ სარწმუნოებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისი დიდებულისაჲ.

2. უკუეთუ ვინმე შევიდეს შესაკრებელსა თქუენსა კაცი, რომელსა ეცუას ბეჭედი ოქროასაჲ და ემოსოს სამოსელი ბრწყინვალმ და შევიდეს გლახაკიცა სამოსლითა მწინკულევაანითა,

¹ არა L.

² 21-ე მუხლი ხელნეწორედ ვეხედება სხვა საკითხავის დასაწყისში (გვ. 229 ბ⁹—230 მ¹⁻²) და ასე იკითხება: „ამისთჳს განიზრეთ ყოველი არაწმიდებდა და ნეტი იგი უკეთურებისაჲ, სიმშუილით [230 მ¹] შეიწყნარეთ ნერგი იგი სიტყუსაჲ მის, რომელი შემძლებელ არს ცხორებად სულთა თქუენთა“. ამას მოსდევს უკვე შემდეგი მუხლი.

³ შეურგულდით L.

⁴ ბოროტთა L (მაგრამ ტ და თ ასოებს შორის ერთი ასოს ოდენა ადგილია გამოტოვებული; ამეამად არ ჩანს, რომ აქ ამოშლილი იყოს რამე).

ღ

5. ისმინეთ, ძმანო ჩემნო [233 მ¹] ს[ა]ყუარელნო: ანუ არა გლახაკნი სოფლისაგანნი გამოირჩინა¹ ღმერთმან, ხოლო მდიდარნი სარწმუნოებითა და მკვდრნი სასუფეველისანი, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა თვისთა?

6. ხოლო თქვენ შეურაცხ-ჰყავთ გლახაკი იგი. ანუ არა მდიდარნი გმძლავრობენ თქვენ და იგინივე მივითრევენ თქვენ წინაშე მსაჯულისა?

7. ანუ არა იგინივე ჰგმობენ კეთილსა მას სახელსა, რომელი წოდებულ არს თქვენ ზედა?

8. უკუეთუ შჩულსა აღასრულებთ სამეუფოსა, ვითარცა წერილ არს: შეიყუარო მყოყასი იგი, ვითარცა თავი თვისი, კეთილად ჰყოთ.

9. უკუეთუ თულათ-აღებთ, სცოდავთ და გამხილებს თქვენ შჩული, ვითარცა გარდამავალთა.

10. რამეთუ რომელმან ყოველი შჩული აღასრულოს და ერთსა მას სცოთეს, იქმნა იგი ყოელისა თანა-მღებ.

11. რამეთუ რომელმან-იგი თქუა: ნუ იმრუშებ, მანვე თქუა: ნუ კაც-ჰკლავ; უკუეთუ არა იმრუშო და არა კაც-ჰკლავ და სიყუარული არა გაქუნდეს, იქმნავე გარდამავალ [233 ბ¹] შჩულისა.

12. [ესრძთ იტყოდეთ] და ესრძთცა ჰყოფდ[ით, ვითარცა] რჩულისა მიერ აზნაურ[ებთ]სადასა განშჩად ხართ.

13. რამეთუ სარჩელი უწყალო არს [მათთვის, რომელთა] არა ყონ წყალობა; [... იქადო]დეთ წყალობასა სა[რჩე-ლისასა].

14. [233 ბ¹⁰] რად სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: მე

ღ

სარწმუნოებამა მექულ და საქმენი არა აქუნდენ? ვერ შემძლებელ [არს] სარწმუნოებამა იგი ხო[ლო] ცხოვრებად მისა.

15. უკუეთუ ძმად გინა თუ დამ ში- [შ]უელ იყენენ და ნაკ[ლულ]ევან დღისა; საზ[რდელისა]

16. და ჰრქუას ვ[ინმე თქუენგან]- მან: წარ[ვედით მშვდ]ობით, განძე[ლით და განტეფით], და არა² [სცეთ მათ საქმა]რი გო[რცთაჲ], რად სარგებელ [არს?]

17. [ეგრძთცა] ს[არწმუნოებამა]: უკუეთუ საქმენი არა აქუნდენ, მკუდარ არს იგი ხოლ[ო].

18. უკუეთუ ვინმე თქუას: შენ სარწმუნოებამა [გაქუს [236 მ¹] და მე ს[აქმენი მქონან, მიჩ]უნენ მე] სარწმუნოებამა [შენი] თვნიერ საქმეთა შენთა [და] მე გიჩუენო შენ საქმეთა ჩემთაგან სარწმუნოებამა.

19. [შენ გრწამს, რამეთუ ერთ არს ღმერთი, კეთილად სცან. იგი ეშმაკთაცა ჰრწამს და ძწიან მისგან, ხოლო ნებასა მისსა არა ჰყოფენ.

20. გნებავეს ცნობად, ჰ კაცო ვინმე ცულდო, რამეთუ სარწმუნოებამა თვნიერ საქმეთასა მკუდარ არს?

21. აბრაჰამ, მამად ჩუენი [არა სა]ქმეთაგან განმართლდა[ა, რამეთუ] შეწირა ისაკი, ძმ თვისი, საკურთხეველსა ზედა?

22. [ჰხედავა, რამეთუ სარწმუნოებამა [შეეწ]ევის საქმეთა მისთა და [საქმეთა] მათგან სარწმუნოებამა [იგი სრულ იქმნა?]

23. და აღესრულა წერილი იგი, რომელსა იტყვს: [ჰრწმენა აბრაჰ]ამს ღმერთი და, [შეერაცხა მას სი]მართლედ, [და მეგობარ ღმრ]თისა იწოდა.

... 1. გამოირჩინა L.

2 არად L.

9

24. [ჰხედავთა, რამეთუ ს]აქმეთაგან გან[მართლდ]ების კაცი და არა [სარ-წმ]უნობითა ხოლო?

25. [ეგრძთვ]ერაბ, მეძვი იგი, [არა საქმეთ]აგან განმართლდა(ა), რამეთუ [შეიწყნა]რნა მსტუარნი იგი მშვდობით,

9

[236 ბ¹] და სხვთ გზით განავლინა იგინი?

26. ვითარცა გუამი თუნიერ სულისა მკუდარ არნ, ეგრეცა სარწმუნობაჲ თუნიერ საქმეთასა მკუდარ არს.

3

1. [241 ა²⁴] ნუ მრავალნი ჰმოდლურებთ, ძმანო ჩემო! უწყოდეთ, რამეთუ უდიდსი სასჯელი მოილოთ.

2. რამეთუ ფრიად სტებით ყოველნი, ხოლო რომელი სიტყვათა არა¹ სტეს, იგი სრული კაცი არს, შემძლებელ არს იგი აღუიარ-სხმად ყოველსავე გუამსა თუსსა.

3. უკუეთუ [241 ბ¹] [ცხენსა აღვრნი აღუსხნით] და[წორჩილებად ჩუენდა, იგი და ყოველი] გუა[მი მისი მოვაქციით].

4. და აჰა ესერა, [ნავებიცა იგი დიდ]-დიდები, ფიცხ[ელთაგან ქართა] მიმოტაცებულნი, მოიქცევიან მცირისაგან საქისა, ვიდრეცა-იგი ჰქნებავნ² მისლვად განმმართებულსა მას.

5. ეგრევე, ენ[აჲ მცირე] ასოჲ არს და დიდ[ად მალღოს]. აჰა კუალად მ[ცი-რემან ცეცხლ]მან რავდენი ნიეთი ალაგზნის!

6. და ენა[ჲ ეგრეთვე ც]ეცხლ არს, სამკაული [სიცრ]უვისაჲ. ენაჲ დამკვლ[რებულ] არს ასოთა შინა [ჩუენთა], რომელი შეავინებს ყოველსა გ[უამსა] და ალაგზებს ურმის [თულ]სა მას შე-საქმისასა და [ალგ]ზებულ არს გეჰენიასაგან.

7. ყოველი ბუნება[ჲ მვეცთა და] მფრინველთაჲ და ქუეწარ[მაველ]თა და მცურველთაჲ დაი[მწყსების] და დამწყ[სილ არს ბუნებასა ქ]უეშე კ[აც-თასა].

8. [ხოლო ენაჲ კაცთაჲ] ვერვის [ველ-ეწიფების დამწყს]ად, დ[აუპურობელი ბოროტი], საესტ [გესლითა მაკუდინე-ბელითა].

9. [რამეთუ მით ვაკ]ურთხე[ვთ ღმერთსა და მამასა]. და მით ვ[წყვეთ] კაცთა, რომელნი მსგავსად ღმრთისა შექმნულ არიან].

10. [242 ა¹] [მიერვე პირით გამო-ვალს კურთხევაჲ და წყევალ. არა ჯერ-არს, ძმანო ჩემო საყუარელნო, ესე ესრტ] ყო[ფად].

11. [ნუუკუე] წყაროჲსა [მისივე თუა-ლი]საგან გამო[დინ ტ]ბილი და[ჲ მწარს?]

12. ეგების-მეჲ, ძმანო [ჩემნო, ვი-თარძეა ლე]ლუმან ზეთის ხილი [გამო-ილო, გ]ინა თუ ვენაჲმან [ლელვ? ეგრეცა ვერცა მარილ[...]]აღ⁴ ტ[ბილ ყოფად].

13. [ვინ არს ბრძენ] და მეცნიერ თქ[უნენ შო]რის, აჩუენენ კეთილ [...]]ათა საქმს თუსი სი[მშუ]ილითა სიბრძნისაჲთა.

(საკითხავი აქ წყდება)

¹ არაჲ L.
² ქენზნ L.
³ დაზიანებულია L-ში.

⁴ ამ ადგილის ეკემიუტანლად აღდგენა არ ხერხდება, ფრჩხილების გარეთა ა-ც კულად მარილიანსა ადგილსა წყალი ტბილ ყოფად.

ღ

ღ

4 .

1. [243 ბ²³] ვინაჲ არია[ნ ბრძოლანი და ლაღვანი თქუენ] შორის? ან[უ...]ნი ანუ ა[... გულის] თქუმათ[აგან].

2. [გული] გითქუამს [და არა გაქუს], კაც-ჰკლავთ [და იშურებით] და ვერ ძალ-გიც [მიმთხუეად], ილაღვთ და ი[ბრძვით და] არაჲ გაქუს, [რამეთუ არა ითხოვთ].

3. ითხოვდით და [ვერ მიიღებთ], რამეთუ ბოროტ[ად ითხოვთ]...

[აკლია]

5. [244 მ⁸] [ანუ ჰგონებთა, ვითარ-მედ ცუდ]ად იტყვს [წიგნი: საშურებ]ელად ს[ურის სულაა, რომელი] დამკვლრებულ არს ჩუენ თანა?

6. უფრ[ოჲს მოცემად მა]დღისა; ა[მისთჳა იტყვს]: ამპარტავ[ანთა შეჰ-

მუ]სრავს, ხოლო მდა[ბალთა მოს]ცის მაღლი.

7. [დაემო]რჩილენით ღმერთსა და წ[ინა-ა]ლუღეგით ეშმაკსა [და იელ]ტოდის თქუენგან.

8. [მიეახლე]ნით ღმერთსა და მოგე-ა[ხლოს თქ]უენ. განიწმიდენით კელნი თქუენნი, ცოდვილნო, [და უბიწო ყვე]ნით გულნი, [ორგულ]ნო.

9. დამდა[ბლდით და იგლოვდით და ტირო]დეთ. სიცილი [თქუენი გლოად გა]რდაიქეცინ [და სიხარული თქუენი —მწუ]ხარებად].

10. [დამ]დაბლდით წინაშე [უფლისა და მ]ან აღგაბაღლნეს...

(საკითხავი აქ წყდება)

I

9

9

1

3. [კურთხეულ] არს ღმერთი და მამა [შაღ უფლისა] ჩუენისა იესუ ქრისტე[სი, რომელმან-იგი მრ]ავლითა წყალო[ბითა თვისითა] კულად გუ[შენა ჩუენ სასო-ვებად ცხოველად აღდგომითა იესუ ქრისტესითა მკ]უდრებით,

4. [სამკვდრებელად უხრწნელად და შე]უგინებელად და [დაუქნობელ]ად დამარხ[ულთა ცათა შინა] თქუენდა [მიმართ],

5. [რომელნი-ეგე ძ]ალითა [ღმრთი-სადათა მოცეულ ხართ [სარწმუნოებითა ც]ხოვრებასა მას განმზადებულს]ა [ვა-მოჩინებად ე]ამსა [მას უკუანაჯსენელსა].

6. [რომლითა] გიხ[არის აწ მციერდ, უკეთუ ჯ]ერ-[არს, რომელნი-ეგე შე-წუხებულ ი]ყ[ვე [272 ბ¹] [ენით მ]რავალ-ფერთა ზედა [განსაც]დელთა.

7. რაჟთა გამოც[დილებად იგი სარ-წმუნოებისად უპატონს]ნს ოქროსა მის წარსაწყმედელისა და ვეცხლისა გამო-ცდილისა იპოოს საქებელად, დიდებად და პატივად გამოჩინებასა იესუ ქრისტესსა ¹.

8. რომელი-იგი არა იცოდეთ და გიყუარს, რომელსა-იგი აწ არა ხედავთ და გრწამს, [274 ბ²¹] იხარებდით სი-ხარულითა გამოუთქუმელითა და დიდებ-ბითა.

9. და მოილოთ აღსასრულსა მას

სარწმუნოებისა თქუენისასა ცხორებად სულთაჲ.

10. რომლისა ცხორებისათჳს გამოი-ძიეს და გამოიკულიეს წინაწარმეტყუელ-თა, რომელნი თქუენდამი მადლსა მას, წინაწარმეტყუელებდეს,

11. ოდეს ანუ რომელსა ეამსა ეუ-წყებოდა მათ შორის სული იგი ქრის-ტესი, წინაგწარ წამებდეს ქრისტესთა. მათ ვენებათა [274 ა¹] და მისა შემდგო-მად [დიდებათა მისთა].

12. რომელი-იგი გამოეცხადა, [რა-მეთუ არა] თავთა თვისთა, არამედ თქუენ გმსა[ხ]ურებდეს მას, რომელიცა აწ [მიგეთ]ხრა თქუენ მახარებელთა მათ თქუენ[თა მიერ სულითა წმიდითა მოვ-ლინებული ზეცით, რომლისათჳს გული უთქუამს ანგელოზთა ხილვად.

13. [264 ა¹²] [ამისთჳს მოირტყენით წელი გო]ქნებ[ათა თქუენთანი, ფრთხილ იყ]ვენი[თ, სრულიად ესევდით] მოწვე-ნულსა მას თქუენდა მადლსა გა[მო-ცხადებას]ა იესუ ქრისტესსა.

14. [ვითარცა შვილი მორჩილე]ბი-სანი და ნ[უ თანა-ხატ-ეკმნე]ბით პირ-ველთა [მათ უმეტერების]ა თქუენისა [გულის თქუმა]თა,

15. არამედ მწოდე[ბელისა მისებრ თქუენისა წმიდისა [და თქუენცა წმიდ]ა. იყვენით ყოველსა[ვე შინა. სლვასა. თქუენ]სა.

¶

16. რამეთუ წერილ არს: [წმიდა იუვენით], რამეთუ მე წმიდა ვარ.

17. და [უკუეთუ მა]მით ხალით მას, [რომელი-იგი თუალ]-უხუთავად მსა[ჯუელი არს თით]ოეულისა საქმეთა, შიშით მწირობისა] მაგის თქუენი[სა ეამნი აღასრულე]ნით.

18. უწყ[ოდეთ, რამეთუ არა განხრწნ]ადითა ოქ[რომას გინა ვეც]ხლითა იქს[ენით თქუენ ამოამსა] მისგან [მაშათა მოცემულისა ს]ლევისა,

19. [264 ბ¹] [არამედ] პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტა[რი]გისა უმანკოვსა და უბ[იწ]ოვსა ქრისტესისა,

20. რომელი წინაფწარ [უ]წყებულ იყო უწინარშ სოფლის დაბადებისა და გამოჩნდა უკუანაესკენელთა ეამთა თქუენთს;

21. რომელნი-ეგე მის მიერ მორ-

¶

წმუნენი ხართ ღმრთისანი, რომელ-იგი აღადგინა მკუდრებითა და მისცა მას დიდებაჲ, რაჲთა თქუენი იგი სარწმუნოებაჲ იყოს ღმრთისა თანა.

22. სულნი თქუენნი განიწმიდენით მორჩილებითა ქეშმარიტებისაჲთა, ძმათ მოყუარებისათჳს შეუორგულებელ¹ იყვენით გულითად, ურთიერთას იყუარობლით განმარტებულად.

23. რამეთუ მეორედ შობილ ხართ არა თესლისაგან განხრწნადისა, არამედ უხრწნელისა, სიტყვათა ღმრთისაჲთა და საუკუნოვანთა.

24. რამეთუ ყოველი ჯორციელი თივად არს და ყოველი დიდებაჲ მისი, ვითარცა ყუავილი თივისაჲ: განწმა თივად იგი და ყუავილი მისი დასკუთვია.

25. ხოლო სიტყუაჲ უფლისაჲ დგას და ჰგვის უკუნისამედ.

2

8. [270 ბ¹] [რომელნი] შებრკოლდებიან სიტყუას[ა მას] ურჩებით, რომელსაცა ზედა დაეს[ხნეს].

9. [ხ]ოლო თქუენ, ნათელი რჩეული, სამეუფოჲ] სამღდლოჲ, თესლი წმიდაჲ, [ერი მოკ]ებული, რაჲთა სათნო[ებათა] მიუთხრობდეთ, რომელმანი-იგი [ბნელის]აგან გიწოდა თქუენ ნათელ[სა მ]ას მისსა.

10. რომელნი-ეგე ოდესმე არა [ე]რღმრთის, ხოლო აწ ერნი ღმრთისანი ხართ, რომელნი-ეგე ოდესმე არა შეწყალებულ, და აწ შეიწყალენით.

11. [276 ა¹⁷] [საყუარელნო, გლ]ოცავ თქუენ, ვითარცა [მწირთა და წარ]მავალთა, გა[ნ]ეშორენით ჯორციელთაგან გულის თქუმათა, რომელნი-იგი ეწყობიან სულსა].

12. [სლევად] თქუენი წარმა[ართთა შორის გაქუნდი]ნ კეთილი, რაჲთა, რომელი[სათჳს-იგი ძვრსა იტ]ყოლიან თქუენ[თჳს, ვითარცა ძვრის] მოქმედთასა, კეთილთაგან ს]აკმეთა შეექუდენ [და აღიღებლ]ენ ღმერთსა დღესა მ[ას მოხელ]ვისა[სა].

[ავლია]

14. ... [მოქ]მედთათჳს [და მაქებ]ელად კეთილის მოქმედთათჳს].

15. რამეთუ ესრეთ [279 ბ¹] [არს ნებ]ად ღმრთისაჲ კეთილისა მ[ოქ]მედთათჳს და დაყოფად პ[ი]რთა კაცთა უგუნურთა [უმ]ეტრებითა.

16. ვითარცა აზნაურნი და ნუ ვითარცა საფარველად გაქუნ უკეთურებისა აზნაურებაჲ ეგე, არამედ ვითარცა მონანი ღმრთისანი

¹ შეურგულეებელ L.

ღ

17. ყოველთა პატივ-სცემდით, ძმათა ჰყუარობდით, ღმრთისა გეშინოდენ, შეფუესა პატივ-სცემდით.

18. [28; 2¹⁸] მონანი დაემორჩილენით ყოვლითავე ჯორციელთა უფალთა თვსთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტყბილთა, არამედ უსახურთაცა.

19. რამეთუ ესე არს მადლი ღმრთისაგან: უკუეთუ გონებისათჳს კეთილისა დავეითმინით მწუხარებაჲ, გუევენებინ თუ სიცრუვით.

20. რომელი უმჯობეს არს, უკუეთუ ვცოდვიდეთ და ვიქეჯებოდით და დავითმენდეთ? არამედ უკუეთუ კეთილსა ვიქმოდით და გუევენებოდის და დავითმენდეთ, ესე მადლი ღმრთისაგან არს.

21. [27; 2¹⁰] იჩინენითვე ამისთვის, რამეთუ ქრისტემანცა ივნო თქუენთვის

ღ

და თქუენ დაგიტევა ჳელით წერილი, რაჲთა შეუდგეთ კულდა მისსა;

22. რომელმან იგი ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა;

23. რომელი იგინებოდა და იგი არავის აგინებდა, ევენებოდა და იგი არავის ავენებდა, მიეცა მსაჯულისა სიცრუევით;

24. რომელმან ცოდვ[ანი] ჩუენნი თავს-ისხნა ჳო[რცითა] თვსითა ძელსა ზედა, რაჲთა ცოდვასა განვერნეთ და სიმართლით ვცხონდებოდით, რომლისა იგი წულულებითა ჩუენ განვიკურნენით.

25. რამეთუ ვიყვენით ვითარცა ცხოვარნი შეც[თ]ომილნი, არამედ ნოკუეულ ვართ მწყემსისა მის და მოძღურისა: სულთა ჩუენთაჲსა.

3

5. [242 ბ²] ესრევე ოდესმე წმიდანიცა იგი დედანი, რომელნი ესვიდეს უფალსა, შეიმკობდეს თავთა თვსთა და დანორჩილებულ იყენეს თვსთა ქმართა,

6. ვითარცა იგი ერჩდა სარა აბრაჰამს და უფლით ხადინ მას, რომლისა იგი იქმნენით კეთილის მოქმედ და არა გეშინოდის არცა ერთისა შინისაგან.

7. ქმარნი ეგრევე მსგავსად თანავევენით მათ შენდობით, ვითარცა უძღღურსისა ქურქელსა, დედათა ზედა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანაშვიდრთა მადლისა [მის] ცხობებისასა, რაჲთა არა¹ და[ა]ცადოთ ლოცვასა თქუენსა.

(საკითხავი აქ წყდება)

17. [288 ბ¹] უმჯობეს [არს, კეთილსა თუ იქმოდით და ეგრე] ჯერ-უჩინდეს

ნებასა [ღმრთისასა ე]ნებაჲ თქუენი ვიდრე ბ[ოროტსა თ]უ იქმოდით.

18. რამეთუ ქრისტემანცა [ივნო ერთ] გზის ცოდვათა ჩუენთათჳს, [რაჲთა ჩ]უენ წარგუიღვინეს ღმრთისა², მოცქუდა ჳორციითა და ცხონდა სულითა,

19. რომლისაგან საპყრობილესა მას შინა სულითა მივიდა და ქადაგა.

20. რომელნი იგი ურჩ ოდესმე იყვნეს, რაჲმს იგი თავს-იდვა სულ-გრძელებასა ღმრთისასა, დღეთა მათ ნოცმსთა, შემზადებასა კიდობნისასა, რომელსა შინა იყენეს მცირედ, ესე იგი არს რეანი სულნი განერნეს წყლისაგან.

21. რომლისა სახედ აწ თქუენცა განცხობენბს ნათლის-ღებაჲ, არა ჳორცითა (გან) განწორებაჲ მწინკულისაჲ, არამედ

9

გონებისა სათნო-ყოფად ღმრთისაჲ აღ-
დგომითა იესუ ქრისტესითა,

22. რომელ-იგი არს მარჯუენით

9

ღმრთისა, რომელი ამაღლდა ზეცად და
დაემორჩილნეს მას ანგელოზნი, [ქელ-
მწიფებანი და ძალნი.

4

7. [245 ა¹³] განიწმიდენით და განი-
ფრთხვეთ ლოცვად.

8. ყოვლისა წინა ურთიერთას სიყუა-
რული განნარტებული გაქუნდინ, რა-
მეთუ სიყუარულმან დაფარის სიმრავლმ
ცოდებაჲ.

9. სტუმრის მოყუარე იყვენით ურ-
თიერთას თჳნიერ დრტუინვისა.

10. კაცად-კაცადმან ვითარცა მოი-
ლოს ღმრთისაგან მადლი, მას ეგრევე
ურთიერთას ამსახურებდით, ვითარცა
და კუალად მესამესა ებისტოლეს¹ თუსსა შიუწერს გაიოსს² და პირველად აქებს ყოველთა მიერ წამებულად უცხოთ მოყუარებასა მისსა. და უბრძანებს, რაჟთა მასვე 5 გულს-მოდგინებასა ზედა ეგოს და რაჟთა შეიწყნარებდეს და [z] წარჰგზავნიდეს ძმათა. და კუალად მისსა მას შესაწირავსა შესწირავს. ხოლო ბრალეულ-ჰყოფს დიოტროფოსს, ვითარმედ არცა იგი მისცემს-გლა-10 ხაკთა და სხუათა აყენებს და მრავალსა სიციბილსა ზრახავს. და იტყუხ ესევეითართათუს, ვითარმედ უცხო არიან ქეშმარიტებისაგან და არა იციან ღმერთი. ხოლო დიმიტრის ეწამების და წამებს მისთუს დიდსა სიკეთესა.

**ԳՇԻԿՆ ՂՈՒՇԻԿՆԸ ԳՆԵՇԳՆԸ
ԿՇԲՁՆԻԿՆԸ**

- (1) ლოცვაჲ სრულებისათუს და მადლო-ბისა აღსარებისათუს³. სტუმართ მოყუარებისათუს ძმათაჲსა ქრისტესთუს. [1, 5-8]
- (2) დიოტროფოსს სიხენეშისათუს და ძმათ 5 მოძულეებისა. [1, 9-10]
- (3) დიმიტრისთუს⁴, რომლისა სიკეთესა წამებს. [1, 11-12]
- (4) მისლვისათუს მისისა მათდა სარგებელად. [1, 13-14]

უწყებაჲ და სახე ძალისა და მი-
ზეზისა წმიდისა იოვანე მახა-
რობელისა მესამისა კათოლიკი-
საჲ F¹. მიზეზსა] მიზეზისა G. კა-
თოლიკისასა] კათოლიკისაჲ G
და კუალად] ხოლო HJ

შესწირავს] შეიწირავს F 8

აღსარებისათუს და G. სტუმართ-
მოყუარებისათუს] სტუმართ მო-
ყუარებისა HJ

მისიჲს] თუსისა 8. ~ სარგებელად
მათდა HJ

¹ ეპისტოლესა FHJ. ² გაიოსს E, გაიოს H.
³ აღსარებისათუს FG. ⁴ დიმიტრესთუს E.

¹ სათაური არ მოიპოვება HJ-ში.

¶
(2)

ⵂ

9. მიეწერე ესე ეკლესიისა, არამედ მთავრობის მოყუარე იგი მათი დიოტროფე არა შემიწყნარებს ჩუენ.

10. ამისთვის უკუეთუ მოვიდე, მოვატყენნე მას საქმენი მისნი, რომელთა იქმს სიტყუთა ბოროტითა, გუგმობს ჩუენ და არა კმა-ყოფს ამას ზედა, არამედ არცა იგი შეიწყნარებს ძმათა და რომელთა ჰნებაეს შეწყნარების, მათცა აყენებს და კრებულისაგან განასხმას.

კმა-იყოს J

(3)

11. საყუარელო, ნუ ჰბაძავ ბოროტსა მას, არამედ კეთილსა, რამეთუ კეთილის მოქმედი ღმრთისაგან არს, ხოლო ბოროტის მოქმედსა მას არა უხილავს ღმერთი.

12. დიმიტრი¹ წამებულ არს ყოველთაგან და თუთ მის ჰეშმარტებისაგანცა და ჩუენცა ვწამებთ და იცით, რამეთუ წამებაჲ ჩუენი ჰეშმარიტ არს.

(4)²

13. მრავალი მინდა მიწერად შენდა, არამედ არა მნებაეს მელნითა და კალმითა მიწერად შენდა.

14. რამეთუ ვესავ აღრე ხილვასა შენსა და პირისპირ ვიტყოდით.

15. მშუდობაჲ შენდა! გიკითხვენ შენ მეგობარნი. კითხვაჲ არქუ მოყუარეთა ჩუენთა სახელით.

მესამე წიგნი იოვანესი, მუკლი ლ ბ.

მესამე] დაეხრულა მესამე F H J

¹ დიმიტრე E. ² EF-ში ტექსტთან ძველი სათვალავის მე-4 თავი აღნიშნული არ არის, „თავნ“-ში კი 4 თავია გამოყოფილი, მე-4 თავი გამოყვავით GHJ-ს მიხედვით; მე-3 თავი E-ს მიხედვით აღნიშნეთ, FGHJ-ში ამ თავში მხოლოდ მე-12 მუხლი შედის.

[ჟ] ოაქვილსა ჟნუხსა ოაზსა
ჰაღიჟაქვისა იცოღნუხსსა

ხოლო იუდა დასწერს თჳსსა მას კათოლიკესა ახლად¹ მოქცეულთა მორწმუნეთა მიმართ. ამის მიზეზისათჳს, რამეთუ შემოსრულ-ვიეთნიმე-იყვნეს მატურნი, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ არად სარგებელ არს კრძალვამ ცოდვისაგან და უფალსა უარჰყოფდეს². ამისთჳს იიძულა მიწერად და განკრძალვად ძმათა.

და პირველად ჰლოცავს, რაჲთა ილუაწონ დადგრომად³ სარწმუნოებასა მას ზედა მიცემულსა მათდა და მერმე განგდებულ ჰყოფს ეგევითართა მათ, ვითარცა მატურთა და წარწყმედილთა და ამცნებს, რაჲთა არცა-ღა ზიარებამ აქუნდეს მათდა მიმართ და რაჲთა უწყოდინ, ვითარმედ არა კმა არს ჩინებამ ხოლო, უკუეთუ არა ღირსად ჩინებისა მის ექცეოდით. და რამეთუ პირველიცა იგი ერი გამოიყვანა უფალმან ეგჳტით, ხოლო ვინაჲთგან არა დაადგრეს სარწმუნოებასა ზედა, წარწყმიდნა. და ანგელოზთა, რომელთა-იგი არა დანიმარხეს წესიერებამ თჳსი, არა ჰრიდა. და რამეთუ მიქაელ მთავარანგელოზმანცა ვერ თავს-იდუა გმობამ იგი ეშმაკისამ, და ასწავებს, ვითარმედ წარწყმედამ იყოს

¹ F-ში ეს ადგილი დაზიანებულია: „კათო[ლიკესა ახლ]ად“. ² უარ-ჰყოფდეს F.G. ³ დადადგრომად E (პირველი და კავშირი არ არის).

უწყებამ და სახე ძალისა და მიზეზისა წმიდისა იუდა მოციქულისა კათოლიკისამ F; უწყებამ ძალასა და მიზეზსა იუდა მოციქულისა კათოლიკისა G; უწყებამ მიზეზსა იუდაჲს კათოლიკისასა HJ

კათოლიკესა] ებისტოლესა G, ეპისტოლესა HJ

წარწყმედილთა G, წარწყმედილთა HJ

იგი] — HJ

რომელთა-იგი] რომელთა G

ღ

ფ

25 ესევითართად მათ, ვითარცა სოდომისა და გომორისაჲ. და მერმე ასწავებს მათ წესიერებისათჳს და მერმე [98] ილოცავს მათთჳს სიმტკიცესა სარწმუნოებისასა უფლისა მიერ და ესრეთ დაასრულებს ებისტოლესა¹ თჳსსა.

მ-ზნი ოცხსანი ხტო-ღ-ზისნი

თენი იუდა [მ]ოციქულისა კათოლიკისანი F¹

(1) კრძალულებისათჳს ქრისტეს მიერ სარწმუნოებისა და განდგომილებისათჳს უღმრთოთა და ბილწთა კაცთაჲსა, [1, 3-4] (*)რომელსა შინა იტყჳს ყოფადისა მის-
5 თჳს მათთჳს წარწყმედისა² მსგავსად პირველთა მათ ცოდვილთა და უკეთურთა.

მიერ) მიმართ HJ

[1, 5-10]

(2) ვაებად მათი მაცთურებისათჳს და უშჯულოებისა და სიბილწისა და გმობისა და მოპოვნებულისა ორგულებისა. მედგრობით მიღებისათჳს ქრთამისა. [1, 10-16]

(3) განკრძალვისათჳს მათისა სარწმუნოებასა ზედა. წყალობისათჳს და კრძალვიან მოყუისსა, ცხორებისა და სიწმიდისა.

15 [1, 17-23]

(4) ლოცვაჲ სიწმიდისათჳს მათისა და უბიწოებისა დიდების მეტყუელებითურთ ღმრთისაჲთ.

[1, 24-25]

მათთჳს)—G. წარწყმედისა მათისა G

მოპოვნებულისათჳს HJ²

ცხორებისათჳს F

ოცხსი ოცხსანი ხტო-ღ-ზისნი

1

1. იუდა, იესუ ქრისტეს მონად და ძმად იაკობისი, თქუნენ, ღმრთისა მიერ ზამისა განწყმედლითა და იესუ ქრისტეს მიერ დამარბულთა ჩინებულთა,

¹ ებისტოლესა FHJ. ² წარწყმედისა E.

¹ F. H. J. ეს სიტყვათა თუ სიტყვათა მთლიანად მიმართულია. ეს სიტყვათა მიმართულია სიტყვათა მიმართულია.

ღ

ბ

2. წყალობაჲ თქუენ თანა და მშუდობაჲ და სიყუარული განმრავლდინ.

(1)

3. საყუარელნო, ყოველივე სწრაფაჲ ვყავ. მიწერად თქუენდა ზოგადისათჳს ცხორებისა. ჯერ-მიჩნდა მიწერად თქუენდა და გლოცავ, ილუწიდით ერთ გზის მოცემულისა მისთჳს წმიდათა სარწმუნოებისა.

ყ 4. რამეთუ შემო-ვინმე -ვიდეს კაცი, რომელნი პირველვე წერილ იყენეს [ჟ] ამას¹ საშჯელსა, უღმრთონი, რომელნი მადლსა ღმრთისა ჩუენისასა გარდააქცევენ არაწმიდებად და მხოლოსა მუღობელსა ღმერთსა და უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა უარ-ჰყოფენ².

(*)

5. მოკსენებაჲ თქუენი მნებაჲს, დაღათუ იცით ესე ყოველი, რამეთუ ღმერთმან ერთ გზის ერთი იგი ქუეყანით ეგჳპტით იქსნა, ხოლო მეორედ ურწმუნონი³ იგი წარწყმიდნა.

ყ 6. ანგელოზნი იგი, რომელთა-იგი არა დაიმარხეს თჳსი იგი სამთავროჲ, არამედ დაუტევეს სამკვდრებელი მათი საშჯელად დიდისა მის დღისა საკრველებითა მით სამარადისოჲთა, წყუდიადსა ქუეშე დაჰმარხნა⁴.

ყ 7. ვითარცა სოდომოჲ და გომოროჲ და გარემოჲს მათსა ქალაქები იგი, რომელნი მათდავე სახედ ისიძიედეს და მიდევნებულ იყენეს შედგომად ჳორცსა უცხოსა, წინა სხენან სახედ ცეცხლისა საუკუნოჲსა, საშჯელი მიუღებეს.

ყ 8. ეგრეთვე მსგავსად ესენიცა საჩუენებელსა იხილვენ, ჳორცთა შეიბილწებენ, უფლებათა შეურაცხ-ჰყოფენ, დიდებათა ჰგმობენ.

დაღაცათუ G

იგი] — ბ

ხოლო ანგელოზნი ბ. იგი] — F ბ.
რომელთა-იგი] რომელთა F

¹ E-ში „ამას“ ჩამატებულია სხვა მელნითა და სხვა ხელით. ² უარ-ჰყოფენ F G. ³ არწმუნონი F. ⁴ დჰმარხნა J. ⁵ გომომორო H.

ღ

ბ

ყ 9. ხოლო მიქაელ მთავარანგელოზი ოდეს-იგი ეშმაკსა მას ეშჯოდა და ეტყოდა შოსეს ჟორცთათჳს, ვერ იკადრა საშჯელი გმობისაჲ მოწვენად მის ზედა, არამედ ჰრქუა: შეგრისხენინ შენ უფალმან.

მას] — ბ

ყ 10. გარნა ესენი, რაოდენი¹ არა იციან, ჰგმობენ და რაოდენი², ვითარცა პირ-უტყუთა ბუნებით³ იციან, მათ შინა განი-ბრწნებიან.

მათ] მას ბ

(2)

ყ 11. [99] ვაჲ მათდა, რამეთუ გზასა მას კაენისსა⁴ ვლენან და საცთურსა მას ბალა-მის სასყიდლისასა აღერინეს და ცილობითა მით კორესითა წარწყმდეს.

ყ 12. ესენი არიან, რომელნი სიყუარულ-თა მათ თქუენთა შებილწებულნი თანა-შე-გცხრებიან და უშიშად თავთა თჳსთა ჰმწყსიან⁵. ღრუბელნი ურწყულნი ქარისაგან მიმოტაცებულნი, ხენი ზამთრისანი უნაყო-ფონი ორ გზის მომწყდარნი, ძირითურთ მოფხურილნი,

ყ 13. ლელვანი ზღასანი განძნებულნი, რომელნი პერად აღაფრქუევენ⁶ თავისა თჳსისათჳს სირცხულსა, ვარსკულაენი ცოთ-შილნი, რომელთათჳს წყუდიადი იგი ბნელი-საჲ საუკუნოჲ დამარხულ არს.

თჳსისა ბ

საუკუნოდ F

ყ 14. წინაწარმეტყუელა მათთჳს მეშჯდე-მან აღამისითგან ენუქ და თქუა: აჰა ესერა, შოვიდა უფალი ბევრეულითა წმიდათა მის-თაჲთა

ყ 15. ყოფად საშჯელისა ყოვლისათჳსვე და მხილემად ყოველთა უღმერთოთა მათთა ყოველთათჳს საქმეთა უღთობისა მათისათა, რომელ ურჩულოებდეს და ყოველთათჳს სი-ტყუათა ფიცხელთა, რომელთა იტყოდეს მისთჳს ცოდვილნი უღმერთონი.

უღმერთობათა F

რომელთა ბ

ყ 16. ესენი არიან მღრტუნაენი, ზაბრა-ლობელნი, გულის თქუემისაებრ თჳსისა მ-

ესენ ბ

თჳსისა] მათისა G

¹ რაედენი HJ. ² რაედენი HJ. ³ ბუნებითი E.
⁴ კაენისსა G. ⁵ მწყსიან F ბ. ⁶ აღაფრქუევენ H.

ქ

ჯ

ვალნი და პირი მათი იტყვს გარდარეულსა. თუალთ-ალებენ¹ პირსა სარგებელისა მიზეზითა.

(3)

17. ხოლო თქუენ, საყუარელნო, მოიკსენენით სიტყუანი იგი [ა] წინადაწარ თქუმულნი მოციქულთა მიერ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა.

18. რამეთუ გეტყოდეს თქუენ, ვითარმედ უკუანადსენელთა ეამთა იყვენ მოციცხარნი გულის თქუმისაებრ თვისისა მავალნი უღმრთოდასა.

19. ესენი არიან, რომელნი განიშორებენ თავთა თვსთა, მშენვიერნი², რომელთა სულ არა აქუს.

20. ხოლო თქუენ საყუარელნო, წმიდასა მას სარწმუნოებასა თქუენსა ზედა აღაშენებდით თავთა თქუენთა, სულითა წმიდითა ილოცევედით.

21. თავნი თქუენნი სიყუარულითა ღმრთისადათა დაიცვენით და მოელოდეთ წყალობასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა ცხობრებად.

22. რომელთამე სწყალობდით შეუორგულებელად,

23. და რომელთამე იკსნიდით შიშითა და ვითარცა ცეცხლისაგან გამოიტაცებდით³. გაჟულდინ კორცთაგანცა შეგინებული იგი სამოსელი.

(4)

24. ხოლო რომელი-იგი შემძლებელ⁴ არს დამარხვად თქუენდა შეუცოდებელად და დადგინებად წინაშე დიდებისა თვისისა უბიწოთა სიხარულით.

ვითარმედ] რამეთუ F

~ უღმრთოდას მავალნი ჯ

განაშორებენ GH

კორცთაგან შეგინებულიცა FJ

¹ თუალ-ალებენ G. ² მშენვიერნი H. ³ ანის შემდეგ. J-ს ფოტოპირი აღარა გვაქვს, დანარჩენი ნაწილი გადმოწერილია ხელით. ⁴ H-ს ამ სიტყვის ბოლო ასოდან მოყოლებული ბოლომდე აკლია.

ღ

ფ

25. მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა, მაცხოვარსა ჩუენსა, დიდებაჲ და სიმღიდრე, სიმტკიცე და გელმწიფებაჲ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და აწ და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

უკუნითი] — ჯ

დასრულა კათოლიკე იუდა მოციქულისაჲ¹, მუელი მც.

დასრულდეს კათოლიკენი შჯდნი ებისტოლენი².

მც, თაენი ოდ მკ.

და დასრულდეს კათოლიკენი ებისტოლენი შჯდნი მ, დასრულდეს კათოლიკენი ებისტოლენი შჯდნი ნებითა ღმრთისაჲთა ჯ.

¹ მოციქულისა მკ. ² იო მ. ³ ებისტოლენი მ.

კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები და მათი მნა

I. ზოგადი ცნობები კათოლიკე ეპისტოლეთა და მისი ქართულად თარგმნის შესახებ

§ 1. „კათოლიკე ეპისტოლეთა“ შესახებ

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ სახელით ცნობილია მოციქულთა შვიდი წერილი: იაკობისა 1, პეტრესი 2, იოანესი 3 და იუდასი 1.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული¹ და თვით გამოცემების მიხედვითაც ჩანს, ახალი აღთქმის სხვადასხვა ენაზე არსებულ გამოცემებში „კათოლიკე ეპისტოლეები“ სხვადასხვა ადგილას გვხვდება: ზოგან ჯერ კათოლიკენია და შემდეგ პავლეს ეპისტოლენი, ზოგან კი—ჯერ პავლე და შემდეგ კათოლიკენი; ბერძნულ გამოცემებში პავლე უსწრებს კათოლიკეებს, ასევეა მეტწილად დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ენაზე არსებულ გამოცემებში; სლავურ გამოცემებში კი ჯერ კათოლიკეები გვაქვს, შემდეგ—პავლე; X ს.-ის ქართულ ხელნაწერებში პავლე უსწრებს მოციქულთა საქმესაც და კათოლიკეებსაც; XI და შემდგომი ხანის ხელნაწერებსა და ქართულ გამოცემებში კი სამოციქულოს ნაწილები ასეთი თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი: მოციქულთა საქმე, კათოლიკეები და პავლე.

თვით „კათოლიკე ეპისტოლეებში“ შემაჯალ წერილთა თანამიმდევრობაც არაა ერთგვარი; ერთის მხრივ უნდა ყოფილიყო ასეთი რიგი: პეტრე (2), იოანე (3), იაკობ (1) და იუდა (1), მეორეს მხრივ კი—ასეთი: იაკობ (1), პეტრე (2), იოანე (3) და იუდა (1). უმეტესად მეორეგვარი დალაგება გვხვდება. ქართული გამოცემებიც ამ რიგს მისდევს.

„კათოლიკე ეპისტოლეები“ ახალი აღთქმის ცალკე წიგნს წარმოადგენს, თუმცა თავისი შინაარსით იგი ახლოსაა პავლეს ეპისტოლეებთან. ამ ნაწილთა ცალკე წიგნებად არსებობამ გამოიწვია ტერმინები: კათოლიკე (რაც კათოლიკე ეპისტოლეებს აღნიშნავს) და პავლე (ე. ი. პავლეს ეპისტოლენი).

სპეციალისტთა აზრით, აღნიშნულ 7 წერილს სახელი („კათოლიკე ეპისტოლენი“) მიღებული უნდა ჰქონდეს არა ავტორთაგან, არამედ შემდეგ, ეკლესიის მიერ ჯერ კიდევ ქრისტიანობის ადრინდელ ხანაში. ხოლო თუ რატომ სწორედ ამ ეპისტოლეებს ეწოდა „კათოლიკე“, რას აღნიშნავს ეს სახელწოდება,

¹ А. П. Лопухин, Толковая Библия, т. XI, СПб., 1914, стр. 205.

ან რაზე მიგვივითებებს იგი, ეს საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში მსჯელობის საგნად ქცეულა. სიტყვა „კათოლიკე“ (καθολικός) ნიშნავს საზოგადოს, საყოველთაოს, საკრებულოს. მაგრამ რა თვალსაზრისითაა ეს ეპისტოლეები საზოგადო? ამის საპასუხოდ ყველა სხვა მოსაზრებაზე უფრო მართებულად მიჩნეული იყო ასეთი: ეს სახელწოდება ამ წერილებს მიუღია მათი დანიშნულების მიხედვით: ეს ეპისტოლეები მოწოდებულია ყველა საკრებულოსათვის, ყველა მორწმუნეთათვის, ისინი საყოველთაო და საზოგადოა. ამ მხრივ ეს ეპისტოლეები უპირისპირდება პავლეს ეპისტოლეებს, რომელთაგან თვითეული გარკვეული დანიშნულების მქონეა და მიმართულია გარკვეული პირისადმი¹. ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ ამ მოსაზრებას აფერხებს ერთი გარემოება: იოანეს მე-2 და მე-3 ეპისტოლე მიმართულია გარკვეული პირებისადმი (მე-2 ეპისტოლე—რჩეული დედოფლისადმი, მე-3—გაიონისადმი) და ანდნად ისინი კათოლიკენი აღარაა. პროფ. ა. ლაზუხინი ამ საკითხს ასე ხსნის: რადგანაც ანავე მოციქულის პირველი ეპისტოლე საყოველთაოა, კათოლიკეა, ხოლო სამივე მისი ეპისტოლე კანონიკურადაა ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ ორი უკანასკნელი გარკვეული პირებისადმი მიმართული, ესენიც (მე-2 და მე-3 ეპისტოლე) იოანეს პირველ ეპისტოლესთან ერთად კათოლიკეთა რიცხვში მოაქციესო².

შინაარსის მიხედვით „კათოლიკე ეპისტოლენი“ ზნეობრივ-დამრიგებლობითი ხასიათისაა და ამ მხრივ იგი გვერდში უდგას პავლეს ეპისტოლეებს.

§ 2. „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ქართული თარგმანის შესახებ

სამოციქულოსა და მასში შემავალ „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ქართული თარგმანის შესახებ ლიტერატურაში შემდეგი ცნობები მოგვეპოვება³: სამოციქულოს ქართული თარგმანი ადრევე უნდა არსებულებოდა, მაგრამ მასში შემავალი ყველა წიგნი ერთდროულად ნათარგმნი არა ჩანს. მოციქულთა საქმისა და პავლეს ქართული თარგმანი უფრო ადრე უნდა იყოს შესრულებული, ვიდრე „კათოლიკე ეპისტოლეთა“ წიგნებისა. მოციქულთა საქმის ადრინდელი თარგმანი მე-4—5 სს.-ში უნდა გვექონოდა უკვე. არ შეუჩერლებით. ეორდანიას ცნობაზე, რომლის მიხედვითაც სამოციქულო ქართულად თითქო 399 წელს უნდა ეთარგმნათ⁴. ამის შესახებ პროფ. კ. კეკელიძე სანარტიანად შენიშნავს, რომ ეს თარიღი ქართველ მთარგმნელს არ ეკუთვნის და ამიტომ სამოციქულოს ქართულად თარგმნის შესახებაც ვერას გვაუწყებს⁵. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ აღნიშნული თარიღი (399 წ.), რომელზე-

¹ А. И. Лопухин, Толковая Библия, т. XI, СПб., 1914, гл. 205—207.

И. Кибдальчиц, Опыт обозрения соборного послания, Чернигов, 1873, гл. 1.

² А. И. Лопухин, Толковая Библия, т. XI, СПб., 1914, гл. 206—207.

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 386—388.

⁴ შანიძე, საქმე მოციქულთა, ი. აბულაძის გამოცემა, 1949, გვ. 05.

⁵ ა. აბულაძე, საქმე მოციქულთა, გვ. 011—015.

⁶ Ф. Горданья, Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. I,

⁷ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 387.

დაც ბერძნული და ბერძნული წარმოშობის ხელნაწერების ცნობა მიუთითებს. სპეციალურ ლიტერატურაში სადაო საკითხებთანაა დაკავშირებული და-მკვლევრებს იგი ევთალი ალექსანდრიელის მუშაობის თარიღად კი არ მიაჩნიათ, როგორც ეს პროფ. კ. კეკელიძესთანაა წარმოდგენილი¹; არანედ ზოგიერთის მიხედვით ესაა უცნობი ასურელი მამის მიერ ასურული ტექსტის: თავებად დაყოფის წელი; ზოგი კი მას თელის თარიღად, როდესაც ევთალის-შრომა ერთგვარად გადასინჯეს და ახლად გამოსცეს იგი.

სამოციქულოს ადრინდელ ქართულ ნუსხებს ჩვენამდე არ მოუღწევია.. უძველესი ნუსხები მხოლოდ მე-10 ს.-ისა მოგვეპოვება. ამ დროისათვის „კათოლიკე ეპისტოლეთა“ თარგმანიც არსებულა უკვე. სამოციქულოს ეს ნაწილიც მე-10 ს.-ზე ადრე უნდა იყოს ქართულად ნათარგმნი.

სამოციქულოს უძველესი ნუსხები მე-10 ს.-ისა შემდეგია: S ფონდის² 1398 და 407 ხელნაწერები და A ფონდის³ 345 ხელნაწერი, დაცული ს. ჯანაშის სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში; № 176 ხელნაწერი. დაცული ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში; ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერი, რომელიც 963—969 წლებშია გადაწერილი (რ. ბლეიკის აღწერილობით⁴ № 42, ა. ცაგარლის აღწერილობით⁵ № 11), რომლის ნაწილის ფოტოპირებიც თბილისში მოპოვება;

ამათ გარდა, არის ჩვენთვის ამჟამად ხელ-მოუწვდომელი ნუსხები: სინას. მთაზე დაცული ხელნაწერი, გადაწერილი 974 წ. (ა. ცაგარლის აღწერილობით⁶ № 17, ი. ჯავახიშვილის მიხედვით⁷ № 39) და სინას მთაზევე დაცული ხელნაწერი, გადაწერილი 977 წ. (ა. ცაგარლის აღწერილობით⁸ № 16, ი. ჯავახიშვილის მიხედვით⁹ № 31).

ამათგან „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტი ჩხოლოდ ერთ ნუსხაში (S 407) მოგვეპოვება.

მე-11 ს.-ში საქორდ უცენიათ ძველად უკვე თარგმნილ ტექსტთა ხელ-მეორედ თარგმნა-შეწამება.

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 387.

² ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი.

³ ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდი.

⁴ Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, par R. P. Blake. Extrait de la Revue de l'Orient Chrétien, 3-ème série, t. IX (XXIX), № 3 et 4 (1933—34), გვ. 225.

⁵ А. Чагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, выпуск I, СПб., 1886, გვ. 76.

⁶ А. Чагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, СПб., 1888, გვ. 206.

⁷ ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 106.

⁸ А. Чагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, СПб., 1888, გვ. 205—206.

⁹ ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 53.

ცნობილია, რომ გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია მთელი სამოციქულო, მათ შორის კათოლიკეთა ტექსტიც. A 584 ხელნაწერში „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტის დასასრულს იკითხება: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მოიქსენენ წმიდანი და ჩუენნი მამანი გიორგი მთაწმიდელი, ამისი მთარგმნელი, და გიორგი მისი მოძღუარი, წმიდისა სპირიტის ლაერასა და უუდებული, რომლისა მიერ აქა მოიწია“¹.

გიორგი მთაწმიდლის შემდეგ სამოციქულოსათვის რედაქცია უყვია ეფრემ მცირეს, თუმცა კანონიკურ ტექსტად ამის შემდეგაც გიორგისეული ტექსტი დარჩენილა.

თუ რა ხასიათისაა ეფრემის რედაქტორული მუშაობა, ამაზე საუბარი ვეუქნება მსჯელობისას რედაქციათა შესახებ.

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტის შემცველი ახალი პერიოდის (მე-11 ს.-ისა და შემდგომი ხანის) ნუსხები უფრო ბლომად მოგვეპოვება, მათგან ჰვენო გამოვიყენეთ: A ფონდის (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის) ოთხი ხელნაწერი №№ 584, 34, 137, 677 ხელნაწერები, რომლებიც დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და № K—12 ხელნაწერი, რომელიც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტშია დაცული.

II. ხელნაწერთა აღწერილობა

წინამდებარე ნაშრომი „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ოთხ რედაქციას წარმოგიდგენს: ორს ძველსა და ორს ახალს.

ძველი რედაქციებისათვის თითო ნუსხა მოგვეპოვება: ერთისათვის (C-სთვის)—A, მეორისათვის (L-სთვის)—L.

ახალი რედაქციებისათვის კი გამოყენებულია: ერთისათვის (L-სთვის)—A, ორი ნუსხა: E და F, მეორისათვის (D-სთვის)—სამი: G, H და J.

§ 3. C რედაქციის ნუსხა

A

A ხელნაწერი (S 407) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ეს ხელნაწერი პროფ. ი. აბულაძის მიერაა აღწერილი (ნახეთ მისი გამოცემა: საქმე მოციქულთა, 1949 წ. გვ. 16).

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტი ხელნაწერში ნაკლულია. მოთავსებულია იგი შემდეგ გვერდებზე:

256 ს—257 ს, რაც შეიცავს: იაკ. 1,1—იაკ. 1,25 (იაკობ, ღმრთისა და უფლისა... ვიდრე: და დაადგრა მას);

¹ A 584, გვ. 100 რ.

258 რ—262 ხ: 1 პეტ. 2,10—1 პეტ. 5—14 (... ერი ღმრთისაჲ ... ვიდრე: კრისტე იუსუსს მიერ. ან). არ ახლავს მინაწერი: პეტრეს კათოლიკე ების-ტოლე ა დაიწერა...;

263 რ—265 ხ: 2 პეტ. 1,1—2 პეტ. 2,17 (სუმეონ-პეტრე, მონაჲ და მოციქული... ვიდრე: ესენი არიან წყარონი).

§ 4. ჳ რედაქციის ნუსხა

L

L ხელნაწერი ლავურკის ხელნაწერია¹. იგი სვანეთის მუხეუმს. ეკუთვნის; ხელნაწერი სვანეთიდან თბილისში ჩამოიტანა ვანსე. ს. იორდანი-შვილმა და ამჟამად კ. მარქსის სახელობის თბილისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაშია დროებით დაცული.

ხელნაწერი უყდოა. დაწერილია მრგლოვანი ხელით ეტრატზე ორ სვეტად შავი საწერლით. სათაურები და საგანგებო ადგილები წითლით არის ნაწერი. ზომა 33,5×29,5 სმ., ნაწერისა 23,5×19,5 სმ. წიგნი შეიცავს 174 ფურცელს (348 გვერდს, ხელნაწერი ახლა გვერდების მიხედვითაა დანომრილი). რვეულების სათვალავი მრგლოვანი ასოებითგვა გადაწერის ხელით დასმული. სვეტში 30--36 სტრიქონია. ხელნაწერი დაშლილი, ნაკლები და დაზიანებულია; აკლია დასაწყისი, იწყება მე-8 რვეულით, შიგადაშიგ აკლია რვეულებიცა და ცალკეული ფურცლებიც, აკლია ბოლოც. 223-ე გვერდიდან მოყოლებული ხელნაწერის ბოლომდე ფურცლის მარჯვენა მხარე მოცვეთილია: დასაწყისში ფურცლებს მცირე ნაწილი აქვს ჩამოკმული, შემდეგ კი ჩამოცვეთილი ნაწილები თანდათან იზრდება და 255-ე გვერდიდან ზოგ ადგილებში ა სვეტამდე აღწევს, ხოლო 269-ე გვერდიდან ფურცლის წინა მხარის. ბ სვეტი თითქმის მთლიანად აკლია და ა სვეტიც უფრო ნეტად და ნეტად და ჩამოცვეთილი (უკანა მხარისა პირუქუ: ა სვეტი თითქმის მთლიანად აკლია და ბ სვეტი უფრო ნეტად და ნეტადა ჩამოცვეთილი). ზოგიერთი ადგილი გადაშლილია ან დალაქული და ასოები და სიტყვები არ იკითხება, მაგ.: გვ. 1, 219, 239, 250, 262 და სხვ. 123—142 გვერდები (რაც მოიცავს მე-18 რვეულს მთლიანად და მე-19 რვეულის პირველსა და ბოლო ფურცელს) დაწერილია სხვა ხელით, მუქი შავითა და უფრო დიდი ასოებით². ამ ნაწყვეტის სვეტში 20—21 სტრიქონია.

¹ ეს ის ხელნაწერია, რომელიც კალის ხელნაწერის სახელწოდებითაა ცნობილი კ. კეკელიძის ნაშრომით: *Персалинский канонарь VII века (Грузинская версия)*. Тифлис, 1912. [ლაგურკა სვანურად ჰქვია კვირიკეს და ივლიტეს სახელობის მონასტრის, რომელიც მდებარეობს ზემო სვანეთში კალა სოფლის გაღმა ტყეში. რედ.]

² ამ ნაწილს პროფ. კ. კეკელიძე ადიშის ოთხთავის გადაწერის ხელით შესრულებულად თვლის (*Персалинский канонарь VII века*, გვ. 10). ეს განსხვავებულად ნაწერი ნაწილად ვრთს რედაქტორთან რვეულს მოიცავს. ასევე ნაწერი შემდეგი რვეულიდან შემორჩენილი პირველი და უკანასკნელი ფურცელიც, ხოლო ამ რვეულის შუა ფურცლები დაკარგულია.

წიგნი წარმოადგენს იერუსალიმის განჩინების ტექსტს. იწყება იგი მართისთვის პირველი შაბათით: დღესა შაბათსა პირველსა, გვ. 1, a¹⁶ და თავდება იენისისთვის 12-ით: თუესა იენისსა 12, გვ. 347 a. გადაწერილია მიქელ ქიქაურის მიერ მე-10 ს.-ის ხელით¹.

გადამწერისავე ხელითაა შესრულებული შემდეგი მინაწერები:

1. „დიდება შენდა, უფალო, დაესრულა კანონი საზამთრო[ვ], დიდება შენდა, სამებაო წმიდაო, დაესრულა კანონი საზამთროვ კელითა ქიქაურისა და თა. მიკსენ მე, უფალო, საშინელისა მის განკითხვისაგან და შეიწყალე მონა შენი მიქელ და დაიციე ამას საწუთროსა და მას საუკუნესა, ან“ (187 a²⁹—b).

2. „უფალო, შეიწყალე მონა შენი მიქელ“ (185 b).

ესა და ქვემოთ ჩამოთვლილი მინაწერები ქვემო კიდებუა მიწერილი.

3. „უფალო, შეიწყალე მხხრეკალი გიორგი“ (181 a).

4. „უფალო, შეიწყალე მხხრეკალი“ (3 b).

5. „უფალო, შეიწყალე მხ[რეკა]ლი“ (35 b).

6. „მხხრეკალი, უფალო, შეიწყალე“ (67 b-ს მხარეს).

7. „უფალო, შეიწყალე სხმნზლი“ (?) (25 a).

8. „უფალო, შეიწყალე სხმნზული“ (?) (48 a).

9. „უფალო, შეიწყალე სხმანზლი“ (?) (93 a).

10. „უფალო, უფალო ჩუენო, ვითარ საკურველ არს“ (41 a).

რადგანაც ხელნაწერი ლექციონარს წარმოადგენს, კათოლიკეთა ტექსტი, ისევე როგორც სხვა წიგნების ტექსტიც, მასში ნაწყვეტების სახით გვხვდება, ზოგჯერ ძალიან მოკლე ნაწყვეტებისაც კი, და ხელნაწერის სხვადასხვა ადგილასაა მოქცეული.

კათოლიკეთა ტექსტი პირველად 225-ე გვერდზე გვხვდება და აქედან მოყოლებული იგი ხელნაწერის ბოლო ფურცლებამდე გაფანტული. ხელნაწერის დაზიანება კი 223-ე გვერდიდან იწყება და, ამიტომ ჩვენი ტექსტი დაზიანებულ ნაწილზე მოდის. ამის გამო მთლიანი ტექსტის აღდგენა არ ხერხდება. ეს გარემოება მუშაობის პროცესში საკმაო სიმწელეს ქმნიდა იმ მხრივ, რომ გვიხდებოდა ხშირად უსათაურო, მცირე და საკმაოდ დაზიანებული ნაწყვეტების ამოკითხვა. რათა შემორჩენილი ნაწილიდან მაინც აღგვედგინა ტექსტი და ამ ნაწყვეტების სახით წარმოგვედგინა ერთი ძველი რედაქცია. ხელნაწერი დანაშრულია გვერდებისა და არა ფურცლების მიხედვით. ჩვენც ამ ნუმერაციას მივსდევთ მითითების დროს, ხოლო რადგანაც ხელნაწე-

¹ პროფ. კ. ქეკელიძე მას მე-9 ს.-ის დასაწყისში, ყოველ შემთხვევაში 897 წ.-მდე, გადაწერილად თვლის, ამ მოსაზრებას ასე ასაბუთებს: შავად და დიდი ასოებით ნაწერი ნაწყვეტი ადიშის ოთხთავის ხელითაა შესრულებული და ხელნაწერში იგი ჩამატებული უნდა იყოს ადიშის ოთხთავის გადაწერამდე. ე. ი. 897 წ.-მდეო. ეს მოსაზრება არ არის დასაჯერებელი: უფრო ერთი, არ ჩანს, რომ ეს ნაწყვეტი იყოს ადიშის ოთხთავის ხელით ნაწერი და კიდევაც რომ ყოფილიყო, რატომ არ შეიძლებოდა ადიშის ოთხთავის გადაწერის შემდეგ მომხდარიყო ჩამატება?

ტელი და ორთოგრაფიულ-გრამატიკული მხარე ტექსტისა ხელნაწერის ასეთ დათარიღებას მხარს არ უჭერს.

რის ხასიათისა და მისი დაზიანებულობის გამო გვერდის ჩვენება არ კმარა სათანადო აღვილის მითითებისათვის, გვერდთან ერთად სვეტსა (a, b) და სტრიქონსაც ვუჩვენებთ.

ყოველ ნაწყვეტს აქვს წითურით შესრულებული სათაური; მაგ.: საკითხავი იაკობისი კათოლიკოს (228 ბ²²); საკითხავი პეტრე მოციქულისა კათოლიკოს (242 ბ⁴) და სხვ. ეს სათაურები ჩვენ ტექსტში მხოლოდ იმ შემთხვევაში გადმოგვაქვს, როდესაც ეპისტოლის დასაწყისის ჰხვდება.

ეს სათაურები ზოგჯერ ასეა დანომრილი: 9 პეტრე მოციქულისა კათოლიკოს საკითხავი (267 მ²¹); 20 საკითხავი იოვანსის კათოლიკოს (259 ა¹⁸) და სხვ. სათაურები წითლადაა ნაწერი, რიცხვის აღმნიშვნელი ასოები კი—შავად. რიცხვის გამომხატველი ასოები არც ეპისტოლეთა რიგს გამოხატავენ და არც თავებისას, ამიტომ არც გადმოგვაქვს.

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტის ნაწყვეტები, როგორც აღნიშნეთ, ხელნაწერის სხვადასხვა გვერდზეა მოქცეული; პირველად იგი 225-ე გვერდზე გვხვდება, ხოლო ბოლო ნაწყვეტი, რომლის ამოკითხვაც ხერხდება, 314-ე გვერდზეა. ცალკეულ ნაწყვეტთა გვერდებს აქ არ ჩამოვთვლით, ტექსტში კი ყველგანაა აღნიშნული ხელნაწერის სათანადო აღვილები.

§ 5. ლ რედაქციის ნუსხები

E

E ხელნაწერი (A 584) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. აღწერილობა მოიპოვება ილია აბულაძის გამოცემაში, „საქმე მოციქულთა“, 1949 წ., გვ. 021. „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტი მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 67 ყ — 99 ყ.

F

F ხელნაწერი (A 34) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. აღწერილობა ნახეთ ი. აბულაძისთან: „საქმე მოციქულთა“, გვ. 025.

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტი მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 63 ყ — 95 ყ.

§ 6. თ რედაქციის ნუსხები

G

G ხელნაწერი (A 137) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. აღწერილობა ნახეთ ი. აბულაძის გამოცემაში: „საქმე მოციქულთა“, 1949, გვ. 026.

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტი მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 97 ყ — 143 ყ.

H

H ხელნაწერი (A 677) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. აღწერილობა ნახეთ ი. აბულაძის გამოცემაში: „საქმე მოციქულთა“, გვ. 028.

„კათოლიკე ეპისტოლენი“ მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 66 რ—100 ვ.

H-ს აკლია ერთი ფურცელი (მე-100-ის მომდევნო ფურცელი), რაც მოიცავს იუდას ეპისტოლის ბოლო ნაწილს: I თავის 24-ე მუხლის უმეტეს ნაწილს, 25-ე მუხლსა და ბოლო მინაწერს.

J

J ხელნაწერი (№ K—12) დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ჩვენ ხელთა გვაქვს ამ ხელნაწერის „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტის ფოტოპირი. ამის მიხედვით მხოლოდ შემდეგის თქმა შეგვიძლია: ხელნაწერი ნაწერია მე-13 ს.-ის ნუსხურით, ორ სვეტად.

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტი მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 82 რ—117 ვ და 119 რ-ზე. ტექსტი სრულია.

ხელნაწერი გადაწერის შენდევ შეუსწორებიათ. გასწორებისას ზოგჯერ ამოშლილია ასო ან სიტყვა და მკრთალად, მაგრამ მაინც იკითხება ფოტოპირშიც კი, ზოგჯერ კი—ჩამატებულია. ასეთი შესწორებანი ტექსტში არაიშვიათად გვხვდება. ამიტომ ამ ხელნაწერისათვის ორ ნიშანს ვხმარობთ: გასწორებული ტექსტისათვის—J-ს, პირვანდელი, გაუსწორებელი ტექსტისათვის J¹-ს.

III. რ ე ღ ა ძ ც ი მ ე ბ ი

§ 7. „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ნუსხებისა და რედაქციების შესახებ ხაერთოდ

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ წიგნების გამოსაცემად დამზადებისათვის და ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერთა მიხედვით რედაქციების გამოსაყოფად გაცილებით უფრო ცუდი მდგომარეობაა, კიდრე სამოციქულოს დანარჩენი წიგნების გამოცემისას; სამოციქულოს ადრინდელ ნუსხებს ხომ ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მოღწეულ უძველეს ნუსხათაგანაც¹, რომლებიც მე-10 ს.-ს განეკუთვნება, „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტი მხოლოდ ერთში მოგვეპოვება—A ნუსხაში (S 407) და მსეც ნაკლები ხელნაწერია, მასში „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი (ნახეთ § 3, C რედაქციის ნუსხა), ხოლო სხვა ნუსხებში „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტი ან ხელნაწერის დაკარგულ ნაწილში უნდა ყოფილიყო მოქცეული, ან ხელთ არა გვაქვს: A 345-ს² თავშიც აკლია ფურცლები და ბოლოშიც. S 1398-სა² და № 176² ხელნაწერებს ბოლო რეეულები აკლია, პირველს ოთხიოდე, მეო-

¹ ნახეთ § 2 „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ქართული თარგმანის შესახებ.

² დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

³ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდშია დაცული.

რეს კი—უფრო მეტი და სწორედ ამ ნაწილებში იყო მოსალოდნელი „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტი. რაც შეეხება ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერს, მასში აღწერილობის მიხედვით, „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ტექსტიც ყოფილა, მაგრამ ჩვენ ამ ხელნაწერთი სარგებლობის საშუალება არა გვაქვს. ხელ-მიუწვდომელია სინას მთის ორივე ხელნაწერიც. ასე რომ, მე-10 ს.-ის ხელნაწერთაგან ჩვენს ხელთაა მხოლოდ A ნუსხაში შემონახული ნაწილი ტექსტისა.

ამ დანაკლისის შევსებას ჩვენ შევეცადეთ L ხელნაწერის გამოყენებით; თუმცა ხელნაწერის ხასიათისა და მისი დაზიანებულობის გამო¹ სრული ტექსტის აღდგენა არ მოხერხდა, მაგრამ ამ ხელნაწერადან ამოკრებილმა ნაწილებმა ნაწილობრივ მინც მოგვცა გიორგი მთაწმიდლის წინანდელი ერთი რედაქცია და თანაც ისეთი, რომელიც რამდენადვე განსხვავდება ჩვენს ხელთ არსებული ამავე პერიოდის რედაქციისაგან. ის ფაქტი, რომ მე-10 ს.-ის ხელნაწერში კათოლიკეთა ტექსტის მეორე რედაქცია მოიპოვება, მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ კათოლიკენი მე-10 ს.-ზე ადრე უნდა იყოს ნათარგმნი.

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ წიგნების შემცველი დანარჩენი ნუსხები კი უფრო ახალი პერიოდისაა—მე-11-ისა და მომდევნო საუკუნეებისა. ამ პერიოდისა, როგორც აღნიშნული იყო, ორი რედაქციაა ცნობილი: გიორგისეული და ეფრემისეული. ეფრემს, პროფ. კ. კეკელიძის მიხედვით, სამოციქულოზე უმუშავნია არა უადრეს 1080 წლისა².

ეფრემის რედაქციული მუშაობის ხასიათის შესახებ საინტერესო ცნობებია შემონახული მისსავე ცნობილ ანდერძში, რომელიც იერუსალიმის ხელნაწერის ფოტოპირების მიხედვითაა გამოქვეყნებული³.

ეს ანდერძი მოგვეპოვება A 677 ხელნაწერშიც, აქ იგი ნაკლული სახითაა შემონახული. ეს ანდერძი პროფ. ი. აბულაძემ გამოაქვეყნა⁴.

ანდერძში ნათქვამია, რომ ეფრემმა ამ საქმეს ხელი მოჰკიდა იმისათვის, რათა დაუახლოოს ქართული თარგმანი ბერძნულს, ზუსტად გადმოიღოს ესა თუ ის სიტყვა და შეაწიროს ზოგიერთი ადგილი, რომ ბერძენ ჰეკლევარს საშუალება არ მიეცეს, წუნი დასდოს ქართულ თარგმანს ბერძნული ტექსტის არა ზუსტად გადმოღების გამო. ამავე დროს ეფრემი რამდენადმე შეზღუდული იყო, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ეფრემს, გიორგი მთაწმიდლის მოწაფეს, უზომო პატივისცემა ჰქონდა მასწავლებლისა, დიდ ანგარიშს უწევდა მის ნაღვაწს და ცდილობდა, ბევრად არ დასცილებოდა გიორგისეულ რედაქციას.

ამ რედაქციათა სიახლოვეს მათი შედარებაც ცხადყოფს.

¹ ნახეთ § 4, კ. რედაქციის ნუსხა.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 236, შენიშვნა.

³ პროფ. რ. ბლექაქ, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან: „იმინომილ-ველი“, თბილისი, 1926, გვ. 160—166. ეს ანდერძი ნ. მარსაც გადმოუწერია იერუსალიმის დაკული ხელნაწერიდან: ნ. მარსი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა (დასაბუქად მამახინა ვ. მეტრეველმა), 1955, 25 [ლ. 138, 5, 16], გვ. 55—61.

⁴ ი. აბულაძე, მოციქულთა საქმე, 1949, გვ. 029—031.

- ხელნაწერებში დაცული ტექსტების შედარების შედეგად გამოიყოფა 4 რედაქცია: ორი ძველი (გიორგი მთაწმიდლის წინანდელი) და ორი ახალი. ესენია:

Ⓒ რედაქცია. ეს ძველი რედაქცია A ნუსხითაა (S 407) წარმოდგენილი;

Ⓔ რედაქციაც ძველია, ამ რედაქციისაა L ნუსხის (სვანური ლექციონარის) ტექსტი.

Ⓕ რედაქცია ახალია, იგი გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის და ამიტომ გიორგისეულს უწოდებენ. ამ რედაქციისაა E (A 584) და F (A 34) ნუსხები;

Ⓖ რედაქცია ეფრემს ეკუთვნის და მისი სახელითაა ცნობილი. იგი წარმოდგენილია შემდეგი ნუსხებით: G (A 137), H (A 677) და J (№ K-12, ლენინგრადისა).

§ 8. Ⓒ რედაქციის შედარება Ⓔ რედაქციასთან

Ⓒ და Ⓔ რედაქცია შედარებით ძველია და გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაგან განსხვავებული, მაგრამ ეს ძველი რედაქციებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. მოვიყვანოთ ზოგიერთ განსხვავებულ ადგილს:

Ⓒ	Ⓔ	
მო- რამე -ილოს	მოლებად რამსმე	იაკ. 1,7;
გამოშვის	უშვის მას	იაკ. 1,15;
მას უნდა და გუშვნა	ნებითა თუსითა მშვნა	იაკ. 1,18;
განიშოვრეთ	მოისპნენ თქუენგან	იაკ. 1,21;
რონელი შემძლებელ არს	შემძლებელი	იაკ. 1,21;
დაემორჩილენით	პატივ-სცემლით	1 პეტ. 2,17;
და არავის უთქუმიდა, მიეცა მსაჯულსა სიცრუით	და იგი არავის ავენებდა, მიეცა მსაჯულსა სიცრუით	1 პეტ. 2,23;
ჩუენ ცოდვისაგან განვეშოვრნეთ	ცოდვასა განვერნეთ	1 პეტ. 2,24;
მოლუაწასა	მოძლურისა	1 პეტ. 2,25;
		და სვ.

ამ რედაქციებს შორის ორთოგრაფიულ-გრამატიკული სხვაობაც შეინიშნება:

1. A ხელნაწერში შუგ კომპლექსი მკვიდრია, L-ში კი იგი სხვადასხვა სახით გვხვდება: შუგ, რჩ, სუგ, შჩ (ნახეთ § 18, ასიმილაცია).

2. L ზოგჯერ ზედმეტად ხმარობს ძ-ს (ნახეთ § 14, გასწორებული ადგილები).

3. L-ში ჰ ხშირად უი ჯგუფითაა წარმოდგენილი (ნახეთ § 16, ჰ ასოს ხმარება).

4. L-ში გვხვდება თანხმოვნის მოკვეთით გამარტივებული ზმნისწინი, A-ში კი—არა (ნახეთ § 22, ბგერათა მოკვეცა).

5. A-ს ახასიათებს სპირანტების წინ პრეფიქსის ხმარება, აქ არც ერთი უპრეფიქსო ფორმა არ გვხვდება, L-ში კი ასეთ შემთხვევებში უპრეფიქსო ფორმები ქარბობს (ნახეთ § 38, პირის ნიშნები).

A ხელნაწერი, როგორც ორთოგრაფიულ, ისე გრამატიკულ საკითხებში მიახლოებს იჩენს კლასიკური ქართული ენის ძეგლებთან, მას ახასიათებს ფორმათა და დაწერილობის ერთგვარობა და ძველი ქართული ენის ნორმათა მიხედვით გამართვა¹.

L-ში კი ეს ერთგვარობა დაცული არაა, გვხვდება ნაირ-ნაირი დაწერილობაც. აქ გვაქვს როგორც ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები, აგრეთვე მათგან გადახრაც და ზოგჯერ მცდარი და გაუმართავი ფორმათუ დაწერილობა².

§ 9. ორედაქცია და მისი მიმართება C-სა და D-სთან

ორივე ძველი რედაქცია (C და D) განსხვავდება გიორგისეული, აგრეთვე ეფრემისეული რედაქციისაგან.

ჯერ ერთი, C რედაქცია არ შეიცავს „უწყებათ“ და „თავთ“, მაშინ როდესაც გიორგისეული და ეფრემისეული რედაქციის ხელნაწერებში ეს ნაწილებიცაა. მართალია, A ხელნაწერი, რომლითაც C რედაქციაა წარმოდგენილი, ნაკლებია და ერთის შეხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ „უწყებანი“ და „თავნი“ სწორედ ამ დაკარგულ ფურცლებზე იყო მოთავსებული, მაგრამ ჩანს, რომ ხელნაწერში არც უნდა გვქონოდა აღნიშნული ნაწილი ტექსტისა; ხელნაწერის 263 რ-ზე თავდება პეტრეს პირველი ეპისტოლე და ამავე გვერდზე იწყება პეტრეს მეორე ეპისტოლე. მათ შორის არაფერია და, მაშაადამე, ეს ხელნაწერი არც შეიცავდა „უწყებათ“ და „თავთ“. ხელნაწერში მხოლოდ პავლე მოციქულის ეპისტოლეთა დანართები³, მოციქულთა საქმეა და კათოლიკე ეპისტოლიებს კი იგი არ ახლავს.

L ხელნაწერში კი, რომლითაც D რედაქციაა წარმოდგენილი, თავისი ხასიათის გამო ამ ნაწილთა არაებობა არც იყო მოსალოდნელი.

D რედაქციისა ორი ხელნაწერი გვაქვს: E და F. ისინი ერთმანეთისაგან მცირედენ სხვაობას გვიჩვენებენ და ერთ საერთო წყაროზე მიგვითითებენ. უნდა აღინიშნოს ამ ორ ხელნაწერს შორის არსებული ერთი ორთოგრაფიული ხასიათის სხვაობა: E ხელნაწერი ო ასოს არ ხმარობს საერთოდ (უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა), F ხელნაწერში კი ეს ასო სისტემებრივად იხმარება უპარცლო უ-ს შემდეგ და ამ მხრივ F ნუსხა D რედაქციის ნუსხათა გვერდზე დგას (ნახეთ § 15, ო ასოს ხმარება).

D რედაქციის C-სა და D-საგან განსხვავების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს⁴:

¹ ნახეთ § 13—46.

² იქვე.

³ დანართებს ეუწოდებთ იმ დამატებით ნაწილებს, რომლებიც დართული აქვს სამოციქულოს წიგნებს.

⁴ ეს ადგილები მოვყავს მხოლოდ იმ ნაწილიდან, რომელიც ორივე ნაკლებ ხელნაწერშიც (AL) მოვეპოვება. იმ ნაწილში კი, რომელიც ერთ-ერთ ამ ხელნაწერთაგან აქვს და მეორეს აკლია, D რედაქციისაგან უფრო მეტად განსხვავებული ადგილებიცაა, მაგრამ ჩვენ სამივე რედაქციის შეპირისპირების ჩვენება ვამჯობინეთ.

აღ

გამობრწყინდა მზმ	აღმოვცდა მზე	იაკ. 1,11;
წარწყმდა	წარვცდა	იაკ. 1,11;
იიძულების	სცუების	იაკ. 1,14;
შეიქუდენ	შეიკდომონ	1 პეტ. 2,12;
ნუ გიკვრნ	ნუ უცხო გიჩნს	1 პეტ. 4,12;
თავს-ისხნა	აიხუნა F, აახუნა E	1 პეტ. 2,24;
ძელსა ზედა	ჯუარსა ზედა	1 პეტ. 2,24;
მლდელთა	მნეთა	1 პეტ. 5,3;
რამთა არა დააცადოთ ლოცვა- სა თქუნესა	რამთა არა დაჰბრკოლდებოდინ ლოცვისა თქუნესა	1 პეტ. 3,7;
არამედ გონებისა სათნო-ყოფაჲ ღმრთისაჲ	არამედ გონებისა კეთილისა ტრფილებაჲ ღმრთისა მი- მართ	1 პეტ. 3,21;
საყუარელნო, ნუ გიკვრნ თქუნ თანა განჭურვებაჲ ეგე, რო- მელი განსაცდელად იქმნის თქუნ თანა (განსაცდელ იქ- მნების თქუნ შორის ლ), რე- ცათუ უცხოჲ რამე შეგემ- თხვის (შეგემთხვს ლ) თქუნ	საყუარელნო, ნუ უცხო გიჩნს თქუნ შორის განჭურვებაჲ ეგე, რომელი იქმნების გან- საცდელად თქუნ თანა, ვი- თარმცა უცხოჲ რამე შე- გემთხოლა თქუნ	1 პეტ. 4,12; და სვ.

ღ

აღმოვცდა მზე	იაკ. 1,11;
წარვცდა	იაკ. 1,11;
სცუების	იაკ. 1,14;
შეიკდომონ	1 პეტ. 2,12;
ნუ უცხო გიჩნს	1 პეტ. 4,12;
აიხუნა F, აახუნა E	1 პეტ. 2,24;
ჯუარსა ზედა	1 პეტ. 2,24;
მნეთა	1 პეტ. 5,3;
რამთა არა დაჰბრკოლდებოდინ ლოცვისა თქუნესა	1 პეტ. 3,7;
არამედ გონებისა კეთილისა ტრფილებაჲ ღმრთისა მი- მართ	1 პეტ. 3,21;
საყუარელნო, ნუ უცხო გიჩნს თქუნ შორის განჭურვებაჲ ეგე, რომელი იქმნების გან- საცდელად თქუნ თანა, ვი- თარმცა უცხოჲ რამე შე- გემთხოლა თქუნ	1 პეტ. 4,12; და სვ.

ღ რედაქცია აა-საგან ორთოგრაფიულ-გრამატიკულადაც განსხვავდება:

1. აა-ში ო-ს ხმარება ძველი ქართულის ნორმებს მისდევს, ლ კი ამ ნორმებს აღარ იცავს: E მას სრულებით არ ხმარობს, F-ში კი უმარცვლო უ-ს შემდეგ დაისმის (ნახეთ § 15, ო ასოს ხმარება).

2. აა-ს (განსაკუთრებით ა-ს) ახასიათებს ვ-ს შემონახვა ან გაჩენა. ისეთ სიტყვებში, სადაც ლ-ში მეტწილად არ მოგვეპოვება (ნახეთ § 20, ბგერათა დაკარგვა და § 21, ბგერათა გაჩენა).

3. აა-ში მსაზღვრელად გამოყენებული ნათესაობითში დასმული საკუთარი სახელი, რომელიც საზღვრულის წინა დგას, ბრუნვის ნიშან-დართულიცა გვაქვს და უნიშნოც, ლ-ში კი იგი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს (ნახეთ § 34, საკუთარ სახელთა ბრუნება).

4. ა-ს ახასიათებს სპირანტების წინ პრეფიქსის ხმარება (ორჯერ ლ-შიც გვხვდება ასეთ შემთხვევაში პრეფიქსიანი ფორმა), ლ-ს კი უფრო-უპრეფიქსო ფორმები (ნახეთ § 38, პირის ნიშნები).

5. ლ-ში ერთხელ, მაგრამ მაინც გვხვდება „ჰქონდინ“ ფორმა, ლ-ში კი შესატყვის აღვილასაც ძველი „აქუნდენ“ გვაქვს (ნახეთ § 40, ოდ და დ საერთობიან ზმნათა უღლება).

ℒ რედაქცია წინა რედაქციებიდან გამომდინარე ჩანს. აღსანიშნავია, რომ E ხელნაწერში კარგადაა დაცული ძველი ქართულის ორთოგრაფია¹ (თუმცა ზოგიერთი გადახვევაც გვხვდება). თავისი გამართულობით იგი საკმაოდ მაღლა დგას. ძველი ქართულის ნორმათა დაცვის მხრივ იგი A ხელნაწერის გვერდით დაისნის. L ხელნაწერი კი ორივეზე უფრო დაბლაა როგორც კლასიკური ნორმების თვალსაზრისით, ისე აგრეთვე ფორმათა ერთგვარობის დაცვისა.

§ 10. ᄎ რედაქციის მიმართება ლ-სთან.

ᄎ რედაქცია ლ-საგან მცირე განსხვავებას გვიჩვენებს. ეფერემისეული რედაქციის შესახებ პროფ. ი. აბულაძე წერს: „ეს ახალი რედაქცია გიორგისეული რედაქციისაგან დიდად არ განსხვავდება ... ასეთი მცირე განსხვავებების გამო შეიძლებოდა ᄎ-ს ტექსტი განსაკუთრებულ რედაქციად არც კი მიგვეჩნია, რომ არ გვექონოდა ეფერემის ანდერძი, სადაც ზედმიწევნით არის აღნიშნული მის მიერ გაწეული მუშაობა, იქითყენ მიმართული, რომ სამოციქულოს ქართული თარგმანი მაქსიმალურად დაახლოვებოდა ბერძნულ დედანს“².

ჩვენი ტექსტის ფარგლებშიც ეს რედაქცია მხოლოდ მოყვანილი მოსახრების საფუძველზეა ცალკე რედაქციად გამოყოფილი.

ᄎ რედაქციის სამივე ნუსხა (GHJ) ხშირად საერთო სხვაობას გვიჩვენებს ლ რედაქციისაგან და ეს სხვაობა, როგორც აღინიშნა, დიდი არაა.

§ 11. H და J ნუსხების ურთიერთობისათვის

ᄎ რედაქციის ნუსხათაგან ყურადღებას იქცევს H და J ნუსხების³ ზედმიწევნითი სიახლოვე. გარდა იმ საერთო ფორმებისა, რომლებითაც ამ რედაქციის ყველა ნუსხა ერთნაირ განსხვავებას გვიჩვენებს ლ რედაქციისაგან, მოგვეპოვება მთელი რიგი ადგილები, რომლებიც HJ-ში ამავე რედაქციის G ნუსხისა და ლ რედაქციის ნუსხათაგანაც განსხვავებულადაა წარმოდგენილი, ე. ი. H და J ნუსხები ერთგვარ სხვაობას გვიჩვენებენ EFG ნუსხებისაგან. ეს ერთგვარობა მათ მაშინაც აქვთ ხოლმე შემონახული, როდესაც სხვა დანარჩენი ნუსხები ერთმანეთს ვერ ეთანხმება და სხვადასხვა წაკითხვებს გვაძლევს, იქნება ის რედაქციული თუ ვარიანტული ხასიათისა. ასეთი ადგილები საკმაოდ ხშირად გვხვდება, აქ დავასახელებთ რამდენიმეს:

¹ ჩვენი ეს დასკვნა ისეთივეა, როგორც პროფ. ი. აბულაძისა „მოციქულთა საქმის“ ტექსტის მიხედვით (ი. აბულაძე, საქმე მოციქულთა, გვ. 032).

² ი. აბულაძე, საქმე მოციქულთა, გვ. 013—014.

³ J ნუსხისა ჩვენ მხოლოდ ფორტოპირი მოგვეპოვება და ეს ერთგვარად გვხვდება, რომ ჰამოთქმული მოსახრება უფრო დასაბუთებულად წარმოვადგინოთ.

EFG

ძმაო
 თვისისა
 ერთგულ
 უწყებამ
 შჯულსა
 ფრიად შემძლებელ არს ლოც-
 ვამ მართლისამ შეწევნად
 თქუნთა მიერ
 უწყებამ მიზეზსა პეტრეს მეო-
 რისა კათოლიკისასა
 კელინი ჩუენნი ჰმსახურებდეს
 სიტყუასა მას ცხორებისასა
 ყოველმან სულმან რომელმან
 აღიაროს იესუ ქრისტე ჳორ-
 ციელად მოსრული, იგი
 ღმრთისაგან არს; და ყოველ-
 მან სულმან რომელმან არა
 აღიაროს იესუ ქრისტე ჳორ-
 ციელად მოსრული, იგი არა
 ღმრთისაგან არს
 სიცრუე
 მუქლი სნშ
 უწყებამ მიზეზსა იოვანეს მეო-
 რისა კათოლიკისასა
 უწყებამ მიზეზსა იოვანეს მე-
 სამისა კათოლიკისასა
 და კულად

HJ

მამაო
 —
 მორჩილ
 აღწერამ
 უსჯულოსა
 ფრიადი ძალ-უც ლოცვასა მარ-
 თლისასა თანა-შეწევნულსა
 —
 —
 კელითა ჩუენითა განვიხილეთ
 სიტყუამ იგი ცხორებისამ
 ყოველმან სულმან რომელმან
 არა აღიაროს იესუ ქრისტე
 ჳორციელად მოსრული, იგი
 არა ღმრთისაგან არს; და
 ყოველმან სულმან რომელმან
 აღიაროს იესუ ქრისტე ჳორ-
 ციელად მოსრული, იგი
 ღმრთისაგან არს
 უსამართლოებამ
 მუქლი სნშ თავნი ზ
 —
 ხოლო

უწყ. 24;
 უწყ. 27;
 უწყ. 32;
 უწყ. 54;
 იაკ. 4,11;
 იაკ. 5,16;
 1 პეტ. 1,12;
 — უწყ. 2 პეტ. (სათ.);
 1 იოვ. 1,1;
 I იოვ. 4,2-3;
 1 იოვ. 5,17;
 1 იოვ. (მინაწერი);
 — უწყ. 2 იოვ. (სათ.);
 — უწყ. 3 იოვ. (სათ.);
 უწყ. 3 იოვ. 1
 და სხ.

უფრო მეტად კი ამ ორი ხელნაწერის სიახლოვეზე მიგვიითითებს J ნუს-
 ხის გასწორებული ადგილები. ასეთი ადგილები J-ში საკმარისი რაოდენო-
 ბით გვხვდება. გასწორებულია მეტწილად ასე: სიტყვა ან ასო გადაშლილ-
 ამოფხეკილია, რაც ფორტოპირში მკრთალად დაწერილი ასოების სახითაა შე-
 მორჩენილი, ზოგჯერ სიტყვა თუ ასო ჩამატებული ან გადასწორებულია და
 აღრინდელი დაწერილობაც ამოიკითხება. ამგვარად, ერთი ხელნაწერის.
 ფარგლებში ორგვარი წაიკითხვაა შესაძლებელი: პირვანდელი და გასწორებული.
 ასეთი ადგილების არსებობამ გამოიწვია ამ ხელნაწერისათვის მეორე-
 გვარი აღნიშვნის ხმარებაც; ხელნაწერის პირვანდელ წაიკითხვებს J-ით აღ-
 ვნიშნავთ, ხელნაწერის საბოლოო სახეს—J-თი.

J-ს გასწორებული ადგილები H-ს მისდევს, ამავე ადგილების პირვან-
 დელი წაიკითხვა კი—EFG-ს. მაგრამ ისე, რომ, როდესაც ესენი განსხვავებულია
 ერთმანეთისაგან, J¹ ერთ შემთხვევაში E-ს ემთხვევა, სხვაგან—F-ს ან G-ს.

რომ J ნუსხა საერთოდ H-ს მისდევს და იმისი პირვანდელი ტექსტი ამის მიხედვით ჩანს შესწორებული, ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ გასწორებული ადგილების რამდენიმე მაგალითს:

EFG	H	J ¹	J
განკითხვისა	განკითხვისათჳს	განკითხვისა	განკითხვისათჳს თავ. იაკ. 35 („თ“ს სტრიქონს ზემოთაა და- მატებული)
თითოეულისა E	თითოეული	თითოეულისა	თითოეული თავ. იაკ. 46 (ბოლო „სა“ ამოფხეცილია და ორ სი- ტყვას შორის ხედმეტი მანძილია დატოვებული)
თუთოეულისა FG			
მათ	—	მათ	— უწყ. იაკ. 3 (ამოფხეცილია, მაგრამ სიტყვებს შორის ხედ- მეტი მანძილი ჩანს)
მის	—	მის	— თავ. 1 პეტ. 9 („მ“ს“ გადაშ- ლილია და სიტყვებს შორის ხედმეტი მანძილია)
ჩუენ ზედა	—	ჩუენ ზედა	— თავ. 1 პეტ. 38 (ამოფხეცილია მაგრამ მკრთალად ჩანს „ჩ“ ხ“ა“, ახლა მანძილია სიტყვებს შორის)
დასაბამითგან	სიყუარული	დასაბამითგან	სიყუარული 1 იოვ. 2,7 (ამ სიტყ- ვის ქვემოთ ამოკითხება მკრთა- ლად ნაწერი „დასაბამითგან“)
მოპოვნებულისა	მოპოვნებულისა- თჳს	მოპოვნებულისა	მოპოვნებულისათჳს თავ. იოვ. 10 („თ“ს სტრიქონს ზემოთაა და- მატებული)

და სხვ.

აღნიშნული ადგილებიდან ჩანს, რომ J¹-ის ტექსტი ეთანხმება EFG ხელნაწერებისას, ხოლო ეს წაკითხვები J-ში H-ის მიხედვითაა შეცვლილი. მაშასადამე, J-ს გასწორებულ ადგილებს ასეთ დასკვნამდე მივყავართ: ტექსტი გადაწერილია სხვა ნუსხიდან (ეს „სხვა“ შეიძლება იყოს E, F ან G ან რომელიმე ჩვენს ხელთ არ-არსებული, მაგრამ ამ ნუსხებთან ისევე ახლოს მდგომი, როგორც თვით ესენი არიან ერთმანეთის მიმართ), ხოლო გასწორებულია იგი H ნუსხის მიხედვით.

ორიოდე შემთხვევაში J-ს გასწორებული ადგილი H-ს არ მისდევს, არამედ სხვა ნუსხის მიხედვითაა შეცვლილი. მაგრამ ასეთი შემთხვევები ცოტაა და თავისი ხასიათის მიხედვით მეტწილად უმნიშვნელო, ზოგი მათგანი ისეთია, რომ H-ში აშკარა შეცდომაა და იგი J-ში გასწორებულია.

§ 12. დასკვნა რედაქციათა ურთიერთ მიმართების შესახებ

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერთაგან გამოიყოფა ოთხი რედაქცია; მათგან სრული ტექსტი მოგვეპოვება მხოლოდ ახალი რედაქციებისა (L-სი და T-სი), ძველი რედაქციებისა (C-სი და F-სი) კი მხოლოდ ნაწყვეტები გვაქვს შემორჩენილი.

რედაქციებს შორის ასეთი ურთიერთობა ჩანს: C რედაქცია ყველაზე ძველია და საკმაოდ გამართული ორთოგრაფიულად, მისგან მომდინარე უნდა იყოს F, რომელიც აქა-იქ გაუმართავია ორთოგრაფიულად. L რედაქცია რამდენადმე F-საც უწყევს ანგარიშს, მაგრამ თავისი გამართულებით C-ს უფრო მოგვაგონებს. T რედაქცია კი, როგორც ამას თვით რედაქტორიც გვაუწყებს, ოდნავ განსხვავდება F-საგან, რომლისგანაც იგი წარმომდგარია.

IV. კათოლიკე ეპისტოლეთა წიგნების ენობრივი მოკლენები

ო რ თ ო მ რ ა უ შ ი ა

§ 13. ხელნაწერთა ორთოგრაფიის შესახებ საერთოდ

ორთოგრაფიულ საკითხებში ჩვენი ხელნაწერები, როგორც ძველი, ისე ახალი რედაქციისა, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ თვით ერთი ხელნაწერის ფარგლებშიც გვხვდება ნაირ-ნაირი დაწერილობა. ასეთი ნაირ-ნაირობა უფრო ახალი რედაქციის ხელნაწერებშია, ძველი რედაქციის ხელნაწერებში კი, რამდენადაც ამაზე მსჯელობის საშუალებას ამ ხელნაწერთა ნაკლულობა იძლევა, ასეთი სურათი გვაქვს: A-ს ახასიათებს ფორმათა ერთგვარობა, L-ში კი სხვადასხვაგვარი დაწერილობაც გვხვდება. მაგალითად:

L-ში: აღურ-ასხნეს	იაკ. 1,26	და	ალური-სხმად	იაკ. 3,2;	
	მშვდობით	იაკ. 2,25	და	სიმშუილით	იაკ. 1,21.
ახალი რედაქციის ხელნაწერებში:					
E-ში: იესუ	იაკ. 1,1	და	იესოვსა	უწყ. 43;	
	გაიოზს	3 იოვ. 1,1	და	გაიოსს	უწყ. 3 იოვ. 2.
F-ში: თითოეულისა	უწყ. 28	და	თუთოეულისა	თავ. იაკ. 46;	
	უვარ-ყოსა	1 იოვ. 2,22	და	უარ-ყოს	1 იოვ. 2,23.
G-ში: ვითხოვოთ	1 იოვ. 5,14	და	ვითხოოთ	1 იოვ. 5,15;	
	ეპისტოლედ	უწყ. 1 იოვ. 3	და	ეპისტოლისა	უწყ. 1 იოვ. 29.
HJ-ში: ხელაჲა	იაკ. 2,22	და	ჰხელაჲათა	იაკ. 2,24	
			და	სხვ.	

ესენი და ამგვარი ვარიანტები უცვლელადაა დატოვებული წინამდებარე გამოცემის ტექსტში.

§ 14. გასწორებული ადგილები

გასწორებულია მხოლოდ ისეთი ადგილები, სადაც აშკარა შეცდომებთან გვაქვს საქმე. ასეთია: ქარაგმის ნიშნისა თუ ასოს დაკლება, ასოს ზედმეტობა და ზოგიერთი სხვა სახის შეცდომა.

ა) დაკლება: ქარაგმის ნიშნის დაკლება განსაკუთრებით ხშირია E ხელნაწერში, მაგ.: პატსანო უწყ. 24; გნსაცლთაძესა უწყ. იაკ. 7; ორკრძოვე თავ. იაკ. 18; ორგულბით იაკ. 1,6; მსმნელ იაკ. 1,25; შეურაცხ-პყეთ იაკ. 2,6; უკთუ იაკ. 2,8; გულის თქუმთა იაკ. 4,3; მთ იაკ. 5,3; იქმნთ იაკ. 5,8; აღდგომისათა, უწყ. 1 პეტ. 21 და ბევრი სხვ.

მართალია, ახალი რედაქციის ტექსტი სწორედ ამ ხელნაწერს ემყარება, მაგრამ ყველა ამგვარი ადგილის ჩვენება საქირო არ იყო, რადგანაც იმდენად საყურადღებო ფაქტი არაა, თუცა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კია. მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა და მისი მსგავსი ადგილები ქარაგმა-დაკლებულად მივიჩნიეთ და გავხსენით ისინი ისე, როგორც ძველი ქართული ენის ძეგლების* სერიის გამოცემებშია მიღებული. მათ შორის შესაძლოა ისეთი სიტყვებიც მოექცა, სადაც დამწერს თუ გადამწერს ქარაგმიანი სიტყვა კი არ ჰქონდა ნაგარაუდღევი, არამედ შეცდომით გამორჩენია რომელიმე ასო.

ცალკე მივუთითებთ სიტყვაზე, რომელსაც ბოლო მარცვლი აკლია E-ში: მოავლი (მოაველინა), 1 იოვ. 4,14.

ზოგჯერ სხვა ხელნაწერებშიც გვაქვია ქარაგმის ნიშანი:

L-ში: შეურგულებელ (შეუორგულებელ), 1 პეტ. 1,22.

F-ში: მიუტკვეთ (მიუტყვეთ) 1 პეტ. 5,7; მიგზიდვენ (მიგიზიდვენ) იაკ. 2,6; სათნო-ვიყუ (სათნო-ვიყუე) 2 პეტ. 1,17 და სხვ.

G-ში: სიგლხაკისა, (სიგლახაკისა) უწყ. 20.

H-ში: ურთრთას, (ურთიერთას) 1 პეტ. 5,14; მშვნეერნი (მშვნეიერნი) იულ. 1,19.

J-ში: გამოცდლისა (გამოცდილისა) 1 პეტ. 1,7; წყუდიადისათა (წყუდიადისათა) 2 პეტ. 2,4.

ბ) ზედმეტობა. ა ზედმეტადაა ნახმარა „არა“ ნაწილაკში: და არაჲ [სცეთ მათ საწმა]რი ჯო[რცთაჲ] იაკ. 2,16 L (უნდა იყოს: „არა“. აქაც და ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც); რომელი სიტყვთა არაჲ სცთეს იაკ. 3,2 L; რაითა არაჲ და[ც]ადლოთ ლოცვასა თქუნესა 1 პეტ. 3,7 L; რაითა არაჲ წარსწყმდილოთ, რაჲ-იგი ჰქმენით 2 იოვ. 1,8 L.

სხვა შემთხვევები: განთხზნეთა 1 პეტ. 3,3 A (უნდა იყოს: განთხზეთთა); ჰმმსახურებდეს 1 პეტ. 4,11 L (უნდა იყოს: ჰმსახურებდეს); გამოირჩინნა იაკ. 2,5 L (უნდა იყოს: გამოირჩინა); განუკითხველ იაკ. 3,17 E (უნდა იყოს: განუკითხველ); ადრს უწყ. 2 პეტ. 5 E (უნდა იყოს: არს); ... რაითა ილუაწონ და და დ გ რ ო მ ა დ სარწმუნოებასა მას ზედა ... უწყ. იულ. 10 E (უნდა იყოს: დადგრომად).

